

კანონისმიერი და დელიქტური პაღდეგულები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2022, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2022, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2022, №2

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2022, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქატიკვან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიბელო

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი; საზიარო უფლებები

გადაწყვეტილების მიღება საზიარო საგნის მართვისას	4
საზიარო უფლებების გაუქმება ნატურით გაყოფისას	20
უსაფუძვლო გამდიდრება;	
ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები	37
ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	102
შეცდომით ხარჯების განევა სხვა პირის ქონებაზე	114
დელიქტური ვალდებულებანი	
სარჩოს გადაანგარიშება	132
დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება	145; 155
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანი	172
შენობის ჩამოქცევით გამონვეული ზიანის ანაზღაურება	184

**კანონისმიერი ვალდებულებითი
ურთიერთობანი;
საზიარო უფლებები**

ბაღდაყვიტილების მიღება საზიარო საგნის მართვისას

**ბანძინება
საქართველოს სახელით**

№ას-954-2020 2 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისში, ... მდებარე 50260 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია №... საკადასტრო კოდით.

2. ფართის ნაწილის მესაკუთრე იყო შპს მ. ი-ის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, რომლის უფლებამონაცვლევც სს „ე. ჰ-ბია“ (შემდეგში იწოდება როგორც: მოსარჩელე, შეგვებულს სარჩელით მოპასუხე, ჰოსპიტალი, აპელანტი ან მეორე კასატორი).

3. შენობაში არსებული ერთ-ერთი ფართი, თ. ხ-ძის საკუთრებაა (შემდეგში იწოდება როგორც: მოპასუხე, შეგვებულს სარჩელით მოსარჩელე, ფიზიკური პირი ან პირველი კასატორი).

4. 2017 წლის დასაწყისში საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსდა მსუბუქი კონსტრუქციები – სამი შლაგბაუმი, ლითონის ბოძები, მოაჯირები, ცხაურის ტიპის ნაგებობები და მეტალოპლასტმასის ჯიხური (სადავო ნაგებობები). ამის შედეგად, შემოსაზღვრულ ნაკვეთში ავტომობილების უნებართვოდ და დაუბრკოლებლად შესვლა შეიზღუდა.

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა, 2017 წლის 31 იანვარს, მესაკუთრეებს შესაბამისი საწებართვო დოკუმენტაციის: საკადასტრო გეგმისა და ყველა მესაკუთრის სანოტარო წესით დამონმებული თანხმობის წარდგენა ან ნაგებობათა დემონტაჟი მოსთხოვა.

6. ზედამხედველობის სამსახურს სანოტარო წესით დამონმე-ბული „თანხმობები“ წარედგინა. საერთო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე „დანართის შესაბამისად“ სამი შლაგბაუმის განთავსებას, მონინალმდეგე მხარის გარდა, ყველა მესაკუთრე დაეთანხმა.

7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2017 წლის 20 ივნისის დადგენილებით, მოპასუხის გარდა, ყველა მესაკუთრე დააჯარიმა და სადავო ნაგებობების დემოტაჟიც დაავალა.

8. მოსარჩელის მოთხოვნა

8.1. მოპასუხეს (ფიზიკურ პირს) დაევალოს თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე ს/კოდით №..., მოსარჩელის მიერ შლაგბაუმების განთავსებაზე თანხმობის გაცხადება.

9. მოპასუხის შესაგებელი მოსარჩელის ძირითად სარჩელზე

9.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით განთავსებული შლაგბაუმები, ლითონის ბოძები, მოაჯირები, ცხაურის ტიპის ნაგებობები და მეტალოპლასტმასის ჯიხური სრულიად უკანონოა და განთავსებული თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შესვლა და გასვლა ფასიანია, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ნებისმიერ პირს ტერიტორიაზე შესვლა ეზღუდება, რითაც ზიანი ადგება შეგებებული სარჩელის ავტორს.

10. შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა

10.1. თანამესაკუთრე ფიზიკურმა პირმა შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა აღძრა ჰოსპიტალის წინააღმდეგ და მოითხოვა: გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი კვირის ვადაში, შეგებებული სარჩელის მოპასუხე ჰოსპიტალს დაევალოს ქ. თბილისში, ... ქ. №6 მდებარე მიწის ნაკვეთი ს/კ ... (50 260 კვ.მ. ფართი) საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შლაგბაუმების ლითონის ბოძების და მოაჯირების, ასევე, ცხაურის ტიპის ნაგებობებისა და მეტალოპლასტმასის ჯიხურის აღება.

11. მოსარჩელის შესაგებელი შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით

11.1. შეგებებული სარჩელის მოპასუხე ჰოსპიტალმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს (თანამესაკუთრეს) აქვს ცალკე შესასვლელი და ავტოსადგომი, მასთან შემხებლობა არ აქვს ჰოსპიტალის მიერ განთავსებულ შლაგბაუმებს. მათი განთავსება ხელს არ უშლის და არ ლახავს მოსარჩელის ინტერესებს.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

12.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით:

12.1.1. არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე ჰოსპიტალის მოთხოვნა მოპასუხის მხრიდან ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თაობაზე.

12.1.2. თანამესაკუთრის (ფიზიკური პირის) შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა:

12.1.3. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი კვირის ვადაში, შეგებებული სარჩელით მოპასუხე ჰოსპიტალს დაევალა ქ. თბილისში, ... მდებარე მინის ნაკვეთი ს/კ ... (50 260 კვ.მ. ფართი) საერთო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე განთავსებული შლაგბაუმების ლითონის ბოძების და მოაჯირების, ასევე, ცხაურის ტიპის ნაგებობებისა და მეტალოპლასტმასის ჯიხურის აღება.

12.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 115-ე, 170-ე, 955-ე, 956-ე მუხლებით;

12.3. საქალაქო სასამართლომ განმარტებით, იმისთვის, რომ ადგილი ჰქონდეს უფლების ბოროტად გამოყენებას, უნდა დადგეს შემდეგი კუმულატიური პირობები: თანამესაკუთრე არ უნდა მიუთითებდეს თავისი უფლების გამოყენების შედეგზე და სრულიად უმოტივაციოდ უნდა აცხადებდეს მის გაცემაზე უარს. მეორე მხარეს (მოსარჩელეს) უნდა გააჩნდეს თანამესაკუთრის ამ უფლების შელახვის რაიმე კანონისმიერი საფუძველი.

12.4. სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაპირველი სარჩელის მოპასუხის, როგორც უძრავი ქონების თანამესაკუთრის, მხრიდან თანხმობის გაუცემლობა ვერ მიიჩნევა უფლების ბოროტად გამოყენებად, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპსა და თანამესაკუთრეობის უფლებას. თანასაკუთრებაში არსებული საგნის მართვასა და სარგებლობაზე თანამესაკუთრის თანხმობის არსებობა-არარსებობის ფაქტი იმთავითვე მიუთითებს, რომ ეს არის მისი უფლება, რომელსაც გამოიყენებს შეხედულებისამებრ და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. თანამესაკუთრეს კანონი არ ავალდებულებს თანხმობის გაცემას, მით უფრო, მაშინ, როდესაც ამგვარი თანხმობის გაცემით მას ეზღუდება თანასაკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში ხელი და მეორე მხარე ნივთით სარგებლობისთვის იღებს გარკვეულ საზღაურს.

13. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

13.1. მოსარჩელე ჰოსპიტალმა (შეგებებული სარჩელით მოპასუხემ) სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის

სრულად დაკმაყოფილება და თანამესაკუთრის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

14.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ჰოსპიტალის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

14.1.1. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება თანამესაკუთრის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და, მის სასარგებლოდ, მოპასუხისთვის სახელმწიფო ბაჟის – 120 ლარის დაკისრების ნაწილში.

14.1.2. ჰოსპიტალის თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

14.1.3. თანამესაკუთრე ფიზიკური პირის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს, მოპასუხის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის 75 ლარის გადახდა დაეკისრა.

14.2. სააპელაციო სასამართლომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომი: სპეციალური კანონი) მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე „სახლი, რომელიც შედგება ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან) არის მრავალბინიანი სახლი, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა „მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა“ და ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე „ამ კანონის ამოქმედებით დაფუძნებულად ითვლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ისეთ მრავალბინიან სახლში, რომელიც განთავსებულია ერთ მინის ნაკვეთზე და რომელშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინა“ მიუთითა და დადგენილად მიიჩნია, რომ:

14.2.1. ... ქუჩა №6-ში მდებარე ერთ მინის ნაკვეთზე განთავსებული არის რამდენიმე სახლი, რომლებიც ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან შედგება. ხსენებული უძრავი ქონება მრავალბინიანი სახლია. სახლში არსებული, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა, ხოლო მოდავე მხარეები, კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეები, ანუ ამხანაგობის წევრები არიან. ზემოხსენებული კა-

ნონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთი, რომელზეც მრავალბინიანი სახლია განთავსებული, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაა.

14.2.2. მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოსარჩელემ სადავო ნაგებობები მოაწყო, არცერთ ბინათმესაკუთრეს ინდივიდუალურად არ ეკუთვნის. ამის შესაბამისად, ეს ნაგებობები ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზეა განთავსებული.

14.2.3. უდავო გარემოებაა, რომ ბინათმესაკუთრეები სამედიცინო საქმიანობას ეწევიან, ხოლო საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს სამედიცინო დაწესებულებათა ვიზიტორები ავტომობილების პარკირებისთვის იყენებენ. ამავე მიზნით გამოიყენებოდა ნაკვეთი შლაგბაუმის დამონტაჟებამდეც.

14.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნაგებობების ერთადერთი დანიშნულება ნაკვეთზე ავტომობილების უნებართვოდ და დაუბრკოლებლად შესვლის შეზღუდვაა. სხვა მიზნით, შლაგბაუმებისა და მათი ექსპლუატაციისათვის საჭირო კონსტრუქციების გამოყენება შეუძლებელია. ნაგებობების დამონტაჟებით ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონება არ შეცვლილა – მიწის ნაკვეთი ავტომობილების დგომისათვის გამოიყენებოდა და გამოიყენება, როგორც მათ აგებამდე, ისე – აგების შემდეგაც.

14.4. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ქონება არ შეიცვლება თანამესაკუთრის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, იმ განსხვავებით, რომ, ამ ვითარებაში, ნაკვეთზე ავტომობილით შესვლას და დგომას გარეშე პირებიც დაუბრკოლებლად შეუძლებენ. სადავო ნაგებობებს საერთო ქონებაზე საკუთრების ან თანამესაკუთრეთა წილის შეცვლა არ გამოუწვევია – მიწის ნაკვეთი ამხანაგობის წევრთა, მათ შორის, მოპასუხის (შეგებებული სარჩელით მოსარჩელის) თანასაკუთრებაში დარჩა.

14.5. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამხანაგობის წევრებს საერთო ქონება – მიწის ნაკვეთი აპელანტისათვის ინდივიდუალურ სარგებლობაშიც არ გადაუციათ. ეს ნიშნავს, რომ სპეციალური კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ნაკვეთით სარგებლობა ყველა ბინათმესაკუთრეს, მათ შორის, მოპასუხე მხარესაც შეუძლია.

14.6. სააპელაციო სასამართლომ იმ საკითხზეც იმსჯელა, ხომ არ არღვევს სადავო ნაგებობები, მოპასუხის (თანამესაკუთრის) უფლებებს და მისი უარი ამ ნაგებობათა დადგმაზე ხომ არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

14.7. სააპელაციო სასამართლომ სპეციალური კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე „ქმედებას, რომელიც მიმართულია ბი-

ნათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების გაუმჯობესებისაკენ, ფუნქციური ცვლილებებისაკენ ან რეკონსტრუქციისაკენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარება ეწოდება“ მიუთითა და აღნიშნა, რომ სადავო ნაგებობებს საერთო ქონების ფუნქციური ცვლილება ან რეკონსტრუქცია არ გამოუწვევია, მაგრამ – მასზე გარეშე პირთა შეუზღუდავი და უნებართვო წვდომა შეზღუდა, ე.ი. – ქონება გააუმჯობესა.

14.8. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, სადავო ნაგებობების დადგმით აპელანტმა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება განავითარა.

14.9. სპეციალური კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება საერთო ქონების მხოლოდ ისეთ განვითარებას სჭირდება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე.

14.10. სხვა შემთხვევაში, კანონის მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქონების განვითარების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა 2/3-ის ან ნახევარზე მეტის თანხმობაა საკმარისი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნაგებობების დადგმას საერთო ქონების შეცვლა არ გამოუწვევია.

14.11. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით არ დგინდება, რომ მოპასუხეს საერთო ქონებით, მიწის ნაკვეთით სარგებლობა შეეზღუდა – მოპასუხეს არც კი მიუთითებია, რომ ნაგებობებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე შესვლასა და გადაადგილებაში, უშუალოდ, მას რაიმე სახის დაბრკოლება ექმნება და რომ აპელანტის ვიზიტორები, უშუალოდ, მის ვიზიტორებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან.

14.12. სასამართლოს შეფასებით, სადავო ნაგებობათა დადგმის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა საჭირო არ იყო. მათ დადგმას კი ამხანაგობის ოცდაცამეტი წევრიდან ოცდათორმეტი დაეთანხმა.

14.13. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამედიცინო დაწესებულებასთან ავტომობილით შეუფერხებელი წვდომა არა მარტო დაწესებულების ფუნქციონირების, არამედ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უკიდურესად აუცილებელია.

14.14. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება იმ ფაქტსაც მიაცქია, რომ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტა-

მენტის უფროსის სახელზე შედგენილი განცხადებითა და „რეაგირების ოქმებით“ დგინდება, რომ კლინიკებთან საავტომობილო მისასვლელები მოუწესრიგებელი და გადატვირთული იყო. საყურადღებოა, რომ „რეაგირების ოქმები“ 2016 წლის აპრილსა და აგვისტოში, ე.ი. სადავო ნაგებობების დადგმამდე არის შედგენილი.

14.15. სასამართლომ განმარტა, რომ ამ ვითარებაში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის გადანყვეტილება სადავო ნაგებობების დამონტაჟებისა და, ამის შედეგად, შეძლებისდაგვარად, სამედიცინო დაწესებულებასთან საავტომობილო მისასვლელის მოწესრიგების თაობაზე, როგორც მათი საქმიანობის, ისე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანრთელობის დაცვის მიზნებს სავსებით შეესაბამებოდა.

14.16. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იგივე შედეგი დადგებოდა მიწის ნაკვეთი არა ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონება, არამედ საზიარო უფლების ობიექტი რომ ყოფილიყო.

14.17. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 957-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე „ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადანყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. ხმათა უმრავლესობა გამოითვლება წილთა მიხედვით; თითოეულ მონილეს შეუძლია სამართლიანი შეხედულების მიხედვით მოითხოვოს ყველა მონილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა, თუკი ეს შეთანხმებით ან უმრავლესობის გადანყვეტილებით არ არის მოწესრიგებული“ მიუთითა და მოთხოვნა, ზემოხსენებულ ნორმათა შესაბამისადაც, უსაფუძვლოდ მიიჩნია.

14.18. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 248-ე მუხლზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მოპასუხეს (შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს) საერთო ქონებით სარგებლობის უფლება ან სარგებლობით მიუღებელი შემოსავალი არ მოუთხოვია, რის გამოც სასამართლო ამ საკითხზე ვერ იმსჯელებს.

14.19. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მსჯელობის საგანია, აქვს თუ არა მოპასუხეს (თანამესაკუთრე ფიზიკურ პირს) მშენებლობაზე დათანხმების ვალდებულება და, თუ მშენებლობაზე უარის თქმა მისი უფლებაა, ხომ არ იყენებს იგი ამ უფლებას ბოროტად.

14.20. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი არც ერთი ნორმატიული აქტი თანამესაკუთრეს მშენებლობაზე დათანხმებას არ ავალდებს. შესაბამისად, სადავო ნაგებობების აგებაზე თანხმობის ვალდებულება არც მოპასუხეს მხარეს არა აქვს და, ამ თვალსაზრისით, აპელანტის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

14.21. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 115-ე მუხლზე „სამო-

ქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“ მიუთითა და აღნიშნა, რომ მოპასუხე მშენებლობაზე უარს არა მოსარჩელე ჰოსპიტალისათვის ზიანის მისაყენებლად, არამედ საკუთრების დასაცავად აცხადებს. ამ მიზნით, მან შეგებებული სარჩელიც კი აღძრა.

14.22. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იმის მიუხედავად, რამდენად საფუძვლიანია აპელანტის მონინალმდევე მხარის პოზიცია, საკუთრების დაცვის ნება უფლების ბოროტად გამოყენება არ არის.

15. საკასაციო საჩივრები

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრები წარმოადგინეს როგორც თანამესაკუთრე ფიზიკურმა პირმა (პირველი კასატორი), ისე- ჰოსპიტალმა (მეორე კასატორი)

15.2. პირველმა კასატორმა (თავდაპირველი სარჩელის მოპასუხემ, შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

15.3. პირველი კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განმარტა და არასწორად გამოიყენა სპეციალური კანონი, რომელიც მხოლოდ ერთ სახლში განთავსებული ბინების მესაკუთრეებზე ვრცელდება.

15.4. სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაში დადგენილად არის მიჩნეული, რომ აღნიშნულ მისამართზე 33 მესაკუთრეა, რომლებიც განთავსებული არიან ამ მისამართზე არსებულ შენობებში და მათ შორის შენობების სხვადასხვა სართულებზე, ე.ი სასამართლო თავადვე ადასტურებს, რომ აღნიშნულ მისამართზე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რამდენიმე შენობა დგას, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ, გარდა იმისა, რომ განთავსებული არიან თანასაკუთრებაში არსებულ მიწაზე. საქმის მასალებით დგინდება, რომ მიწის ნაკვეთზე დგას დამოუკიდებელი შენობები, განსხვავებული ნომრებით, განსხვავებული საკადასტრო კოდებით და განსხვავებული მესაკუთრეებით. ის ფაქტი, რომ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე დამოუკიდებელი შენობაა, არ ნიშნავს, რომ ისინი ავტომატურად ამხანაგობას წარმოადგენენ.

15.5. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოყვანილი ფაქტები ურთიერთგამომრიცხავია, სასამართლო ზოგჯერ აღწერს, რომ შენობა რამდენიმეა, ზოგჯერ კი – თითქოს ერთია. კასატორის განმარტებით, შენობა რამდენიმეა და დავის მონაწილე მხარეთა შენობები

დგას ერთმანეთისგან ათობით მეტრის დაშორებით, მათ არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან და სწორედ ამიტომ არ გახდა საჭირო მოპასუხის შენობაზე სართულის დაშენებისას მოსარჩელის თანხმობა, ხოლო მოსარჩელის შენობაზე სართულის დაშენებისას მოპასუხის თანხმობა. ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, რომ ამხანაგობა არ არსებობს.

15.6. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ აპელანტმა სადავო ნაგებობები 2017 წლის დასაწყისში განთავსა და თითქოს ყველა მესაკუთრის თანხმობა ჰქონდა მოპასუხის გარდა. ნაგებობები 2016 წელს უკვე არსებობდა, რაც დადასტურებულია შლავაგაუმებთან დამონტაჟებული სალარო აპარატის ფისკალური ამონაწერი. მოსარჩელე აღრიცხავს იმ თანხებს, რომელიც თანასაკუთრებაში არსებული მიწის უკანონო გამიჯვნით და ცენტრალური შემოსავლების მისაკუთრებით მიიღო და იღებს.

15.7. სააპელაციო სასამართლო სამართლებრივ დასაბუთებაში განმარტავს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ვრცელდება სახლზე, რომელიც შედგება ორი და მეტი ბინისგან, ხოლო იქვე აღნიშნავს, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე განთავსებულია რამდენიმე სახლი. არასწორად განმარტავს, რომ თითქოს რამდენიმე სახლი ერთ მრავალბინიან სახლს ნიშნავს და ამიტომ მათი მესაკუთრეები ამხანაგობის წევრები არიან.

15.8. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, როდესაც მიუთითა, რომ თითქოს ნაგებობების დამონტაჟებით არც ერთი თანამესაკუთრის ქონება არ შეცვლილა, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ფაქტობრივი გარემოება, რამაც კასატორის ქონების გაუარესება გამოიწვია. მოსარჩელის ქმედებით, მოპასუხეს ეზღუდება კერძო საკუთრებით სარგებლობის უფლება, რადგან შესასვლელში საცობები იქმნება და ხდება არაერთი შენობის პარალიზება.

15.9. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, როდესაც უკანონო ნაგებობით მესაკუთრისთვის შექმნილი დაბრკოლება დადებითად შეაფასა. სასამართლომ ვერ დაინახა ფასიან და უფასო პარკირებას შორის განსხვავება.

15.10. სასამართლომ არ გამოიკვლია, რომ უკანონო გამიჯვნა ფაქტობრივად ემსახურება ერთი სუბიექტის ფინანსურ ინტერესებს სხვა ათობით მესაკუთრის თანასაკუთრების ფაქტობრივი მითვისების ხარჯზე, რასაც ადასტურებს საქმეში წარდგენილი ფაქტების კონსტატაციის აქტი. სასამართლოს უნდა ემსჯელა ტერიტორიაზე არა მხოლოდ კასატორის შეშვება-არ შეშვების ფაქტზე, არამედ კასატორის თანამშრომლების და პაციენტების შესვლის შესაძლებლობაზეც, რადგან კასატორი არის სამედიცინო და-

წესებულება და მისი პაციენტები ისევე უნდა სარგებლობდნენ ტერიტორიაზე შესვლის უფლებით, როგორც კლინიკა. ამავდროულად ამ უფლებით უნდა სარგებლობდნენ უფასოდ.

15.11. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტები, თითქოს საერთო ქონებით სარგებლობის უფლება თანამესაკუთრეს არ მოუთხოვია. შეგებებული სარჩელი აგებულია სარგებლობის უფლების შეზღუდვის გამო დამდგარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნაზე, უკანონო გამიჯვნაზე, რამაც გზები და შესასვლელები გადაკეტა.

15.12. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადანვეტილებაში არასწორად იმსჯელა და ქონების განვითარება და გაუმჯობესება უნდა უკანონო კონსტრუქციებს, რომელთა გამო გამონვეულ საცობებს ადასტურებს საქმეში არსებული საპატრულო ეკიპაჟის გამოძახების ოქმები 2016 წლიდან, ხოლო 2019 წლიდან ყოველდღიური პატრულირება.

15.13. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ნაგებობათა დადგმას ოცდაცამეტი მესაკუთრიდან, ოცდათორმეტი დაეთანხმა. საქმის მასალების მიხედვით, თანხმობა მხოლოდ ოცდაათმა მესაკუთრემ განაცხადა. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, იმ დროისთვის ოცდათვრამეტი მესაკუთრე იყო, ხოლო დღეის მდგომარეობით – ოცდაცხრამეტია.

15.14. სასამართლომ არ გამოარკვია და არასწორად დაადგინა, თითქოს მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის მესაკუთრეთაგან მიცემული პირობა დარღვევების გამოსწორებაზე გულისხმობდა მოსარჩელის უკანონო კონსტრუქციების დაკანონებას. მერიამ არაერთი უკანონო კონსტრუქცია აღმოაჩინა და დარღვევის გამოსწორება ნაგებობათა დემონტაჟით მიიჩნია.

15.15. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა, თითქოს საცობების შექმნასთან დაკავშირებული საპატრულო პოლიციის რეაგირების ოქმები, შედგენილია შლაგბაუმების დაყენებამდე, რითაც აღნიშნული ნაგებობები წარმოაჩინა, როგორც სასარგებლო და არა – საზიანო. საპატრულო პოლიციის უფროსის სახელზე 2019 წელს შედგენილი წერილი, სასამართლომ შლაგბაუმების დადგმამდე შედგენილ წერილად წარმოაჩინა. აღნიშნულ წერილს ხელს აწერენ ის მესაკუთრეები, რომლებმაც თავდაპირველად შლაგბაუმების დადგმაზე თანხმობა განაცხადეს, ხოლო ამ წერილით ითხოვენ ყოველდღიურ პატრულირებას სახელმწიფოსგან დარჩენილ მესამე ვინრო და უფასო შესასვლელთან, რომელიც მოსარჩელის მხრიდან მითვისებას გადაურჩა.

15.16. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა და არ გამოეყენა სსკ-ის 954-ე მუხლი, რომლითაც დაცულია წილთა თა-

ნაბრობის საკითხი, რაც მოსარჩელემ უხეშად დაარღვია, როდესაც საერთო სარგებლობის ეზო ლითონის ცხაურების მეშვეობით გამიჯნა, ფაქტობრივად უკანონოდ მიისაკუთრა ფართის უმეტესი ნაწილი, რაც სასამართლომ უკანონოდ არ ცნო. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების დაცვის პრინციპი აღიარა და გამოორიცხა ჰოსპიტალის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება.

15.17. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა სსკ-ის 955-ე მუხლის მეორე ნაწილი და არ შეაფასა ქონებით სარგებლობაში ხელშეშლის ფაქტი. ასევე ის გარემოება, რომ შექმნილი საცობების გამო, უპირველეს ყოვლისა, ზარალდებიან პაციენტები, საფრთხის ქვეშ დგება მათი ჯანმრთელობა და სიცოცხლე. სასამართლოს ასევე უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა სსკ-ის 956-ე მუხლის პირველი ნაწილი.

15.18. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, ხოლო უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა ამავე მუხლის მესამე ნაწილი.

15.19. მეორე კასატორმა (თავდაპირველმა მოსარჩელემ, შეგებებული სარჩელით მოპასუხემ) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

15.20. მეორე კასატორის განმარტებით, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანის საფუძველს ქმნის – მოპასუხე უფლებას ბოროტად იყენებს.

15.21. სასამართლომ გამოიყენა კანონი (სსკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა არასწორად განმარტა იგი.

15.22. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სსკ-ის 115-ე მუხლთან მიმართებით დამკვიდრებულ სამართლო პრაქტიკას.

16. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

16.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

16.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები და მიიღო არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემონმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საჩივრებული გადაწყვეტილება.

17. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, განმარტავს, რომ საქმის არსებითად განხილვის დროს ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ფაქტობრივი გარემოების არასწორად დადგენის თაობაზე პირველ კასატორს (თანამესაკუთრეს) წარმოდგენილი აქვს პრეტენზია, ეს შედავება მონმდება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად დასაბუთებულია. ასევე მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ, საკუთარი მტკიცებების ტვირთის ფარგლებში, წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებებიდან, რომელ ფაქტობრივ გარემოებას გააჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა, მოსარჩელისა და შეგებებული მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. საკასაციო სასამართლო მოიხმობს სსსკ-ის 410-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს, რომ საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის შედეგად გამოიკვეთა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საფუძველი.

18. თავდაპირველმა მოსარჩელემ (ჰოსპიტალმა) სარჩელი აღძრა და მოპასუხედ დასახელებული თანამესაკუთრე ფიზიკური პირისაგან, როგორც უფლების ბოროტად გამოყენებლისაგან, მოითხოვა თანხმობა, სასამართლო იძულების წესით, თანასაკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთზე) განთავსებული შლაგბაუმების მონყობის დასაკანონებლად. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, თავდაპირველი სარჩელის პასუხად წარდგენილი შესაგებლის, საქმეში მოთავსებული მტკიცებულებების შესწავლისა და გამოკვლევის სა-

ფუძველზე, დაუსაბუთებლად მიიჩნია ორივე ინსტანციის სასამართლომ. სააპელაციო სამართალწარმოების გზით თავდაპირველმა მოსარჩელემ მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია წარმატებას, რაც თანამესაკუთრის სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფაში გამოიხატა, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე თანამესაკუთრის (ფიზიკური პირის) მხრიდან არ გამოვლენილა უფლების ბოროტად გამოყენება, ამასთან, მესაკუთრეს კანონის საფუძველზე შესაძლოა მოეთხოვოს საკუთრების უფლების გამოყენების (განკარგვის) შეზღუდვა, რასაც დასაბუთებული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს, თუმცა, ამ შემთხვევაში თავდაპირველ მოსარჩელეს არ წარუდგენია თანხმობის სასამართლო წესით გასაცემად სარწმუნო სასარჩელო მოთხოვნა, რომელსაც შესაძლოა ლეგიტიმური საფუძველი გააჩნდეს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დასკვნას, რომ თანამესაკუთრის მიერ თანხმობის გაუცემლობა, იმთავითვე არ წარმოადგენს და ვერ შეფასდება უფლების ბოროტად გამოყენებად და ასეთად, არც საკუთარი უფლების დასაცავად აღძრული შეგებებული სარჩელის შეტანა მიიჩნევა.

19. პირველი კასატორის (შეგებებული მოსარჩელის) სასარჩელო მოთხოვნაა უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ამ მიზნით, მოპასუხე ჰოსპიტალის მიერ უნებართვოდ მოწყობილი შლაგბაუმის, ლითონის ბოძების და მოაჯირების, ცხაურის ტიპის ნაგებობებისა და მეტალოპლასტმასის დემონტაჟი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი კვირის ვადაში. საკასაციო სასამართლო იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას, რომ განსახილველი დავის გადასაწყვეტად სპეციალური კანონის გამოყენება და ამ კანონის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები ქონების გაუმჯობესებისა და განვითარების შესახებ არასწორია, თუმცა, ამ კანონის გამოყენებლობა მაინც ვერ შეცვლის საქმეზე მიღებულ იურიდიულ შედეგს.

20. საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მნიშვნელოვანია სამართლებრივად შეფასდეს, რომ მოსარჩელე ჰოსპიტალი და თანამესაკუთრე ფიზიკური პირი საერთო საკუთრების უფლებით (თანამესაკუთრებით) ფლობენ საკუთრებას ქ. თბილისში, ... №6, 50 260.00 კვ.მ დაზუსტებულ მიწის ნაკვეთს. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დასახელებულ მიწის ნაკვეთზე ირიცხება რამდენიმე ფიზიკური პირისა და რამდენიმე იურიდიული პირის (სამედიცინო დაწესებულებები) თანამესაკუთრების უფლება. თანამესაკუთრეთა შორის, ბუნებრივია, მითითებული არიან: თავდაპირველი მოსარ-

ჩელე და ფიზიკური პირი – თ. ხ-ძე (იხ. საჯარო რეესტრის ამონაწერი). საკასაციო სასამართლო იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ თავდაპირველი სარჩელის მოსარჩელედ დასახელდა თანამესაკუთრე ფიზიკური პირი, თავის მხრივ, ამ უკანასკნელსაც, როგორც შეგებებული სარჩელის ავტორს, სარჩელი წარდგენილი აქვს საკუთარი, როგორც თანამესაკუთრე პირის და არა იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სახელით (იხ. მოპასუხის შესაგებელი; შეგებებული სარჩელი; შეგებებული მოსარჩელე, როგორც ფიზიკური პირი უფლებამოსილებას ანიჭებს ადვოკატს – იხ. მინდობილობა). ამ საკითხზე ხაზგასმა საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია პირველი კასატორის იმ პრეტენზიის პასუხად, რომ ის წამოადგენს სამედიცინო დაწესებულებას, მის თანამშრომლებსა და პაციენტებს ექმნებათ პრობლემა ტერიტორიაზე შესვლის დროს (იხ. წინამდებარე განჩინების 15.10 ქვეპუნქტი, ასევე – თანამესაკუთრის საკასაციო საჩივარი).

21. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივად უნდა შეფასდეს, მოსარჩელე ჰოსპიტალის მიერ მოწყობილი ნაგებობები, რომელთა უნებართვოდ მოწყობის გამო დადგენილია, რომ დაჯარიმდნენ როგორც მოსარჩელე ჰოსპიტალი, ისე სხვა თანამესაკუთრეები, გარდა განსახილველი დავის მოპასუხე თანამესაკუთრე ფიზიკური პირისა, რამდენად ხელყოფს უშუალოდ შეგებებული მოსარჩელის საკუთრებას და ხელს უშლის თუ არა მას საკუთრებით სარგებლობაში. მოცემულ შემთხვევაში ასეთი გარემოება არ არის დადგენილი საქმის მასალებით, ამასთან, საკასაციო სასამართლომ ასევე შეამოწმა ფაქტების კონსტატაციის ოქმი, სადაც შეგებებული მოსარჩელის წარმომადგენელი ადვოკატი – ნ. ა-ძე უთითებს, თუ საიდან, რომელი შემოსასვლელია თანამესაკუთრეთა ტერიტორიაზე, სად განათავსა შეგებებული სარჩელის მოპასუხე ჰოსპიტალმა სადავო ნაგებობები. ამ მტკიცებულების, სხვა მტკიცებულებებთან ერთად და შეგებებულ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის თანასაკუთრება საერთო საკუთრებაში არ შელახულა, არ იზღუდება და არ არის ხელყოფილი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფიზიკური პირის, როგორც თანამესაკუთრის, მითითება მისი კუთვნილი სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებისა და პაციენტების უფლებების შესაძლო ხელყოფაზე და სხვა სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებთან და პაციენტებთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებაზე მოსარჩელე ჰოსპიტალის მიერ უნებართვოდ მოწყობი-

ლი ნაგებობის გამო, არ არის წინამდებარე განხილვის საგანი, რადგან, სადავო არაა, რომ შეგებებული სარჩელი აღძრულია ფიზიკური პირის, როგორც თანამესაკუთრის მიერ და არა – იურიდიული პირის-სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი არ ქმნის მის სასარგებლოდ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას, რადგან საზიარო საგნის განკარგვის დროს (სსკ-ის 953-ე და შემდგომი მუხლები) გამოიყენება საზიარო უფლებების მომწესრიგებელი ნორმები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

22. სსკ-ის 957-ე მუხლი ადგენს გადაწყვეტილების მიღების წესს საზიარო საგნის მართვისას, კერძოდ დასახელებული ნორმა რამდენიმე ნაწილს მოიცავს: „1. ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. ხმათა უმრავლესობა გამოითვლება წილის მიხედვით. 2. თითოეულ მოწილეს შეუძლია სამართლიანი შეხედულების მიხედვით მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა, თუკი ეს შეთანხმებით ან უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ არის მოწესრიგებული. 3. ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება“. განსახილველ შემთხვევაში, პირველი კასატორი უთითებს სსკ-ის 956-ე მუხლის პირველი ნაწილის „საზიარო საგანს მოწილენი ერთობლივად მართავენ“ და 957-ე მუხლის მესამე ნაწილების დანაწესის გამოყენების აუცილებლობაზე, რაც უარყოფილია სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. დადგენილია და არც მხარეთა შორის არის სადავო, რომ თანამესაკუთრე იურიდიული პირები სამედიცინო საქმიანობას ეწევიან, ხოლო თანამესაკუთრეთა საკუთრებად რიცხულ მინის ნაკვეთს სამედიცინო დაწესებულებათა ვიზიტორები ავტომობილების პარკირებისათვის იყენებენ, სწორედ ამავე მიზნით დაამონტაჟა მოსარჩელე ჰოსპიტალმა სადავო ნაგებობები და საამისო ერთადერთი მიზანია ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სამედიცინო დახმარების განევის დროს ერთგვარი ორგანიზება მოხდეს ავტომობილების შესვლისა და „პარკირებისათვის“, იმავდროულად არიდებული იქნეს ისეთი შემთხვევები, როდესაც შექმნილი საცობი და საავტომობილო ტრანსპორტის არაორგანიზებული გაჩერება შეაფერხებს ან საფრთხეს შეუქმნის იმ პირთა მომსახურებას, რომელთაც ეს ესაჭიროებათ. საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მომსახურე დაწესებულებების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით კონკრეტული ნაგებობების (მათი კანონიერების საკითხი

არ არის სამოქალაქო სამართალწარმოების გზით განსახილველი და გადასაწყვეტი განთავსების ინიცირება და სხვა თანამესაკუთრეთა მიერ თანხმობის გამოხატვა, ქმნის სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ წინაპირობას და აქედან გამომდინარე, როდესაც არ დასტურდება თანამესაკუთრის სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება, არ გამოიყენება დასახელებული ნორმის მესამე ნაწილის მონესრიგება. ამდენად, პირველი კასატორის სხვა პრეტენზიებს მოცემული საქმის იურიდიული კვალიფიკაციისათვის არ აქვს სამართლებრივი გავლენა და მნიშვნელობა.

23. ზემოხსენებული მოტივაციით უარყოფილია წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად რჩება, მისი სამართლებრივი მოტივაციის ნაწილობრივ შეცვლის გზით, ამასთან, კასატორთა მიერ მითითებული საკასაციო პრეტენზიები სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლებს არ წარმოადგენს, ვინაიდან დავის გადასაწყვეტად აუცილებელ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორებს არ წარმოუდგენიათ დასაბუთებული საკასაციო შედავება, ხოლო უდავოდ მიჩნეული/არაკვალიფიციურად შედავებული ფაქტების იურიდიული შეფასება სხვაგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გამორიცხავს.

24. სსკ-ის 55.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, ვინაიდან საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. სს „ე. ჰ-ბის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-1031-2019

4 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საზიარო უფლების ნატურით გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ა-მა (შემდგომში – „პირველი მოსარჩელე“), თ. დ-მა (შემდგომში – „მეორე მოსარჩელე“), ლ. გ-მა (შემდგომში – „მესამე მოსარჩელე“), ა. დ-მა (შემდგომში – „მეოთხე მოსარჩელე“) და ვ. ს-მა (შემდგომში – „მეხუთე მოსარჩელე“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. ღ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვეს: გაუქმდეს საზიარო უფლება ნატურით გამოყოფის გზით, უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 10 მაისის №... საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პუნქტისა და მე-4-მე-5 დანართების შესაბამისად, ინდივიდუალური საკუთრების უფლებით გამოეყოთ:

– თ. ა-ს შენობა-ნაგებობა 127,57 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 75,6 კვ.მ.;

– თ. დ-ს შენობა-ნაგებობა 89,25 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 61,4 კვ.მ.;

– ლ. გ-ს შენობა-ნაგებობა 80,62 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 39,3 კვ.მ.;

– ა. დ-ს შენობა-ნაგებობა 89,6 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 15,5 კვ.მ.;

– ვ. ს-ს შენობა-ნაგებობა 155,27 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 393,4 კვ.მ.;

– ნ. ღ-ს შენობა-ნაგებობა 29,4 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 46,0 კვ.მ.

2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება, 1192 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. ...) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საჯარო რეესტრში აღრიცხულია მოსარჩელებისა და მოპასუხის თანასაკუთრებად;

2.2. ჯერ კიდევ 1980-იან წლებში, როდესაც მიწა ეკუთვნოდა

სახელმწიფოს, საკარმიდამო ნაკვეთი და შენობა-ნაგებობის ფართი თანამესაკუთრეთა და მათ წინამორბედთა მიერ გაიყო რკინა-ბეტონის ლობეებით და გაიმიჯნა ექვს ნაწილად. იზოლირებულ ნაკვეთებს ქუჩიდან აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელები. მოსარჩევეები ფლობენ იზოლირებულ ნაკვეთებს და შენობა-ნაგებობების კუთვნილ ფართს;

2.3. რიგით მეექვსე მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს წლების წინ ფლობდნენ ს. გ-ი და ს. ს-ი. ისინი იყვნენ უძრავი ქონების 1/24-1/24 იდეალური წილის მესაკუთრეები. 2007 წელს ს. გ-მა მისი კუთვნილი 1/24 წილი მიჰყიდა მოპასუხეს, ხოლო 2013 წელს ს. ს-მა თავისი 1/24 წილი მიჰყიდა მეხუთე მოსარჩევეს, რომელიც იმ დროისათვის წარმოადგენდა უძრავი ქონების 1/4 წილის მესაკუთრეს;

2.4. მოპასუხეს, როგორც 1/24 წილის მესაკუთრეს, ეკუთვნის შენობა-ნაგებობის 23,82 კვ.მ ფართი და მინის ნაკვეთის 26,3 კვ.მ ფართი, თუმცა იგი ეპატრონება მთლიან (მეექვსე) მინის ნაკვეთს, შესაბამისად, ფლობს 96,09 კვ.მ შენობა-ნაგებობას და 134,7 კვ.მ მინის ნაკვეთს, რითაც ილახება მეხუთე მოსარჩელის უფლებები. გარდა ამისა, უძრავ ნივთზე საზიარო უფლების არსებობის გამო, სხვადასხვა პრობლემები ექმნებათ დანარჩენ მოსარჩევეებსაც;

2.5. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩევეებს სურთ საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გამოყოფის გზით. ამასთან, ისინი თანხმობას აცხადებენ, რომ მოპასუხეს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართიდან გამოეყოს კუთვნილ წილზე (1/24 წილზე) მეტი ფართი მეხუთე მოსარჩელის ხარჯზე, ხოლო მოსარჩევეებს საკუთრებაში გადაეცეთ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები;

2.6. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.05.2017წ. №... საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პუნქტისა და მე-4-მე-5 დანართების შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რა დროსაც მოპასუხეს გამოეყოფა კუთვნილ წილზე მეტი მინისა და შენობა-ნაგებობის ფართი ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, ხოლო დანარჩენ თანამესაკუთრეებს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი:

3.1. მოპასუხე, მას შემდეგ რაც შეიძინა უძრავი ქონების 1/24 წილი, ოჯახთან ერთად ცხოვრობს შენობა №4-ის მე-2 სართულზე (საცხოვრებელი ფართი) და, ასევე, სარგებლობს №9, №10 და №11 დამხმარე სათავსოებით. სხვა თანამესაკუთრეებს ამ ფართში არა-

სოდეს უცხოვრიათ;

3.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 01.12.2014წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მე-ხუთე მოსარჩელის სარჩელი პირველი და მეორე მოსარჩელების, ასევე, მოპასუხისა და სხვათა მიმართ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ შეუძლებელი იყო თანასაკუთრებაში არსებულ უძრავი ნივთზე საზიარო უფლების გაუქმება ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე. მოპასუხის მოსაზრებით, განსახილველი საქმე ანალოგიურ დავას წარმოადგენდა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. მოსარჩელებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივარი. მათ მოითხოვეს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საზიარო უფლება ნატურით გამოყოფის გზით, უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... (ს.კ. ...) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 10 მაისის №... საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პუნქტისა და მე-4-მე-5 დანართების შესაბამისად, ინდივიდუალური საკუთრების უფლებით გამოეყოთ:

– თ. ა-ვ შენობა-ნაგებობა 127,57 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 75,6 კვ.მ.;

– თ. დ-ს შენობა-ნაგებობა 89,25 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 61,4 კვ.მ.;

– ლ. გ-ს შენობა-ნაგებობა 80,62 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 39,3 კვ.მ.;

– ა. დ-ს შენობა-ნაგებობა 89,6 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 15,5 კვ.მ.;

– ვ. ს-ს შენობა-ნაგებობა 155,27 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 393,4 კვ.მ.;

– ნ. ლ-ს შენობა-ნაგებობა 29,4 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 46,0 კვ.მ.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

7.1. ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავ ნივთზე (დაზუსტებული

ფართობი – 1192,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1-დან №12-ის ჩათვლით და №13 (მშენებარე)) საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მოსარჩევეებისა და მოპასუხის თანასაკუთრებად. კერძოდ, პირველი მოსარჩევე 1/12 ნაწილი; 2) მეორე და მესამე მოსარჩევეები 4/12 ნაწილი (40,5/121 ნაწილი); 3) მეოთხე მოსარჩევე 2/12 ნაწილი; 4). მეხუთე მოსარჩევე 1/4 ნაწილი – 1192 კვ.მ მიწის ნაკვეთის საერთო ფართიდან 502,63 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 1/24 ნაწილი; 5. მოპასუხე 1/24 ნაწილი.

8. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩევეები სარჩელით მოითხოვდნენ რეალური წილების გამოყოფას, ანუ საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით. შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას უნდა დადგენილიყო შესაძლებელი იყო თუ არა საზიარო საგნის წილების ნატურით გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, მათი ღირებულების შემცირების გარეშე.

9. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე და 963-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ საზიარო საგნის გამიჯვნა არ გამოიწვევდა გამოყოფილი ნაწილების ღირებულების შემცირებას. საზიარო საგნის გაყოფის შედეგად მიღებულ ნაწილებს შეუნარჩუნდებოდათ ის ფუნქციური ღირებულება, რაც გააჩნდათ. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელი იყო უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება.

10. აღნიშნული გარემოება სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.05.2017წ. №... დასკვნის საფუძველზე, რომლის თანახმად:

10.1. ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება, ს.კ. ..., ფაქტობრივად გაყოფილია ექვს ნაწილად და თითოეულ ნაკვეთს ქუჩიდან აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი; 1/24 წილის მესაკუთრეს, მოპასუხეს შენობა-ნაგებობების მთლიანი შიდა საერთო ფართობიდან სარგებლობაში გააჩნია ოთახები 96,09 (103,9) კვ.მ-ის ოდენობით, რაც მისი კუთვნილი წილის შესაბამის ფართობზე – $571,71 \cdot \frac{1}{24} = 23,82$ კვ.მ-ზე 72,27 კვ.მ-ით მეტია;

10.2. 1/24 წილის მესაკუთრეს, მოპასუხეს განაშენიანებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართობიდან სარგებლობაში გააჩნია მიწის ნაკვეთი 134,7 კვ.მ-ის ოდენობით, რაც მისი კუთვნილი წილის შესაბამის ფართობზე – $631,2 \cdot \frac{1}{24} = 26,3$ კვ.მ-ზე 108,4 კვ.მ-ით მეტია;

10.3. ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება, რა დროსაც მოპასუხეს გამოეყოფა მისი კუთვნილი

წილის (1/24) შესაბამის ფართობზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი (მეხუთე მოსარჩელის წილის ხარჯზე) ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, სადაც დაცულია მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, ხოლო, დანარჩენ თანამესაკუთრეებს მათ ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ფართობები, შესაძლებელია შემდეგნაირად:

– 2/12 წილის მესაკუთრეს, პირველ მოსარჩელეს შენობა-ნაგებობების მთლიანი შიდა საერთო ფართობიდან, 571,71 (690,25) კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს ოთახები 127,57 (171,77) კვ.მ-ის ოდენობით;

– 2/12 წილის მესაკუთრეს, პირველ მოსარჩელეს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართობიდან – 631,2 კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს მიწის ნაკვეთი 75,6 კვ.მ-ის ოდენობით;

– 2/12 წილის მესაკუთრეს, მეორე მოსარჩელეს შენობა-ნაგებობების მთლიანი შიდა საერთო ფართობიდან, 571,71 (690,25) კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს ოთახები 89,25 (100,98) კვ.მ-ის ოდენობით;

– 2/12 წილის მესაკუთრეს, მეორე მოსარჩელეს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართობიდან, 631,2 კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს მიწის ნაკვეთი 61,4 კვ.მ-ის ოდენობით;

– 2/12 წილის მესაკუთრეს, მესამე მოსარჩელეს შენობა-ნაგებობების მთლიანი შიდა საერთო ფართობიდან, 571,71 (690,25) კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს ოთახები 80,62 (116,12) კვ.მ-ის ოდენობით;

– 2/12 წილის მესაკუთრეს, მესამე მოსარჩელეს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართობიდან, 631,2 კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს მიწის ნაკვეთი 39,3 კვ.მ-ის ოდენობით;

– 2/12 წილის მესაკუთრეს, მეოთხე მოსარჩელეს შენობა-ნაგებობების მთლიანი შიდა საერთო ფართობიდან, 571,71 (690,25) კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს ოთახები 89,6 (101,6) კვ.მ-ის ოდენობით;

– 2/12 წილის მესაკუთრეს, მეოთხე მოსარჩელეს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართობიდან, 631,2 კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს მიწის ნაკვეთი 15,5 კვ.მ-ის ოდენობით;

– 1/4 და 1/24 წილის მესაკუთრეს, მეხუთე მოსარჩელეს შენობა-ნაგებობების მთლიანი შიდა საერთო ფართობიდან, 571,71 (690,25) კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს ოთახები 155,27 (170,38) კვ.მ-ის ოდენობით;

– 1/4 და 1/24 წილის მესაკუთრეს, მეხუთე მოსარჩელეს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართობიდან, 631,2

კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს მიწის ნაკვეთი 393,4 კვ.მ-ის ოდენობით;

- 1/24 წილის მესაკუთრეს, მოპასუხეს შენობა-ნაგებობების მთლიანი შიდა საერთო ფართობიდან, 571,71 (690,25) კვ.მ.-დან, კანონით გათვალისწინებული ნორმების მოთხოვნათა დაცვით, სრული იზოლაციით (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები), ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, შესაძლებელია გამოეყოს ოთახები 29,4 (29,4) კვ.მ-ის ოდენობით, რაც მისი კუთვნილი წილის შესაბამის ფართობზე, $571,71 * 1/24 = 23,82$ კვ.მ-ზე 5,58 კვ.მ-ით მეტია;

- 1/24 წილის მესაკუთრეს, მოპასუხეს განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართობიდან, 631,2 კვ.მ-დან კანონით გათვალისწინებული ნორმების მოთხოვნათა დაცვით, სრული იზოლაციით (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები), ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, შესაძლებელია გამოეყოს მიწის ნაკვეთი 46,0 კვ.მ-ის ოდენობით, რაც მისი კუთვნილი წილის შესაბამის ფართობზე, $631,2 * 1/24 = 26,3$ კვ.მ-ზე 19,7 კვ.მ-ით მეტია;

10.4. ექსპერტიზის დასკვნის კვლევითი ნაწილის თანახმად, ექსპერტის მიერ მოხდა საჯარო რეესტრის ამონაწერში მესაკუთრეთა სახელზე დაფიქსირებული წილების შესაბამისი ფართობების გაანგარიშება, რათა მოეხდინა მათი კუთვნილი ფართობების გამოყოფა დანარჩენი თანამესაკუთრეებისაგან. დასკვნაში, ასევე, მითითებულია, რომ დამკვეთი, რომელიც აღნიშნული უძრავი ქონების ექვსიდან ხუთი თანამესაკუთრის წარმომადგენელია, ითხოვდა მოპასუხის კუთვნილი წილის გამოყოფას მოპასუხის კუთვნილ წილზე მეტი ფართობის გამოყოფით, კანონით გათვალისწინებული ნორმების მოთხოვნათა დაცვით, ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, მეხუთე მოსარჩელის წილის ხარჯზე.

11. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმებით მოპასუხეს გამოეყოფა კუთვნილ წილზე (1/24) მეტი ფართი, როგორც შენობა-ნაგებობებიდან, ისე მიწის ნაკვეთიდან მეხუთე მოსარჩელის წილის შემცირების ხარჯზე, ამ უკანასკნელის თანხმობით, ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, ხოლო, დანარჩენი თანამესაკუთრეებს მათ ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ფართობების შესაბამისად, რაზეც მათ თანხმობა განაცხადეს.

12. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შეუძლებლობა. ამასთან, მოპასუხისათვის მის კუთვნილ წილზე მეტი ფართის მიკუთვნება სხვა მესაკუთრის წილის შემცირე-

ბის ხარჯზე, იმ ფაქტობრივ მოცემულობაში, როდესაც დანარჩენი თანამესაკუთრეები თანხმობას აცხადებდნენ ამ პირობით საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმებაზე, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ამ უფლების განხორციელების შემაფარებელ გარემოებად.

13. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტიზის დასკვნით მისთვის შენობა-ნაგებობებიდან გამოყოფილი წილი არ წარმოადგენდა საცხოვრებელ ფართს, ამგვარი დაყოფით კი მცირდებოდა ნივთის ღირებულება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში აპელანტებმა (მოსარჩელებმა) სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მიუთითეს ექსპერტიზის დასკვნაზე, ასევე სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექსპერტის განმარტებებზე, რომელმაც დაადასტურა, რომ მოპასუხისათვის გამოყოფილი ფართი იყო საცხოვრებელი, რომელიც შეიცავდა დამხმარე ფართს. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტიზის მთავარი საკითხი იყო, რომ არ შემცირებულიყო მოპასუხის წილი და მისი ფუნქციური ღირებულება. დასკვნის შედგენისას მან გამოიყენა „დამყვანი კოეფიციენტი“, რათა მხარეებს წილების შესაბამისად გამოყოფილათ როგორც საცხოვრებელი, ისე, დამხმარე ფართები. სწორედ ეს „დამყვანი კოეფიციენტი“ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ ერთ მხარეს მიკუთვნებოდა მხოლოდ საცხოვრებელი, ხოლო, სხვა მხარეს მხოლოდ დამხმარე ფართი. ექსპერტის განმარტებით, მოპასუხისათვის გამოყოფილი ფართი სრულად აკმაყოფილებდა საცხოვრებელი ფართის პარამეტრებს, ამასთან, შენარჩუნებული იყო მისი ფუნქციური ღირებულება.

14. სააპელაციო პალატამ, ასევე, არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან განსახილველ საკითხზე არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე, სახეზე იყო განსახილველ სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

15. სააპელაციო სასამართლომ მოიხმო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი და განმარტა, რომ საქმის შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კუმულატიურად სახეზეა სამი წინაპირობა: დავა იგივე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 01 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მეხუთე მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის, პირველი და მეორე მოსარჩელების, გ. კ-ძისა და

ე. გ-ის მიმართ, უძრავ ქონებაზე, ს.კ. ... საზიარო უფლების გაუქმებისა და საკუთრების ნატურით გამოყოფის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ საქმეში იგივე მხარეები (სადავო უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები ან მათი უფლებამონაცვლეები) იმავე უძრავი ნივთის ნატურით გაყოფაზე დაობდნენ, შეცვლილი იყო დავის საფუძველი, კერძოდ, უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმებას, წინა საქმისგან განსხვავებით, ითხოვდა ყველა თანამესაკუთრე ერთის გარდა, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ წილზე გაცილებით მეტ ფართს. გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში, საზიარო უფლების გაუქმება მოთხოვნილი იყო მოპასუხისათვის იმაზე მეტი ფართის მიკუთვნებით, ვიდრე მას საჯარო რეესტრის ჩანაწერით ერიცხებოდა საკუთრებაში.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით (სსკ-ის 963-ე მუხლი) გათვალისწინებული ყველა წინაპირობის არსებობა, რაც საზიარო უფლების გაუქმების შესახებ სარჩელის დასაბუთებულობას ადასტურებდა.

17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

18. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

18.1. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა სარჩელი უძრავი ნივთის ნატურით გაყოფის თაობაზე, ვინაიდან არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 01.12.2014წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით. კერძოდ, მეხუთე მოსარჩელემ სარჩელი აღძრა დანარჩენი მესაკუთრეების მიმართ და მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება. აღნიშნულ საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ სადავო უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფით, სრული იზოლაციითა და ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელი იყო. შესაბამისად, სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა მოპასუხის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, ვინაიდან სახეზე იყო სსსკ-ის 279-ე მუხლის წინაპირობა;

18.2. 10.05.2017წ. №... დასკვნის შესაბამისად, მხოლოდ მეხუთე მოსარჩელის ფართის შემცირების ხარჯზეა შესაძლებელი მოპა-

სუხისათვის ნატურით ფართის გამოყოფა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ რთულ ობიექტზე იდეალური წილების რეალურად გამოყოფის შესაძლებლობა არსებობს. აღნიშნული დასკვნით საზიარო უფლების გაუქმება მესაკუთრეთა წილების შესაბამისად კი არ ხდება, არამედ მოსარჩელეთა მითითების შესაბამისად. ეს დასკვნა არის კლასიკური ნიმუში არა ნატურით გაყოფისა, ისე როგორც კანონი ითვალისწინებს, არამედ მესაკუთრეთა შორის ფართის გაყოფისა, როდესაც ყველა მესაკუთრე თანახმაა გამოეყოთ ფართი წილის შესაბამოდ, თანაც მეხუთე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გარკვეული ცვლილებებით, რაც მოპასუხისათვის მიუღებელია;

18.3. მეორე და მესამე მოსარჩელებს ექსპერტიზის დასკვნით გამოეყოთ იმაზე მეტი ფართი, ვიდრე ეკუთვნოდათ. კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ისინი არიან 4/12 (40,5/121) წილის თანამესაკუთრები, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ აქვს კონკრეტულად 121 კვ.მ საცხოვრებელი ფართიდან 40,5 კვ.მ და ნატურით გაყოფისას ამაზე მეტი არ უნდა მიკუთვნებოდეთ, თუმცა ეს ექსპერტს არ გაუთვალისწინებია. მან 4/12 წილი გაყო და 2/12-2/12 წილი მიაკუთვნა, რითაც მათ უფრო მეტი ფართი გამოეყოთ;

18.4. 2007 წელს მოპასუხემ იყიდა სადავო უძრავი ქონების (1/24 წილი) როგორც საცხოვრებელი, ისე დამხმარე და შესაბამისი მინის ფართობი. შეძენის დღიდან ცხოვრობს ყველა მესაკუთრისაგან იზოლირებულ ფართში, კერძოდ ლიტ „ა“-ში მე-2 სართულზე მდებარე ოთახებში, ასევე, ეზოში არსებულ დამხმარე ფართში. ამის მიუხედავად, 10.05.2017წ. ექსპერტიზის დასკვნით ყველა თანამესაკუთრეს ნატურით გამოეყოთ ლიტერ „ა“-დან საცხოვრებელი ფართები და მხოლოდ მოპასუხეს გამოეყო დამხმარე ნაგებობის ნაწილიდან ფართი. მათ არ გაითვალისწინეს, რომ 1/24 წილში იგულისხმება როგორც საცხოვრებელი, ისე დამხმარე და მინის ფართობი;

18.5. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ მოპასუხეს უკავია იმაზე მეტი ფართი ვიდრე მას ეკუთვნის, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოპასუხე 2007წ. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ამ ფართში ცხოვრობს და არცერთი თანამესაკუთრის ნაწილში არ შეჭრილა. ასე იყვნენ გამოფილები წინა მესაკუთრეებიც.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 თებერვლის განჩინებით მესამე მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ნ. გ-ძე (შემდგომში – „მესამე მოსარჩელის უფლებამონაცვლე“).

სამოტივაციო ნაწილი:

21. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

23. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია შესაძლებელია თუ არა მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით.

24. კასატორი დავობს, რომ სახეზე იყო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. კერძოდ, მისი განმარტებით, არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებამდე საკასაციო სასამართლო იმსჯელებს კასატორის აღნიშნულ პრეტენზიაზე.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. იმავე კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თა-

ვისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

26. ამდენად, იმისათვის, რომ კონკრეტულ საქმეზე შეწყდეს სამართალწარმოება სახეზე უნდა იყოს სამი წინაპირობა: დავა – იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. ერთ-ერთი მათგანის გამორიცხვის შემთხვევაში, საქმე ახალ დავად დაკვალიფიცირდება.

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (სსსკ-ის მე-2 მუხლი). სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტიაა, თუმცა, ეს უფლება აბსოლუტური არ არის. სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება ქარწყდება მას შემდეგ, რაც დავა სასამართლო წესით უკვე გადაწყვეტილია. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გადასინჯვას აღარ ექვემდებარება, ხოლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები – გადახედვას (სსსკ-ის 266 მუხლი). შესაბამისად, იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლით სარჩელის ინიცირება გამორიცხულია. ანეთი სარჩელის დასაშვებობის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც სასამართლოსათვის სარჩელის დასაშვებობის შემოწმების დროს უცნობია ამავე დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის ფაქტი, სასამართლო ახლად ინიცირებულ სარჩელზე შეწყვეტს წარმოებას. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოგვარებულ დავაზე სამართალწარმოების პროცესის ინიცირების დაშვებით ილახება სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან კანონის უზენაესობა სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპს ემყარება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მონესრიგებული საკითხი აღარ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, გარდა შიდა სამართლით მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბილისი 2020, გვ. 49-54).

28. საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების, როგორც მართლმსაჯულების აქტის დანიშნულებაა მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა შორის დავების გადაწყვეტა. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იგი საბოლოო, სავალდებულო და შეუქცევად ხასიათს იძენს. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა იურიდიული წესრიგის სიმტკიცეს უზრუნველყოფს, ანუ სასა-

მართლოს მიერ საბოლოოდ და შეუცვლელად დადასტურებული ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობების, ასევე, მათგან გამომდინარე სუბიექტური უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების სტაბილურობასა და მდგრადობას, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მათ რეალურ დაცვას (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბილისი 2020, გვ. 989-990).

29. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 01 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მუხუთე მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის, პირველი და მეორე მოსარჩელების, გ. კ-ისა და ე. გ-ის მიმართ, უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. კასატორი დავობს, რომ განსახილველი დავა აღძრულია იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლებით, რაც წარმოადგენდა საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობას.

30. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას შემდეგი გარემოებების გამო: განსახილველი სარჩელით საზიარო უფლების გაუქმება მოთხოვნილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.05.2017წ. დასკვნის შესაბამისად, ხოლო 01.12.2014წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ დავაში მოსარჩელე ეყრდნობოდა ექსპერტიზის სხვა დასკვნას, რომლის თანახმად, შეუძლებელი იყო სადავო უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელით სხვაგვარად არის მოთხოვნილი საზიარო უფლების გაუქმება და მხარეთათვის რეალური წილების გამოყოფა, კერძოდ, იმისათვის, რომ განხორციელდეს სადავო უძრავი ქონების გაყოფა თითოეული თანამესაკუთრის წილის ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, მოპასუხეს უნდა გამოეყოს მუხუთე მოსარჩელის ხარჯზე მის კუთვნილ წილზე მეტი ფართობი.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში განსხვავებულია როგორც დავის საგანი, ისე მისი საფუძველი, შესაბამისად, ვინაიდან საქმის წარმოების შეწყვეტისათვის კუმულატიურად უნდა იყოს სახეზე სამივე წინაპირობა – დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით (სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

32. კასატორი ასევე დავობს, რომ მას, სხვა თანამესაკუთრე-

ბისაგან განსხვავებით, საზიარო უფლების გაუქმების შედეგად არ გამოეყო რეალური წილი მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართიდან და მიეკუთვნა მხოლოდ დამხმარე ნაგებობის ფართი.

33. საქასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საზიარო უფლება, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, განეკუთვნება კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების კატეგორიას. აღნიშნული კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარო და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამდენად, საზიარო უფლების მონიღეებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება.

34. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ მონიღეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. სამოქალაქო კოდექსი იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას, საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (სსკ-ის 963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გაყიდვის გზით (სსკ-ის 964-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია.

35. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით.

36. დასახელებული სამართლებრივი ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე იმისათვის, რომ მოხდეს საზიარო საგნის ნატურით გაყოფა, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება.

ბა, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა (ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა იხ. მაგ. სუსგ საქმე №ას-1389-1309-2017, 30 აპრილი, 2018 წელი; №ას-1217-2018, 13 დეკემბერი, 2018 წელი).

37. ამდენად, კანონმდებლის ნება ნათელი და ცალსახაა, საზიარო უფლების მქონე პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს თავისი იდეალური წილის რეალურად გამოყოფა. ერთადერთი შეზღუდვა, რასაც კანონმდებელი აღნიშნული უფლების რეალიზაციის მიზნებისათვის აწესებს არის ის, რომ საზიარო უფლების მქონე პირის უფლებით, გააუქმოს საზიარო საკუთრება, არ უნდა შეიღახოს სხვა თანაზიარი მესაკუთრის საკუთრების უფლება. დაუშვებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, თუ შეუძლებელია ყველა თანამესაკუთრის საკუთრების უფლების ღირებულების შენარჩუნება საკუთარი იდეალური წილის შესაბამისად. მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის იდეალური წილის იმგვარი გამოყოფა, რომლითაც დაცულია ამ უკანასკნელის საზიარო საგნის გაყოფამდე არსებული მდგომარეობა (ღირებულება), საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით სსკ-ის 963-ე მუხლის კონტექსტში ლეგიტიმურს არ ხდის, თუ დაცული და შენარჩუნებული არ არის სხვა თანამესაკუთრეთა იდეალური წილის მდგომარეობა (ღირებულება) (იხ. სუსგ №ას-1977-2018, 22 მარტი, 2019 წელი; სუსგ №ას-1080-1000-2017, 27 ოქტომბერი, 2017 წელი).

38. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება (სუსგ №ას-1080-1000-2017, 27 ოქტომბერი, 2017 წელი).

39. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელები საზიარო უფლების გაუქმებას ითხოვენ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.05.2017წ. №002551117 დასკვნის შესაბამისად. აღნიშნული დასკვნის თანახმად, 1/24 წილის მესაკუთრეს, მოპასუხეს შენობა-ნაგებობების მთლიანი შიდა საერთო ფართობიდან, 571,71 (690,25) კვ.მ-დან, კანონით გათვალისწინებული ნორმების მოთხოვნათა დაცვით, სრული იზოლაციით (მინის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები), ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, შესაძლებელია გამოიყოს

ოთახები 29,4 (29,4) კვ.მ-ის ოდენობით, რაც მისი კუთვნილი წილის შესაბამის ფართობზე, $571,71 * 1/24 = 23,82$ კვ.მ-ზე 5,58 კვ.მ-ით მეტია, ხოლო, მიწის ნაკვეთის ფართობიდან, 631,2 კვ.მ-დან შესაძლებელია გამოეყოს მიწის ნაკვეთი 46,0 კვ.მ-ის ოდენობით, რაც მისი კუთვნილი წილის შესაბამის ფართობზე, $631,2 * 1/24 = 26,3$ კვ.მ-ზე 19,7 კვ.მ-ით მეტია, მოპასუხისათვის წილის ამგვარად გამოყოფა შესაძლებელია მეხუთე მოსარჩელის კუთვნილი წილის შემცირების ხარჯზე.

40. სადავო არაა, რომ მოპასუხისათვის გამოსაყოფი ფართი წარმოადგენს იზოლირებულ ფართს, რომელიც არ მოიცავს მოპასუხის მიერ ფაქტობრივად დაკავებულ საცხოვრებელ ფართს, სადაც იგი უძრავი ქონების წილის შექმნის დღიდან ცხოვრობს. შესაბამისად, გამოდის, რომ ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად უძრავი ქონების გაყოფის შემთხვევაში, მოპასუხემ უნდა გამოათავისუფლოს მისი საცხოვრებელი ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მესაკუთრე, ვისაც აღნიშნული ფართი მიეკუთვნება, უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა.

41. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს საერთო საკუთრების ორ ფორმას: საზიარო და წილადი საკუთრება (სსკ-ის 173-ე მუხლი). წილადი საკუთრების თანამესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი საერთო საკუთრებაში; თანაზიარი საკუთრება არსებობს მაშინ, როცა თითოეული თანამესაკუთრის წილი საერთო ქონებაში არის იდეალური წილის სახით და, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ივარაუდება, რომ თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის თანაბარი წილი (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 2, თბილისი 2018, გვ. 88). ამასთან, იდეალური წილის ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის საზიარო საგნის წილი უძრავი ქონების კონკრეტულ ფართზე მითითების გარეშე, ანუ, იდეალური წილის შემთხვევაში, არ არის განსაზღვრული უძრავი ქონების რომელი ნაწილი, რომელი ფართი არის თითოეული თანამესაკუთრის კუთვნილი წილის შესაბამისი.

42. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე არ ეთანხმება უძრავი ქონების 10.05.2017წ. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად გაყოფას, უძრავი ქონების ნატურით გაყოფა იმგვარად, რომ მოპასუხემ დაკარგოს მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართი, სადაც იგი უძრავი ქონების შექმნის დღიდან ცხოვრობს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობაში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერების სტანდარტს, ასევე, საკუთრების უფლების არსს. ვინაიდან, უძრავი ქონების თანამესაკუთრეები სარგებლობენ საერ-

თო უფლებებით და არ შეიძლება თანასაკუთრების გაყოფა მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საზიარო უფლების გაუქმებით დაცული იქნება ყველა თანამესაკუთრის უფლებები და მათი საკუთრების უფლება შეინარჩუნებს ღირებულებას საკუთარი იდეალური წილის შესაბამისად. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოცემულ შემთხვევაში, არ არის დასაბუთებული რატომ უნდა განანიღდეს თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება იმგვარად, რომ მოპასუხემ დათმოს მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართი. ამასთან, თუკი მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ მოპასუხეს აღნიშნული საცხოვრებელი ფართი უკანონოდ აქვს დაკავებული, ეს გარემოება წარმოადგენს სხვა დავის საგანს, რომელიც საზიარო უფლების ნატურით გაუქმების მოთხოვნის ფარგლებში ვერ იქნება განხილული.

43. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა საკუთრების უფლების არსი. მისი განმარტების თანახმად, „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (იხ. მაგ. გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წონორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 29 დეკემბერი, 2020 წელი).

44. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 10.05.2017წ. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შემთხვევაში, მოპასუხის საკუთრების უფლება ვერ შეინარჩუნებს ღირებულებას მისი იდეალური წილის შესაბამისად, ვინაიდან მოპასუხეს მოუწევს მისი საცხოვრებელი ფართის გამოთავისუფლება (ფაქტობრივად მას ჩამოერთმევა საცხოვრებელი), რასაც არ გააჩნია არანაირი ობიექტური გამართლება იდეალური წილის ბუნების გათვალისწინებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საზიარო უფლების ნატურით გაყოფა უძრავი ქონების ღირებულებისა და დანიშნულების შემცირების გარეშე შეუძლებელია, რის გამოც სახეზე არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის წინაპირობები. შესაბამისად, არ არსე-

ბოხს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

45. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

46. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების საფუძველია.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

48. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

49. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეებს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ა-ვის, თ. დ-ის, ლ. გ-ის უფლებამონაცვლე ნ. გ-ძის, ა. დ-ისა და ვ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. თ. ა-ვს (პ/ნ: ...), თ. დ-ს (პ/ნ: ...), ლ. გ-ის უფლებამონაცვლე ნ. გ-ძეს (პ/ნ: ...), ა. დ-სა (პ/ნ: ...) და ვ. ს-ს (პ/ნ: ...) ნ. ლ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროთ 150 (ას ორმოცდაათი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრება

პითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები

გადანყვებითლება საქართველოს სახელით

№ას-334-2021

05 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
თ. ზამბახიძე

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული თანხის უკან დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ. კ-ძემ (შემდეგში: მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა შპს „რ.ს.ა-ი“-ს (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის სა-

სარგებლოდ 1 621,791 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

2. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხე კომპანიის მაჟორიტარ პარტნიორს წარმოადგენს შ. ა-ა, რომელიც 2015 წლის 16 ნოემბრიდან დღემდე ფლობს ამ კომპანიაში 86.34% წილს. 2015 წლის 22 ივლისს, წილის დათმობის ხელშეკრულების შედეგად, მოპასუხე კომპანიამ შეიძინა შპს „ს. ი-ის“ 100%-იანი წილი კ. ჯ-ისაგან. 2016 წლის 26 თებერვალს ხელშეკრულებით ცვლილება შევიდა 2015 წლის 22 ივლისის ხელშეკრულებაში და დაზუსტდა წილის ნასყიდობის ფასის ნაწილი (500.000 აშშ დოლარი) და მისი გადახდის გრაფიკი. აღნიშნული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება წილის გამყიდველს – კ. ჯ-ს გადაეგზავნა ელექტრონულად 2016 წლის 03 ივნისს. მოპასუხე კომპანიას არ გადაუხდია წილის ფასის ნაწილი კ. ჯ-ის მიმართ, კერძოდ, 2016 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წილის ფასის ნაწილი ღირებულება – 500 000 აშშ დოლარის სახით გადაიხადა დ. კ-ქმ, რის სანაცვლოდაც, მხარეთა მოლაპარაკებით დ. კ-ქე უნდა გამხდარიყო შპს „ს. ი-ის“ პარტნიორი, ხოლო, მისი წილობრივი მონაწილეობა საბოლოოდ განისაზღვრებოდა მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის პროპორციულად. აღნიშნული 500 000 აშშ დოლარის კ. ჯ-ისათვის გადაცემის მიზნით, სს „ვ. ბ-დან“ მოსარჩელის მიერ გამოტანილი იქნა სესხი – 500 000 აშშ დოლარის ოდენობით. მოსარჩელის მიერ შპს „ს. ი-ის“ სესხი უზრუნველყოფილი იქნა პირადი თავდებობით და სესხის უზრუნველსაყოფად დაიტვირთა მისი პირადი და ოჯახის წევრების საკუთრება. ვინაიდან, შპს „ს. ი-ი“ ვერ ასრულებდა თავის სასესხო ვალდებულებას, საკრედიტო დავალიანების დაფარვის მიზნით, იპოთეკარს სს „თ. ბ-ს“ საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელის მამის – ბ. კ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი. ამასთან, სესხის დაფარვის პროცესში შპს „ს. ი-ის“ მხრიდან (ფინანსური მენეჯერის თ. ლ-ის მეშვეობით) თანმხდებოდა სესხის თანხის ეროვნულ ვალუტაში კონვერტაციის კურსი მოპასუხის წარმომადგენლებთან. მოპასუხის 2015 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილებით, შპს „ს. ი-ის“ დირექტორად დაინიშნა მოსარჩელე. 2015 წლის 17 აგვისტოს მოპასუხის მაჟორიტარი პარტნიორი შ. ა-ას წარმომადგენელი – მ. ხ-ი მოსარჩელის წერს წერილს, სადაც აღნიშნავს, რომ მათ შორის, განხილული „პარტნიორთა შეთანხმების“ სტრუქტურის და სხვა დეტალების გასარკვევად საჭიროებს ინფორმაციის მოწოდებას. 2015 წლის 21 დეკემბერს მოსარჩელე არაპირდაპირ ახორციელებს შენატანს შპს „ს. ი-სი“ 300.000 ევროს (324280 აშშ დოლარი) ოდენობით, კერძოდ, აღნიშნულ თანხას ურიცხავს მოპასუხე კომპანიის პარტნიორს შ. ა-ას, რის შემდეგაც, მოპასუხე ზრდის შპს „ს. ი-ის“ კაპიტალს, სანაცვლოდ კი უნდა გაზრდილიყო

მოსარჩელის წილობრივი მონაწილეობა შპს „ს. ი-სი“. მოპასუხის ბუღალტერს – გ. უ-ძეს დ. კ-ძე ხვდებოდა სს „გ. ბ-ს“ სათაო ოფისში, აღნიშნულ შეხვედრას ორგანიზებას უწევდა შპს „ს. ი-ის“ ფინანსური მენეჯერი თ. ლ-ი, აღნიშნული შეხვედრების დროს, მოსარჩელე გ. უ-ძეს, როგორც მოპასუხის ბუღალტერს გადასცემდა თანხას, სესხის დაფარვის მიზნით. 2017 წლის 03 ნოემბერს შპს „ს. ი-ის“ ფინანსური დირექტორი თ. ლ-ი მოსარჩელის დავალებით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართავს მ. ხ-ს და სთხოვს მას მოსარჩელის წილის პროცენტულობის განსაზღვრას მის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. 2017 წლის 10 ნოემბრის წერილით თ. ლ-ი ატყობინებს მ. ხ-ს, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული ინვესტიცია ს. ი-სი წარმოადგენს 1.119.789 აშშ დოლარს, ხოლო მოსარჩელის წილი 35.44%-ს. 2018 წლის 29 იანვრის წერილის თანახმად თ. ლ-ი ატყობინებს მ. ხ-ს, რომ მოსარჩელის მიერ ამ მომენტისათვის შპს „ს. ი-სი“ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად, მოსარჩელის წილი წარმოადგენს 38.38%-ს. 2017 წლიდან 2018 წლის ჩათვლით მოსარჩელემ მოპასუხეს ნაღდი ანგარიშსწორების გზით გადასცა თანხა 491.096 აშშ დოლარი, რაც მხარეთა მოლაპარაკებით ითვლებოდა შპს „ს. ი-ის“ წილის საფასურად. სწორედ ამის დასადასტურებლად, 2018 წლის 13 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით, შპს „ს. ი-ის“ წარმომადგენელი მ. გ-ი, მოპასუხე კომპანიის დირექტორი ლ. კ-ა, მოსარჩელე და თ. ლ-ი აწარმოებენ მიმოწერას, კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტების გაცვლას მოსარჩელის მიერ განხორციელებული გადახდების საფუძველზე, ასევე, შპს „ს. ი-სი“ გადახდების პროპორციულად მოსარჩელის წილის განსაზღვრის შესახებ. შპს „ს. ი-ის“ წარმომადგენლის მიერ, ასევე, ლ. კ-ას მიერ გამოგზავნილ მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია, რომ შ. ა-ა და მოსარჩელე ადასტურებენ შემდეგს – მოსარჩელის წილი შპს „ს. ი-სი“ განისაზღვრება მის მიერ განხორციელებული შენატანების პროპორციულად. მოსარჩელის მიერ 2017 წლის 26 ივნისს მოპასუხეს გადაეცა 37 800 აშშ დოლარი, ხოლო 2018 წლის ივნისში მოსარჩელის მიერ მოპასუხის, წარმომადგენელს შ. ა-ას მიერ გადაეცა 140.000 აშშ დოლარი, შემდგომ კი, 204.415 აშშ დოლარი. ამასთან, 2016-2017 წლებში მოსარჩელეს შ. ა-ასა და მ. ხ-ს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მოლაპარაკების თანახმად, მოსარჩელეს უნდა დაეფარა მოპასუხის სესხი, რომელიც ჩაითვლებოდა შპს „ს. ი-სი“ მოსარჩელის შენატანად. ამის მიხედვით კი, უნდა გაზრდილიყო მოსარჩელის წილის ოდენობა შპს „ს. ი-სი“. მოპასუხე კომპანიის 2018 წლის 14 აგვისტოს გადწყვეტილებით მოსარჩელე გათავისუფლდა შპს „ს. ი-ის“ დირექ-

ტორის თანამდებობიდან და კომპანიის დირექტორად დაინიშნა მოპასუხის დირექტორი – ლ. კ-ა. 2018 წლის 24 აგვისტოს ლ. კ-ა წერილს წერს შპს „ს. ი-ის“ თანამშრომლებს და ატყობინებს მათ, რომ მოსარჩელის ნაცვლად კომპანიას თვითონ უხელმძღვანელებს და იმავე წერილში ლ. კ-ა ადასტურებს, რომ მოსარჩელე წარმოადგენს შპს „ს. ი-ის“ თანამფლობელს. მოპასუხე კომპანია წარმოადგენს ტ-ის ჯგუფის ნაწილს, რომელსაც აკონტროლებს შ. ა-ა და მ. ბ-ი. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამჟამად სასამართლოში მიმდინარეობს დავა შპს ბ-სა და შპს „ს. ი-ს“ შორის გარიგების (თვალთმაქცური) ბათილად ცნობის მოთხოვნით. მითითებულ საქმეში ს. ი-ის მიერ წარდგენილ შესაგებელში აღნიშნულია, რომ – გარიგების დადება, რომლის ღირებულებაც 15 მილიონ ლარს აღემატება, მოხდა სწორედ შ. ა-ას მეშვეობით. ამდენად, აღნიშნულიდან დასტურდება, რომ შ. ა-ა მართავს როგორც მოპასუხე კომპანიას, ასევე შპს „ს. ი-ს“. შ. ა-ა აგრეთვე წარმოადგენს ... სპორტის ფედერაციის პრეზიდენტს და ელექტრონული ფოსტა, რომელზედაც შ. ა-ასთან მოსარჩელე აწარმოებდა მიმოწერას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, წარმოადგენს მის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას. მოსარჩელე დირექტორად დაინიშვნის დღიდან, კერძოდ, 2015 წლის 03 აგვისტოდან მის მიერ უფლებამოსილ პირებთან ერთად ინტენსიურად, ყოველთვიურად აწვდიდა მოპასუხე კომპანიასა და შ. ა-ას შპს „ს. ი-ის“ ფინანსურ ინფორმაციას, აგრეთვე, მოპასუხის მიერ უფლებამოსილ პირებს ჰქონდათ წვდომა შპს „ს. ი-ის“ პროგრამაზე, სადაც აისახებოდა შპს „ს. ი-ის“ ყველა ფინანსები. მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენლებმა არაერთხელ მოითხოვეს (2015-2018 წლებში მხარეებს შორის მრავალჯერ განხორციელდა მიმოწერა) კომპანიის – შპს „ს. ი-ის“ პარტნიორად მოსარჩელის რეგისტრაცია, განხორციელებული ინვესტიციების პროპორციულობის ფარგლებში, თუმცა, ამგვარი რეგისტრაცია არ მოხდარა, რამაც წარმოშვა უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლით, მოპასუხის მიერ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება. ამასთან, მოსარჩელის მიერ მოპასუხე კომპანიის პირდაპირ და არაპირდაპირი გზით თანხის გადაცემა დასტურდება არაერთი მტკიცებულებით, ისევე, როგორც უტყუარად დასტურდება, რომ მოსარჩელეს აღნიშნული ინვესტირების სანაცვლოდ, გააჩნდა კანონიერი მოლოდინი, რომ გახდებოდა შპს „ს. ი-ის“ პარტნიორი.

3. მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2015 წლის 22 ივლისს მოპასუხე კომპანიასა და შპს „ს. ი-ის“ 100% წილის მფლობელ პარტნიორ კ. ჯ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება წილის ნასყიდობის შესახებ, რომელიც იყო საკმაოდ მოცულობითი

და რომელსაც, ასევე, ჰქონდა უამრავი დანართი, ასევე, შეიცავდა ისეთ ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებაც მხარეებს არ სურდათ, ამიტომ მხარეთა გადაწყვეტილებით იმავე დღეს დაიდო წილის დათმობის ერთგვერდიანი ხელშეკრულება, რომელიც წარედგინა სამეწარმეო რეესტრს დასარეგისტრირებლად. 2016 წლის 26 თებერვალს ცვლილება შევიდა არა წილის დათმობის ხელშეკრულებაში, არამედ წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში. ამასთან, არავითარი ფასის დაზუსტება არ მომხდარა, უბრალოდ მხარეებმა განსაზღვრეს დარჩენილი 500 000 აშშ დოლარის გადახდის ახალი გრაფიკი. წილის სრული ღირებულება – 4 500 000 აშშ დოლარი გადახდელ იქნა მოპასუხის მიერ. რაც შეეხება მოსარჩელის განმრატებას, რომ 500 000 აშშ დოლარი გადაიხადა მოსარჩელემ, რის სანაცვლოდ, მოსარჩელე უნდა გამხდარიყო შპს „ს. ი-ის“ პარტნიორი, მოპასუხის წარმომადგენელი მიუთითებს, რომ მთლიანი წილის ღირებულება გადაიხადა მოპასუხე კომპანიამ. შესაბამისად, მათთვის უცნობი იყო, თუ რა მოლაპარაკება მოხდა დ. კ-ქსა და კ. ჯ-ს შორის და გადაუხადა თუ არა ზემოაღნიშნული თანხა კ-ქემ ჯ-ს. მოპასუხის განმარტებით, მ. ხ-ი არ არის შ. ა-ას წარმომადგენელი, რადგან წარმოდგენილი არაა მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულება. მიუხედავად იმისა, რომ შ. ა-ა არის მოპასუხე კომპანიის 86.34% წილის მესაკუთრე, იგი უფლებამოსილი არაა წარმოადგინოს მოპასუხე კომპანია. ასეთი უფლებამოსილება კანონისა და საწარმოს წესდების შესაბამისად, აქვს მის დირექტორს, რომელიც იმ პერიოდშიც და დღესაც იყო და არის ლ. კ-ა. შესაძლოა მ. ხ-ი მართლაც მუშაობს ერთ-ერთ საწარმოში, მაგრამ რ.ს.ა-ს არც წერილობით და არც ზეპირსიტყვიერად არასოდეს მიუცია უფლებამოსილება მ. ხ-ისათვის ემოქმედა ...-ის ავტოდრომის სახელით. მართალია, შ. ა-ა წარმომადგენს მოპასუხე კომპანიის მესაკუთრეს, თუმცა, მისი ყველა მოქმედება არ მოიაზრებს თავის თავში გადაწყვეტილების მიღებას და მითუმეტეს, არ მოიაზრებს წარმომადგენლობას შპს „ს. ი-სა“ ან მოპასუხე კომპანიაში, ვინაიდან, იგი საწარმოში უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით და წესდებით მინიჭებულ ფარგლებში.

4. მოპასუხის განმარტებით, სარჩელზე თანდართული მტკიცებულებებით დასტურდება მხოლოდ ის, რომ მოსარჩელეს შეაქვს ნაღდი ფულის სახით შ. ა-ას საბანკო ანგარიშზე 300 000 ევრო, ხოლო შ. ა-ას ანგარიშიდან რა ბედი ენია ამ ფულს, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით მართლაც დასტურდება ბანკიდან მოსარჩელის მიერ კრედიტის გამოტანის ფაქტი, თუმცა ის, რომ აღნიშნული თანხა განკუთვნილი იყო კ. ჯ-ისათვის, საქმე-

ში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რადგან შპს „ს. ი-ის“ წილის ღირებულება მოპასუხემ სრულად გადაუხადა კ. ჯ-ს.

5. 2017-2018 წლებში მოსარჩელეს ნაღდი ანგარიშსწორებით რა-იმე თანხა არ გადაუხდია მოპასუხისათვის და შესაბამისად, არც 461 096 აშშ დოლარი არ გადაუცია მოპასუხისათვის. ლ. კ-ას მიერ ელექტრონული ფოსტით გადაგზავნილი მიღება-ჩაბარების აქტი არ არის ხელმოწერილი და შესაბამისად, არ დასტურდება მოპასუხის მიერ თანხის მიღების ფაქტი, ხოლო რაც შეეხება 2017 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც მოპასუხე კომპანიის სახელით ხელს აწერს ა. კ-ვა, აღნიშნული პიროვნება მართლაც მუშაობდა ავტოდრომში, თუმცა, პირადი განცხადების საფუძველზე 2017 წლის 11 მაისს განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

6. მოპასუხის განმარტებით, მართალია შ. ა-ა არის მოპასუხე კომპანიის 86.34%-ის წილის მესაკუთრე, თუმცა, არასდროს არ ყოფილა ავტოდრომის წარმომადგენელი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობდა მხოლოდ ლ. კ-ა და შესაბამისად, თ. ლ-ის 2018 წლის 2 ივლისის წერილის ადრესატი იყო სწორედ ეს უკანასკნელი, თუმცა, არც წერილში და არც მის დანართში არსად არ არის ნახსენები მოპასუხე კომპანია. ამასთან, წერილში საუბარია მხოლოდ 140 000 აშშ დოლარზე.

7. 2018 წლის 24 აგვისტოს ლ. კ-ას მიერ ნამდვილად მოხდა შპს „ს. ი-ის“ თანამშრომლებისათვის წერილის გაგზავნა და მის მიერ ფრაზის – „ბატონი დ-ი, როგორც ამ კომპანიის თანამფლობელი“ გაუღერება განპირობებული იყო შემდეგი მიზეზით, კერძოდ, დ. კ-ძე კომპანიის მართვისას ყველას ეუბნებოდა, რომ შპს „ს. ი-ის“ თანამფლობელი იყო, შესაბამისად, სწორედ მან სთხოვა ლ. კ-ას, რომ არ დაემცირებინა თანამშრომლების თვალში და მათთვის ეთქვა, რომ იყო ს. ი-ის თანამფლობელი. ამასთან, ლ. კ-ას მიერ წერილის თანამშრომლებისთვის მიწერის დროს მართლაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოსარჩელის მიერ შპს „ს. ი-ის“ 100% წილის შექმნაზე და შესაძლო იყო მოსარჩელე მართლაც გამხდარიყო კომპანიის პარტნიორი. ამდენად, სწორედ ეს გარემოება წარმოადგენდა წერილში მოსარჩელის თანამფლობელად მოხსენიებას. ამასთან, მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, თუმცა, მათ შორის რაიმე შეთანხმების მიღწევას ადგილი არ ჰქონია. შესაგებელში მოპასუხის წარმომადგენელი მიუთითებს, რომ მოსარჩელეს არც პირდაპირ და არც ირიბად მოპასუხე კომპანიაში ინვესტიცია არ განუხორციელებია. მოსარჩელის ქონება არ ყოფილა გამოყენებული შპს „ს. ი-ის“ ვალის უზრუნ-

ველსაყოფად, მოსარჩელე იყო მხოლოდ თავდები, როგორც ს. ი-ის დირექტორი, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნა მესამე პირის ქონება, რომელსაც შემხებლობა არ აქვს აღნიშნულ დავასთან. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მიმონერა (სატელეფონო), რომელიც განხორციელდა გ. უ-ძესა და თ. ლ-ს შორის, ეს არის ორ სუბიექტს შორის, კერძოდ ფინანსურ მენეჯერსა და ბუღალტერს შორის საუბარი თანხების კონვერტაციაზე, კაპიტალში შეტანაზე და ა.შ, რაც ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესია რომელიც განხორციელდა ორ ურთიერთდამოკიდებულ პირს შორის. თუმცა, აღნიშნული მიმონერით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ რაიმე თანხების გადახდა, ის ფაქტი, რომ ბანკში განხორციელდა ორი ფიზიკური პირის შეხვედრა, უპირობოდ არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მათ შორის, მოხდა თანხის გადაცემა, და გადაცემის შემთხვევაში, რომ ეს თანხა უპირობოდ ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

8. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 1,621,791 აშშ დოლარის გადახდა. უცვლელად დარჩა სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე კომპანიის მათორიტარ პარტნიორს წარმოადგენს შ. ა-ა, რომელიც 2015 წლის 16 ნოემბრიდან, დღემდე ფლობს ამ კომპანიაში წილის 86.34% საკუთრებაში.

11. 2015 წლის 22 ივლისის წილის დათმობის ხელშეკრულების შედეგად, მოპასუხემ, კომპანიის წარმომადგენლის – დირექტორ ლ. კ-ას სახით, შეიძინა შპს „ს. ი-ის“ 100% წილი კ. ჯ-ისაგან, ხოლო 2016 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულებით, ცვლილება შევიდა 2015 წლის 22 ივლისის ხელშეკრულებაში და დაზუსტდა წილის ნასყიდობის ფასი (500000 აშშ დოლარი) და მისი გადახდის გრაფიკი.

12. მოპასუხე კომპანიის 2015 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, შპს „ს. ი-ის“ (ს/კ ...) დირექტორად დაინიშნა დ. კ-ძე.

13. მოპასუხის 2018 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე გათავისუფლდა შპს „ს. ი-ის“ დირექტორის თანამდებო-

ბიდან და შპს „ს. ი-ის ღირექტორის“ თანამდებობაზე დაინიშნა ლ. კ-ა.

14. 2015 წლის 21 დეკემბერს მოსარჩელემ 300000 ევრო შეიტანა მოპასუხე კომპანიის პარტნიორის, 86.34% წილის მესაკუთე – შ. ა-ას ანგარიშზე.

15. 2015 წლის 17 აგვისტოს მ. ხ-ი მოსარჩელეს წერს წერილს, სადაც აღნიშნავს, რომ მათ შორის განხილული „პარტნიორთა შეთანხმების“ სტრუქტურის და სხვა დეტალების გასარკვევად, საჭიროებს ინფორმაციის მონოდებას.

16. 2017 წლის 3 ნოემბერს შპს „ს. ი-ის“ ფინანსური მენეჯერი – თ. ლ-ი, მოსარჩელის დავალებით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართავს მ. ხ-ს და თხოვს მას, მოსარჩელის წილის პროცენტულობის განსაზღვრას მის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. საპასუხოდ მ. ხ-ი სთხოვს თ. ლ-ს შენატანების ოდენობისა და თარიღების მინოდებას, რათა განისაზღვროს მოსარჩელის წილის ოდენობა.

17. 2017 წლის 3 ნოემბრის წერილის პასუხად, 2017 წლის 10 ნოემბრის წერილით თ. ლ-ი აცყობინებს მ. ხ-ს, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული ინვესტიცია შპს „ს. ი-სი“ წარმოადგენს 1,119,789 აშშ დოლარს, ხოლო მოსარჩელის წილი 35,44%.

18. 2018 წლის 29 იანვარს, თ. ლ-ი აცყობინებს მ. ხ-ს, რომ მოსარჩელის მიერ იმ მომენტისთვის შპს „ს. ი-სი“ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად, მოსარჩელის წილი წარმოადგენს 38.38%-ს.

19. 2018 წლის 24 აგვისტოს, ლ. კ-ა წერილს წერს შპს „ს. ი-ის“ თანამშრომლებს და აცყობინებს, რომ მოსარჩელის ნაცვლად კომპანიას ამიერიდან უხელმძღვანელებს იგი. წერილში ლ. კ-ა აღნიშნავს, რომ „ბატონი დ-ი, როგორც ამ კომპანიის თანამფლობელი, „რ. ს. ა-თან ერთად რჩება კომპანიის ფარგლებში მიმდინარე სტრატეგიულ პროცესებში მონაწილე მნიშვნელოვან პირად“.

20. დადგენილია, რომ მოპასუხე კომპანიას არ გადაუხდია შესყიდული შპს „ს. ი-ის“ წილის საზღაურის ნაწილი – 500,000 აშშ დოლარი კ. ჯ-ისთვის, აღნიშნული გადაიხადა მოსარჩელემ.

21. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოკვევას ექვემდებარება მხოლოდ ის გარემოება, უნდა მიიღოს თუ არა მოსარჩელემ მოპასუხე კომპანიისაგან თანხა.

22. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადას-

ცა, შეუძლია მოსახოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უკან დაბრუნების მოთხოვნა გამოირიცხულია, თუ: ა. შესრულება შესაბამეა ზნეობრივ მოვალეობებს, ან გ. მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები. შესრულების უკუმოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემსრულებლისა და მიმღების სამართლებრივ ურთიერთმიმართებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია სსკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამდენად, შეფასება იმისა, შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, თუ შესრულება მომდინარეობს ზნეობრივი მოვალეობიდან, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლება-მოვალეობრივი კავშირი არსებობს შემსრულებელსა და მიმღებს შორის, რა სუბიექტური დამოკიდებულება ჰქონდა შემსრულებელსა და მიმღებს უშუალოდ შესრულების მიმართ. აღნიშნული გამიჯვნადია განსაკუთრებით მჭიდრო ნათესაური და მეგობრული ურთიერთკავშირების დროს. თუ შემსრულებელი შესრულების დროს მოქმედებდა ზნეობრივ სანდისებზე დაყრდნობით იმთავითვე გამოირიცხება მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობა.

23. განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ 2015 წლის 22 ივლისს, მოპასუხესა და კ. ჯ-ს შორის დაიდო წილის დათმობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით შპს „ს. ი-ის“ 100% წილის მესაკუთრე გახდა მოპასუხე კომპანია. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველი გახდა ერთი მხრივ, მოსარჩელეს და კ. ჯ-ს შორის, ხოლო მეორე მხრივ, მოსარჩელეს და შ. ა-ასა შორის წარმოებული მოლაპარაკება, რომლის მიხედვით, შპს „ს. ი-ის“ წილების ბენეფიციარი (საბოლოო) მესაკუთრეები უნდა გამხდარიყვნენ შ. ა-ა და მოსარჩელე. ასევე, 100% წილი სანდის ეტაპზე გაფორმებულიყო შ. ა-ას კუთვნილ კომპანიაზე – მოპასუხე კომპანიაზე, ხოლო წილის შესაბამისი ნაწილის გადაფორმება მოსარჩელეზე, მოხდებოდა მას შემდეგ, როცა პროპორციულად განახორციელებდა საწარმოში ინვესტირებას. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, მოსარჩელე შპს „ს. ი-ის“ ყოფილ მესაკუთრე კ. ჯ-თან, წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზე ანუ, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, კ. ჯ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი

წილი შპს „ს. ი-სი“ უნდა გადაეფორმებინა მოპასუხისათვის. ამასთან, უნდა გათავისუფლებულიყო მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, რომელიც „პ. ბ-სი“ სესხის უზრუნველსაყოფად იყო იპოთეკით დატვირთული. მას შემდეგ, რაც გათავისუფლდა იპოთეკიდან კ. ჯ-ის უძრავი ქონებები და მიიღო 3 900 000 აშშ დოლარი, მოხდა წილის მოპასუხეზე გადაფორმება, ხოლო დარჩენილი 500 000 აშშ დოლარი მოპასუხის ნაცვლად მას გადაუხადა მოსარჩელემ „ვ. ბ-ს“ სათაო ოფისში 2016 წლის 23 სექტემბერს. 2016 წლის 20 სექტემბერს მოსარჩელეზე სს „ვ. ბ. ჯ-ას“ მიერ დამტკიცებული იქნა სესხი 500,000 აშშ დოლარის ოდენობით, რაც მოსარჩელის მიერ გატანილი იქნა 2016 წლის 23 სექტემბერს და გადაეცა კ. ჯ-ს, აღნიშნულს ადასტურებს კ. ჯ-ი პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხვისას.

24. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა მტკიცებულებების არასათანადო შეფასებას და მიუთითა საქმეში წარმოდგენილ შემდეგ მტკიცებულებებზე: 2016 წლის 2 თებერვლის შეთანხმების აქტი, თანხის მიღება-ჩაბარების შესახებ, ხელმოწერილი კ. ჯ-ისა და მოპასუხე კომპანიის დირექტორის ლ. კ-ას მიერ, რომლის თანახმად, 2015 წლის 22 ივლისის წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულების 2.2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულია სრულად, კერძოდ კ. ჯ-ს გადაეცა 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში 247 020 ლარი, ამავე თარიღის სალაროს გასვლის ორდერი, რომელიც ადასტურებს თანხის გადაცემას კ. ჯ-ს სალარო გასვლის ორდერით, ხელმოწერილი კ. ჯ-ის და ლ. კ-ას მიერ. 2016 წლის 26 სექტემბრის სალარო გასვლის ორდერი, რომლის საფუძველია წილის ნასყიდობის თანხა, რომლის თანახმად, კ. ჯ-ს გადაეცა 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში – ერთი მილიონ ასორმოცდათექვსმეტი ათასს ექვსასი ლარი, ხელმოწერილი კ. ჯ-ის და ა. კ-ას, მოპასუხე კომპანიის მთავარი ბუღალტრის მიერ. კ. ჯ-მა სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ 500 000 აშშ დოლარი მიიღო უშუალოდ მოსარჩელისაგან, ხოლო რაღაც პერიოდის გასვლის შემდგომ თბილისში, თავის ოფისში მოაწერა ხელი ფორმალურად დოკუმენტებს – სალაროს გასაგვლის ორდერებს, რომ თითქოს მოპასუხის ოფისში მიიღო თანხები. ასევე, საერთოდ არ მიუღია ბოლო გადახდად ნაჩვენები 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 247 000 ლარი, რომელიც მოსარჩელესთან ურთიერთშეთანხმებით გაიქვითა სასაქონლო ნაშთების ვარგისიანობაზე არსებული პრეტენზიების გამო. მონმე ა. კ-ამ ასევე დაადასტურა, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორის მითითებით ბუღალტრულად ტარდებოდა თანხები, როგორც დამფუძნებლის – შ. ა-ს შენატანი

და შემდგომ კ. ჯ-ძე გაცემა წილის შესყიდვის საფასურად, მაშინ როდესაც რეალურად არც თანხის მიღებას და არც გაცემას ადგილი კომპანიაში არ ჰქონია, კ. ჯ-ს საერთოდ არ შეხვედრია.

25. უდავოა, რომ მოპასუხე კომპანიის მაჟორიტარ პარტნიორს წარმოადგენს შ. ა-ა, რომელიც 2015 წლიდან დღემდე, ფლობს ამ კომპანიაში 86.34% წილს საკუთრებაში, ხოლო საქმის მასალებით და ლ. კ-ას მიერ სასამართლოზე მიცემული განმარტებით, ასევე მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ აღნიშნული პიროვნება მართავს, როგორც შპს „რ.ს.ა-ს, ისევე შპს „ს. ი-ს“ და შესაბამისად, მათ საქმიანობაში ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიმღები პირი იყო სწორედ შ. ა-ა. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული იქნენ თ. ლ-ი, ა. კ-ა და გ. უ-ძე, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მოპასუხე კომპანიის ჩართულობა შპს „ს. ი-ის“ საქმიანობაში იყო ფაქტობრივად ფორმალური, გადაწყვეტილების მიმღები პირი იყო მხოლოდ შ. ა-ა. ა. კ-ა მიუთითებს, რომ მისი გაგზავნა შპს „ს. ი-სი“ მოხდა სწორედ შ. ა-ას მიერ, ხოლო მოწმე თ. ლ-ი განმარტავს, რომ „ს. ი-ის“ ფინანსურ მონაცემებთან დაკავშირებით მას შეხვედრა ჰქონდა (შპს ს. ი-ის სათათბირო ოთახში) შ. ა-ას, დ. კ-ძესა და მ. ხ-თან, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა შ. ა-ას მიერ უფლებამოსილ პირს და აღნიშნული შეხვედრის შემდგომ, მ. ხ-მა მას თავადვე განუმარტა, რომ შპს „ს. ი-ის“ ფინანსებთან დაკავშირებით ყოველთვიური ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მისთვის. შპს „ბ.ჯ.კ-ი“-ს მაჟორიტარ პარტნიორს (წილის 99.9% წილის მესაკუთრეს), რომელიც ასევე შპს „რ.ს.ა-ის“ დარჩენილი წილის მესაკუთრეა, დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შ. ა-ა, ხოლო, ამავე კომპანიის 99.9% წილის მესაკუთრეს, 2010 წლის 25 თებერვლისათვის (კომპანიის მაშინდელი სახელი – შპს ბ.ე.ტ.ს.) წარმოადგენდა ყაზახეთში რეგისტრირებული უცხოური საწარმო ტ., რომლის მაჟორიტარი პარტნიორიც დღემდე შ. ა-ა. შესაბამისად, მოპასუხე, წარმოადგენს ტ-ის ჯგუფის ნაწილს და იმყოფება შ. ა-ას კონტროლის ქვეშ, აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ მ. ხ-ი მოქმედებდა შ. ა-ასა და მოპასუხე კომპანიის სახელით.

26. 2015 წლის 17 აგვისტოს, მოპასუხე კომპანიის მაჟორიტარი პარტნიორი – შ. ა-ას წარმომადგენელი – მ. ხ-ი, დ. კ-ძეს წერს წერილს, რომ მათ შორის, განხილული „პარტნიორთა შეთანხმების“ სტრუქტურის და სხვა დეტალების გასარკვევად, საჭიროებს ინფორმაციის მოწოდებას. 2017 წლის 3 ნოემბერს, თ. ლ-ი, როგორც შპს „ს. ი-ის“ ფინანსური დირექტორი, დ. კ-ძის დავალებით, ელფოსტის მეშვეობით მიმართავს მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელს, მ. ხ-ს და თხოვს მას დ. კ-ძის წილის პროცენტულობის გან-

საზღვრას, მის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. მ. ხ-ის სთხოვს თ. ლ-ს შენატანების ოდენობისა და თარიღების მიწოდებას, რათა განისაზღვროს დ. კ-ძის წილის ოდენობა. 2017 წლის 10 ნოემბრის წერილით, ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, თ. ლ-ი ატყობინებს მ. ხ-ს, რომ დ. კ-ძის მიერ განხორციელებული ინვესტიცია შპს „ს. ი-სი“ წარმოადგენს 1,119,789 აშშ დოლარს, რის შესაბამისად, მოსარჩელის წილი უნდა განისაზღვროს – 35,44%. 2018 წლის 29 იანვარს, თ. ლ-ი ატყობინებს მ. ხ-ს, რომ მოსარჩელის მიერ იმ მომენტისთვის შპს „ს. ი-სი“ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად, გააჩნია წილი 38.38 %-ის ოდენობით. მოწმე თ. ლ-ის ჩვენებით ასევე დასტურდება, რომ მ. ხ-თან, მოსარჩელესთან და შ. ა-ასთან ჰქონდა შეხვედრა, რა დროსაც, მის მიერ, როგორც პარტნიორების მიმართ, წარდგენილი იქნა პრეზენტაცია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აგრეთვე, მის მიერ სისტემატურად იგზავნებოდა მ. ხ-ათან, როგორც შ. ა-ას წარმომადგენელთან ფინანსური მონაცემები და მოსარჩელის მიერ განხორციელებული შენატანები. ელექტრონულ მიმონერაში ასევე ფიგურირებდა მოპასუხე კომპანიის დირექტორი ლ. კ-ა.

27. მოსარჩელის, როგორც შპს „ს. ი-ის“ პარტნიორის წარდგენა მოხდა თავად კ. ჯ-ის მიერ, როცა მოხდა კ. ჯ-ის მიერ კომპანიის გაყიდვა. აღნიშნული ფაქტს კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ შპს „ს. ი-ის“ სესხი უზრუნველყოფილ იქნა პირადი თავდებობით და სესხის უზრუნველსაყოფად დაიტვირთა მისი ოჯახის წევრის, კერძოდ მამის – ბ. კ-ძის უძრავი ქონება და ვინაიდან „ს. ი-ი“ ვერ ახორციელებდა თავის სასესხო ვალდებულებების შესრულებას, საკრედიტო დავალიანების დაფარვის მიზნით, იპოთეკარს სს „თ. ბ-ს“ საკუთრებაში გადაეცა ბ. კ-ძის უძრავი ქონება.

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს აქვს უფლება მოსთხოვოს მოპასუხეს ის, რაც ვალდებულების გარეშე გადასცა (სსკ-ს მუხლი 976).

29. სსკ-ის 991-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული. ამავე კოდექსის 979-ე მუხლით კი განსაზღვრულია უსაფუძვლო გამდიდრებისას უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები. კერძოდ, აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილით უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით.

30. საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ 2015 წლის 21 დეკემბერს, მოსარჩელე არაპირდაპირ ახორციელებს ინვესტირებას შპს „ს. ი-სი“ 300 000 ევროს ოდენობით, კერძოდ, თანხა შეაქვს მოპასუხე კომპანიის მაჟორიტარი პარტნიორის – შ. ა-ას ანგარიშზე. აღნიშნული თანხა წარმოადგენდა მოსარჩელის წილის საფასურს შპს „ს. ი-სი“, რაც დასტურდება 2017 წლის 3 ნოემბრის, მ. ხ-ს, თ. ლ-სა და მოსარჩელეს შორის არსებული მიმონერით, რომლის თანახმად, მ. ხ-ს, როგორც შ. ა-ას წარმომადგენელს, გაეგზავნა თანხებისა და გადარიცხვების შესახებ ინფორმაცია, რაც მიჩნეული უნდა ყოფილიყო წილის შესყიდვის საფასურის გადახდად. 2015 წლის 21 დეკემბერს გადაცემული 300 000 ევრო-324 280 აშშ დოლარი დაფიქსირებულია, როგორც წილის შესყიდვის საფასური. ზემოაღნიშნული თანხის გადაცემის შემდგომ შ. ა-ა 1 000 000 აშშ დოლარის შეტანას ახორციელებს მოპასუხე კომპანიაში და 2016 წლის 2 მარტის ტრანზაქციის თანახმად ხორციელდება კომპანიის ვადაცადაცილებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვა. სესხის დაფარვის პროცესში, შპს „ს. ი-სი“ მხრიდან თ. ლ-ის მეშვეობით თანხმდებოდა სესხის თანხის ეროვნულ ვალუტაში კონვერტაციის კურსი მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელთან, აგრეთვე, თანხმდებოდა თ. ლ-სა და გ. უ-ძეს შორის, მოსარჩელის და გ. უ-ძის შეხვედრის ადგილი და დრო, რომელიც იდენტიურად ემთხვევა დ. კ-ძის მიერ გ. უ-ძისათვის თანხის გადაცემას და ამ უკანასკნელის მიერ თანხის შეტანას მოსარჩელის ანგარიშზე, რომელიც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ფაქტების კონსტატაციით, 2019 წლის 21 ოქტომბრის თ. ლ-ის სატელეფონო შეტყობინების ამონაწერით და მისივე განმარტებით.

31. სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის 2017 წლის 26 ივნისს, ეროვნული ვალუტის გაყიდვის გზით ჩარიცხულია 37 800 დოლარი ა. კ-ას (შპს რ.ს.ა-ის ბუღალტერი) მიერ. იმავე დღეს, სს „ვ. ბ-დან“ მოსარჩელის მიერ გამოტანილ იქნა 91000 ლარი. საქმეში წარმოდგენილი 2019 წლის 10 ოქტომბრის მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2019 წლის 26 ივნისს, შედგა მიღება-ჩაბარების აქტი ზემოაღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებით, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. 2017 წლის 25 ივლისს მოპასუხე კომპანიის მთავარი ბუღალტრის გ. უ-ძეს მიერ ჩარიცხულია 91 000 ლარი. საქმის მასალებში წარმოდგენილია დ. კ-ძის მიერ იმავე თარიღში ვ. ბ-დან თანხის გამოტანა 91 000 ლარის ოდენობით. კონვერტაცია განხორციელდა კურსით 2.4050, რაც ზუსტ თანხვედრაშია სესხის სახით გადახდილ თანხასთან 37 838.84 აშშ დოლართან. ხოლო 2017 წლის 24 აგვისტოს, ეროვნული ვალუტის გაყიდვის გზით ავტოდრომში ჩა-

რიცხულია 37 800 დოლარი გ. უ-ძის მიერ, რაც ასევე დასტურდება ამავე რიცხვით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტით.

32. დადგენილი იქნა, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს, ეროვნული ვალუტის გაყიდვის გზით აგრეთვე ჩარიცხულია 37 800 დოლარი, გ. უ-ძის მიერ, რაც ასევე დასტურდება ამავე რიცხვით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტით. 2017 წლის 25 ოქტომბერს რ.ს.ა-ის სალაროში მთავარი ბუღალტრის გ. უ-ძის მიერ შეტანილი იქნა 95 000 ლარი, რომელსაც თავად გ. უ-ძის ჩვენებასთან ერთად ადასტურებს ამავე თარიღში შესრულებული მიღება-ჩაბარების აქტი და შემოსავლის გასვლის ორდერი, ხოლო 2017 წლის 27 ნოემბერს სალაროში 103 080 ლარის შეტანა გ. უ-ძეს მიერ, დასტურდება ამავე რიცხვით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტით და გასვლის ორდერით. 2017 წლის 25 დეკემბერს სალაროში 97 200 ლარის შეტანა გ. უ-ძის მიერ, დასტურდება ამავე რიცხვით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტით და გასვლის ორდერით. 2018 წლის 28 თებერვალს ავტოდრომის სალაროში – 93 290 ლარის და 25 აპრილს – 94 000 ლარის შეტანა გ. უ-ძის მიერ, დასტურდება ამავე რიცხვებით დათარიღებული გასვლის ორდერებით. 2018 წლის 29 მაისს შპს რ.ს.ა-ის სალაროში – 93 900 ლარის შეტანა გ. უ-ძის მიერ, აისახება შპს რ.ს.ა-ის ანგარიშზე, აღნიშნულის პარალელულად კი, ამავე თარიღით მოხდა 37 800 დოლარის ჩარიცხვა მ. ბ-ძის მიერ (სს ს. ბ-ის ანგარიშზე). 2018 წლის 29 მაისს, თ. ლ-ი, გ. უ-ძეს სატელეფონო შეტყობინებით უთანხმებს კ-ში თანხის დაკონვერტირებას. 2018 წლის 2 ივლისს – 140 000 აშშ დოლარის, ხოლო 8 ივლისს – 500 000 ლარის რ.ს.ა-ის სალაროში შეტანა გ. უ-ძის მიერ დასტურდება 2018 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტით. მოწმე ა. კ-ამ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოსარჩელის მიერ თანხის გადაცემის ფაქტი, ასევე არ უარყო, რომ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა განხორციელებულია მის მიერ, თუმცა მისი შინაგანი რწმენით აღნიშნული თანხა წარმოადგენდა შპს „ს. ი-ის“ მიერ სესხის დაფარვის მიზნით გაცემულ თანხას, ხოლო მოწმე გ. უ-ძემ დაადასტურა დ. კ-ძის და მის მიერ უფლებამოსილი პირების მეშვეობით თანხის რამდენჯერმე მიღება „ვ. ბ-ს“ ოფისში, რომელიც შემდგომ მოპასუხე კომპანიის ბუღალტერიში აისახებოდა, როგორც დამფუძნებლის შენატანი და ხდებოდა სესხის დაფარვა.

33. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის წარმომადგენლებს საქმის წარმოების არცერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხე კომპანიისთვის გადაცემული თანხები წარმოადგენდა შპს „ს. ი-ის“ კუთვნილ თანხებს. დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელის შპს „ს. ი-ის“ დირექტორის თანამდებობიდან

გათავისუფლების შემდეგ, 2018 წლის 19 სექტემბერს, ლ. კ-ა, რომელიც წარმოადგენდა როგორც შპს „ს. ი-ის“, ასევე, მოპასუხე კომპანიის დირექტორს, თავისი ელექტრონული ფოსტით ბ. კ-ძეს (მოსარჩელის მამა), შ. ა-ას, მოსარჩელეს და თ. ლ-ს უგზავნის შპს „ს. ი-ის“ 2015-2018 წლების ფინანსური ანალიზს (აუდიტს) და ინფორმაციას, სადაც მითითებულია მოსარჩელის მიერ განხორციელებული შენატანები და ასევე დ. კ-ძის ნილობრივი მონაწილეობა შპს „ს. ი-ის“. აღნიშნული დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა თ. ლ-მა.

34. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იქნა, რომ აპელანტს/მოპასუხეს მიღებული აქვს 1,621,791 აშშ დოლარის ოდენობით თანხა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხდარი ფაქტის „გამოძიების“ პროცესში ჩართული პირები ადასტურებენ, რომ აპელანტი ამ გადაცემული თანხით უსაფუძვლოდ გამდიდრდა, შესაბამისად, მიღებული თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

35. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

36. სსკ-ის 989-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.

37. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის ობიექტური განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, თანხის გაუმართლებლად დაკისრების ფაქტი აპელანტს (მოპასუხე) მხარეს ეკისრებოდა, რომელმაც აღნიშნული გარემოება ვერ დაადასტურა.

38. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ, რომელმაც მოთხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უარყოფა.

39. კასატორს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია ერთადერთი მტკიცებულება, რაც ადასტურებს მოსარჩელის მიერ თანხის გადახდის ფაქტს – 2015 წლის 21 დეკემბრის ბანკის მიერ გაცემული სალაროს შემოსავლის ორდერი, რომლის თანახმად, მოსარჩელემ 300 000 ევრო შეიტანა შ. ა-ას ანგარიშზე. სააპელაციო სასა-

მართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო „არაპირდაპირი ინვესტირება“ „ს. ი-სი“ და ამავე დროს, შპს „ს. ი-სი“ მისი წილის საფასური. თუმცა, აღნიშნული მსჯელობა ურთიერთწინააღმდეგობრივია, რადგან თუ თანხის გადაცემის მიზანი იყო ინვესტირება შპს „ს. ი-სი“, მაშინ თანხა ამ უკანასკნელს უნდა მიეღო და პასუხისმგებელი მის დაბრუნებაზეც ისაა, თუ თანხა განკუთვნილი იყო „ს. ი-სი“ წილის შესაძენად, მაშინ თანხა უნდა გადასცემოდა მოპასუხე კომპანიას, რადგან იგი წარმოადგენდა შპს „ს. ი-ის“ წილის 100%-ის მესაკუთრეს. სინამდვილეში კი, თანხა გადაეცა შ. ა-ას. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მოპასუხის დასაბუთება, ხოლო თავისი პოზიცია არ დაასაბუთა. ასევე, საერთოდ გაუგებარია რა კავშირია დ. კ-ის მიერ ა-სთვის 300 000 ევროს გადახდასა (2015 წლის 21 დეკემბერს) და შ. ა-ას მიერ ავტოდრომში 1 000 000 აშშ დოლარის – სამჯერ მეტი თანხის (2016 წლის 02 მარტს) ინვესტირებას შორის, 300 000 ევროს გადახდიდან ორ თვეზე მეტ ვადაში. დაუსაბუთებელია ფიზიკური პირი შ. ა-ასთვის მიცემულ თანხაზე, რატომ უნდა აგოს პასუხი იურიდიულმა პირმა, თუნდაც ამ უკანასკნელის დამფუძნებელი იყოს ეს ფიზიკური პირი. ეს სამასი ათასი ევრო „რ.ს.ა-ს“ არ მიუღია, შესაბამისად, მას არ უნდა დაეკისროს მისი დაბრუნების ვალდებულება. კასატორის აღნიშნავს, რომ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (სუსგ საქმეზე №ას-344-329-2016). იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ვერ ადასტურებს და არც არსებობს შესაბამისი მტკიცებულები, რომ თანხა (300 000 ევრო) გადასცა მოპასუხეს, სარჩელი ხდება უსაფუძვლო.

40. კ. ჯ-ისთვის 500 000 აშშ დოლარის გადახდის საკითხთან მიმართებით, კასატორი აღნიშნავს, სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ, უნდა ვასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული ნორმა იცავს მოვალეს კრედიტორის არაკეთილსინდისიერებისგან. მოვალე კანონის ძალით დაცულია, როდესაც მას გააჩნია ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი და ასეთ პირობებში, კრედიტორის მხოლოდ განცხადება, რომ მას ვალდებულების შესრულება მოვალისგან არ მიუღია, არ წარმოადგენს მის მიერვე ხელმოწერილი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გამაბათილებელს. თუკი (და ეს უდავოა) კ. ჯ-ის მიერ გაცემული და ხელმოწერილი დოკუმენტები (გასავლის ორდერი, მიღება-ჩაბარების აქტი) ადასტურებს მის მიმართ ვალდებულების შესრულებას და იცავს მოვალეს (მოპასუხეს) კ. ჯ-ის

თვითნებობისაგან, მაშინ მოცემულ დავაში, რატომ არ ხდება ამის გათვალისწინება.

41. რაც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტებს, კასატორი მიუთითებს, რომ არცერთი მიღება ჩაბარების აქტი არაა ხელმოწერილი, ერთის გარდა. ხელმოწერილი დოკუმენტის მტკიცებულებად მიჩნევა, როდესაც მას არ ეთანხმება მეორე მხარე, დაუშვებელია.

42. კასატორი აღნიშნავს, სასამართლო 2018 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით უთითებს, რომ 2018 წლის 2 ივლისს – 140 000 აშშ დოლარის, ხოლო 8 ივლისს – 500 000 ლარის მოპასუხე კომპანიის სალაროში შეტანა გ. უ-ძის მიერ დასტურდება 2018 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტით. კასატორის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში, არაფერ კავშირში არაა გ. უ-ძე და მოპასუხე კომპანიის სალარო. გარდა იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი არაა ხელმოწერილი, მასში 500 000 ლარი ნახსენებიც არაა. ამასთან, აქტში თანხის მიმღებად მითითებულია შ. ა-ა და არა კასატორი. ერთადერთი ხელმოწერილი აქტია 2017 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი. კასატორის სახელით მას ხელს აწერს კ-ვა, თუმცა, მისთვის არც ზეპირად და არც წერილობით არავის მიუცია უფლებამოსილება ემოქმედა კასატორის სახელით. ამასთან, აღნიშნული პიროვნება მართლაც მუშაობდა მოპასუხე კომპანიაში, თუმცა, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან 2017 წლის 11 მაისს – აქტზე ხელმოწერამდე თვენახევრით ადრე. რაც იმას ნიშნავს, რომ აქტზე ხელმოწერის დროისთვის, ის არათუ უფლებამოსილი პირი არ იყო, არც კი მუშაობდა მოპასუხე კომპანიაში. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელესთან იყო მოლაპარაკებები შპს „ს. ი-სი“ წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით, მაგრამ ის წარუმატებლად დასრულდა, სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში შ. ა-ასა და ბ. კ-ძეს შორის არსებული მიმონერა „ს. ი-ის“ წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით, სადაც ერთი სიტყვითაც კი არაა ნახსენები კ-ძის მიერ ვითომ უკვე გადახდილი თანხა. გასაგებია, რომ საქმეში წარმოდგენილია ელ. მიმონერა, რომლის ადრესატებიც არიან ლ. კ-ა, მ. ხ-ი და სხვები, მაგრამ არცერთ წერილში მეორე მხრიდან დადასტურებული არა აკ-ძის მიერ „ს. ი-სი“ ინვესტირების, ან „რ.ს.ა-ისთვის“ თანხის გადაცემის ფაქტი. ის, რომ რ.ს.ა-ის“ ბენეფიციარი მფლობელია შ. ა-ა უდავოა, შესაძლოა მ. ხ-ი მართლაც მუშაობდეს მის ერთ-ერთ საწარმოში, მაგრამ კასატორს არც წერილობით და არც ზეპირსიტყვიერად, არასოდეს მიუცია უფლებამოსილება მ. ხ-ისთვის ემოქმედა მისი სახელით. იმისათვის რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე მოპასუხეს მოსთხოვო თანხის უკან დაბრუნება, სულ მცირე, ის მაინც უნდა და-

დასტურდეს, რომ ამ უკანასკნელმა მიიღო იგი, ხოლო ასეთის მტკიცების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს, წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი არ დასტურდება, რომ დ. კ-ქმ თანხა გადასცა კასატორს.

43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 07 ივლისის განჩინებით კი ცნობილი იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სამართლებრივი საფუძვლით, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

44. საქმეზე პირველი ზეპირი სხდომა ჩატარდა 2021 წლის 07 ოქტომბერს, რომელიც მხარეთა მორიგების მიზნით გადაიდო 2021 წლის 21 ოქტომბერს.

45. 2021 წლის 21 ოქტომბერს საქმის არსებითი განხილვის შედეგად, საკასაციო პალატამ სსსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო 2021 წლის 05 ნოემბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

46. საკასაციო პალატას საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

47. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

48. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

49. მოპასუხე კომპანიის მაჟორიტარ პარტნიორს წარმოადგენს შ. ა-ა, რომელიც 2015 წლის 16 ნოემბრიდან, დღემდე ფლობს ამ კომპანიაში წილის 86.34% საკუთრებაში.

50. 2015 წლის 22 ივლისის წილის დათმობის ხელშეკრულების

შედგად, მოპასუხემ, კომპანიის წარმომადგენლის – დირექტორ ლ. კ-ას სახით, შეიძინა შპს „ს. ი-ის“ 100% წილი კ. ჯ-ისაგან, ხოლო 2016 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულებით, ცვლილება შევიდა 2015 წლის 22 ივლისის ხელშეკრულებაში და დაზუსტდა წილის ნასყიდობის ფასი (500000 აშშ დოლარი) და მისი გადახდის გრაფიკი.

51. მოპასუხე კომპანიის 2015 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, შპს „ს. ი-ის“ (ს/კ ...) დირექტორად დაინიშნა დ. კ-ძე.

52. მოპასუხის 2018 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე გათავისუფლდა შპს „ს. ი-ის“ დირექტორის თანამდებობიდან და შპს „ს. ი-ის დირექტორის“ თანამდებობაზე დაინიშნა ლ. კ-ა.

53. 2015 წლის 21 დეკემბერს მოსარჩელემ 300000 ევრო შეიტანა მოპასუხე კომპანიის პარტნიორის, 86.34% წილის მესაკუთე – შ. ა-ას ანგარიშზე.

54. 2015 წლის 17 აგვისტოს მ. ხ-ი მოსარჩელეს წერს წერილს, სადაც აღნიშნავს, რომ მათ შორის, განხილული „პარტნიორთა შეთანხმების“ სტრუქტურის და სხვა დეტალების გასარკვევად, საჭიროებს ინფორმაციის მოწოდებას.

55. 2017 წლის 3 ნოემბერს შპს „ს. ი-ის“ ფინანსური მენეჯერი – თ. ლ-ი, მოსარჩელის დავალებით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართავს მ. ხ-ს და თხოვს მას მოსარჩელის წილის პროცენტულობის განსაზღვრას მის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. საპასუხოდ მ. ხ-ი სთხოვს თ. ლ-ს შენატანების ოდენობისა და თარიღების მიწოდებას, რათა განისაზღვროს მოსარჩელის წილის ოდენობა.

56. 2017 წლის 3 ნოემბრის წერილის პასუხად, 2017 წლის 10 ნოემბრის წერილით თ. ლ-ი აცყობინებს მ. ხ-ს, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული ინვესტიცია შპს „ს. ი-სი“ წარმოადგენს 1,119,789 აშშ დოლარს, ხოლო მოსარჩელის წილი.

57. 2018 წლის 29 იანვარს, თ. ლ-ი აცყობინებს მ. ხ-ს, რომ მოსარჩელის მიერ იმ მომენტისთვის შპს „ს. ი-სი“ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად, მოსარჩელის წილი წარმოადგენს 38.38%-ს.

58. 2018 წლის 24 აგვისტოს, ლ. კ-ა წერილს წერს შპს „ს. ი-ის“ თანამშრომლებს და აცყობინებს, რომ მოსარჩელის ნაცვლად კომპანიას ამიერიდან უხელმძღვანელებს იგი. წერილში ლ. კ-ა აღნიშნავს, რომ „ბატონი დ-ი, როგორც ამ კომპანიის თანამფლობელი, „რ. შ. ა-თან ერთად რჩება კომპანიის ფარგლებში მიმდინარე სტრატეგიულ პროცესებში მონაწილე მნიშვნელოვან პირად“. მოპასუხე კომპანიას არ გადაუხდია შესყიდული შპს „ს. ი-ის“ წილის საზღაურის ნაწილი – 500,000 აშშ დოლარი კ. ჯ-ისთვის, აღნიშნული გადა-

იხადა მოსარჩელემ.

59. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონდარღვევას, მან არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით;

60. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი.

61. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა კასატორის საკასაციო საჩივარი და საკასაციო პრეტენზიების საფუძვლიანობის შემონმებას, მათ შორის, დავის ფაქტობრივი ნაწილის კვლევას ორი სხდომა მიუძღვნა, შესაბამისად, მტკიცებულებათა დონეზე შემონმდა ყველა ის პრეტენზია, რომლებზე დაყრდნობითაც კასატორი მიიჩნევდა, რომ მიღებული გადანყვეტილება იყო არასწორი.

62. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც

იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუყვრძობება, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტყვაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

63. საკასაციო სასამართლომ ზეპირი განხილვისას შეამოწმა სადავო გარემოებები და მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი საკასაციო საჩივრის ფარგლებში ნაწილობრივ არ არის ფორმალურად გამართული, იგი ნაწილობრივ არ შეიცავს დამაჯერებელ, ლოგიკურ დასაბუთებას იმ ფაქტების თაობაზე, რომლებსაც ემყარება მხარის მოთხოვნა. საკასაციო სასამართლოს მიერ ზეპირ განხილვაზე კასატორისა და მისი მოწინააღმდეგე მხრიდან მიღებული განმარტებების მიუხედავად, იგი შეზღუდულია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპის დასრულების დროისათვის წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების კვლევით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

64. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიუკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე ამის სანაღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსაზრებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v, Armenia, საჩივარი no26986/0-), რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით განსახილველ შემთხვევაში, როგორც კასატორთან, ასევე კასატორის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით უზრუნველყოფილ იქნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მიღებული განმარტებების ფარგლებში.

65. საკასაციო სასამართლოს სხდომებზე მიღებული განმარტებების შედეგად, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კასატორი სადავოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას მისთვის: 1) 500000 აშშ დოლარის; 2) 324280 აშშ დოლარის (300000 ევრო); 3) 140000 აშშ დოლარის და 4) 204415 აშშ დოლარის (500000 ლარის ექვივალენტი) გადახდის დაკისრების ნაწილში.

66. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინ

ნებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

67. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

68. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათ-

ვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

69. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ ნინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა ნინაპირობა.

70. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სა-

სამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

71. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამომწებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემომწების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდი-

ნარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

73. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე *Ruiz Torija v. Spain*, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. Finland* § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

74. საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევ-

როპული სასამართლოს მიდგომაზე კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის აუცილებლობასთან მიმართებით. კანონის ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაციის პრობლემა დადგა საქმეში *ALBU AND OTHERS v. ROMANIA* (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) §§: 34 (III, IV), რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები უნდა დაეფუძნოს სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც იმპლიმენტირებულია კონვენციის ყოველ მუხლში და ადგენს კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს. სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, დასახელდა სამართლებრივი სტაბილურობის *inter alia*, გარანტიად, რომელიც იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას სასამართლოების მიმართ. სასამართლო გადაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ, მაშინ როდესაც ამგვარი ნდობა წარმოსდგება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად. (მსგავს საკითხებზე აგრეთვე იხ., *Jordan Iordanov and Others*, §-47; *Stefanica and Others*, §-31). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სხვა საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა შექმნან მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას (*Nejdet Şahin and Perihan Sahin v. Turkey [GC]* (Application no. 13279/05), 21 ოქტომბერი, 2011 წელი, §§59-96) და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

75. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დანაწესი, რომელიც მოიცავს საქმის სამართლიანი განხილვის უფლების პროცედურულ გარანტიებს, კერძოდ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, თავისთავად არ გადასცემს პირს უფლებას ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოცემული განმარტებების შესაბამისად, „სასამართლო პრაქტიკის განვითარება, როგორც ესეთი, არ მოდის წინააღმდეგობაში მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებასთან, ვინაიდან დინამიური და მუდმივად განვითარებადი მიდგომის შეუნარჩუნებლობა ამ მიმართულებით შესაბამის პროგრესსა და გაუმჯობესებას შეუშლიდა ხელს“ (შდრ. *Nejdet Sahin and Perihan Sahin v. Turkey [GC]*, N 13279/05, § 58, 20 ოქტომბერი 2011; *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [GC]*, N 76943/11, § 116, 29 ნოემბერი 2016). „სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნების შესაძლებლობა თავისი ბუნებით ყველა ისეთი სასამართლო სისტემის თანმდევი შედეგია, რომელიც შესაბამისი

ტერიტორიული იურისდიქციის მქონე, რამდენიმე ინსტანციის სასამართლოთა ქსელზე დაფუძნებული. ამგვარი არაერთგვაროვნება შეიძლება სახეზე გვექონდეს ერთსა და იმავე სასამართლოს პრაქტიკაშიც. თუმცა, აღნიშნული გარემოება ავტომატურად ვერ მიიჩნევა კონვენციის სანინალმდეგოდ“. რაც შეეხება უშუალოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლს ეროვნულ დონეზე არაერთგვაროვანი პრაქტიკის შეფასების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ „პრინციპში მისი როლი არ მოიცავს იმ ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებების შედარებას, რომელთა დამოუკიდებლობასაც ვალდებულება, პატივი სცეს იმ შემთხვევებშიც კი, რომლებიც ერთი შეხედვით შესაძარბეელი ან დაკავშირებული არიან“ (მდრ. Santos Pinto v. Portugal, №39005/04, §41, 20 მაისი 2008).

76. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამართლებრივი განჭვრეტადობის დარღვევას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ახდენს დადგენილი სასამართლო პრაქტიკისაგან გადახვევას. „კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, რომ მოსამართლე უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, გარდაუვალობას, იმავდროულად, მოქალაქეს უქმნიან წარმოდგენას, თუ რა ზომები იქნება მის მიმართ გატარებული“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384).

77. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში იმსჯელებს მოსარჩელის მიერ მოპასუხის (კასატორი) ნაცვლად 500000 დოლარის ოდენობით ფულადი ვალდებულების შესრულებასთან (ნასყიდობის ფასის ნაწილის გადახდა) დაკავშირებით კასატორის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიაზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.40). კასატორი აღნიშნავს, რომ სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ, უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული სამართლის ნორმა იცავს მოვალეს კრედიტორის არაკეთილსინდისიერებისგან. მოვალე კანონის ძალით დაცულია, როდესაც მას გააჩნია ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი და ასეთ პირობებში, კრედიტორის მხოლოდ განცხადება, რომ მას ვალდებულების შესრულება მოვალისგან არ მიუღია, არ წარმოადგენს მის მიერვე ხელმოწერილი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გამაბათილებელს. თუკი (და ეს უდავოა) კ.

ჯ-ის მიერ გაცემული და ხელმოწერილი დოკუმენტები (გასავლის ორდერი, მიღება-ჩაბარების აქტი) ადასტურებს მის მიმართ ვალდებულების შესრულებას და იცავს მოვალეს (მოპასუხეს) კ. ჯ-ის თვითნებობისაგან, მაშინ მოცემულ დავაში, რატომ არ ხდება ამის გათვალისწინება. მოვალე კანონის ძალით დაცულია, როდესაც მას გააჩნია ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი და ასეთ პირობებში, კრედიტორის მხოლოდ განცხადება, რომ მას ვალდებულების შესრულება მოვალისაგან არ მიუღია, არ წარმოადგენს მის მიერვე ხელმოწერილი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გამაბათილებელს. ორი ინსტანციის სასამართლომ დაუშვა პრეცედენტი, როდესაც კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი, გადაწონა კრედიტორის ზეპირსიტყვიერმა ჩვენებამ, რომ მას თანხა მიღებული აქვს არა მოვალისაგან, არამედ მესამე პირისაგან. კასატორის მოსაზრებით ასეთი პრაქტიკის დადგენა დაუშვებელია, რადგან წაახალისებს არაკეთილსინდისიერებას. ნებისმიერ გარიგებაში მონაწილე კრედიტორი შეძლებს იპოვოს მესამე პირი, მასთან შეთანხმდეს არაკეთილსინდისიერად და დაიწყო სასამართლოში დავა, რომ თურმე თანხა მიღებული აქვს არა მოვალისაგან, არამედ მესამე პირისაგან, ამით დაძლიონ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის იურიდიული ძალა და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოითხოვონ კეთილსინდისიერი მოვალისაგან უკვე გადახდილი თანხის ხელმეორედ გადახდა.

78. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი იქნა, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით [სსსკ-ის 105-ე, 407.1, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი].

79. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია, რომ 2015 წლის 22 ივლისს, მოპასუხესა და კ. ჯ-ს შორის დაიდო წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით შპს „ს. ი-ის“ 100% წილის მესაკუთრე გახდა მოპასუხე კომპანია. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველი გახდა ერთი მხრივ, მოსარჩელეს და კ. ჯ-ს შორის, ხოლო მეორე მხრივ, მოსარჩელეს და შ. ა-ას შორის წარმოებული მოლაპარაკება, რომლის მიხედვით, შპს „ს. ი-ის“ წილების ბენეფიციარი (საბოლოო) მესაკუთრეები უნდა გამხდარიყვნენ შ. ა-ა და მოსარჩელე. ასევე, 100% წილი სანყის ეტაპზე გაფორმებულიყო შ. ა-ას კუთვნილ კომპანიაზე – მოპასუხე კომპანიაზე, ხოლო წილის შესაბამისი ნაწილის გადაფორმება მოსარჩელეზე მოხდებოდა მას შემდეგ, როცა პროპორციულად განახორციელებდა საწარმოში ინ-

ვესტირებას. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, მოსარჩელე შპს „ს. ი-ის“ ყოფილ მესაკუთრე კ. ჯ-თან, წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მოლაპარაკების ბოლო ეტაპზე ანუ, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, კ. ჯ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი წილი შპს „ს. ი-სი“ უნდა გადაეფორმებინა მოპასუხისათვის. ამასთან, უნდა გათავისუფლებულიყო მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, რომელიც „პ. ბ-სი“ სესხის უზრუნველსაყოფად იყო იპოთეკით დატვირთული. მას შემდეგ, რაც გათავისუფლდა იპოთეკიდან კ. ჯ-ის უძრავი ქონებები და მიიღო 3 900 000 აშშ დოლარი, მოხდა წილის მოპასუხზე გადაფორმება, ხოლო დარჩენილი 500000 აშშ დოლარი მოპასუხის ნაცვლად მას გადაუხადა მოსარჩელემ „ვ. ბ-ს“ სათაო ოფისში 2016 წლის 23 სექტემბერს. 2016 წლის 20 სექტემბერს მოსარჩელეზე სს „ვ.ბ.ჯ-ას“ მიერ დამტკიცებული იქნა სესხი 500000 აშშ დოლარის ოდენობით, რაც მოსარჩელის მიერ გატანილი იქნა 2016 წლის 23 სექტემბერს და გადაეცა კ. ჯ-ს, აღნიშნულს ადასტურებს კ. ჯ-ი პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე აპელანტის მტკიცება, რომ სასამართლო მხრიდან ადგილი ჰქონდა მტკიცებულებების არასათანადო შეფასებას და მიუთითა საქმეში წარმოდგენილ შემდეგ მტკიცებულებებზე: 2016 წლის 2 თებერვლის შეთანხმების აქტი, თანხის მიღება-ჩაბარების შესახებ, ხელმოწერილი კ. ჯ-ისა და მოპასუხე კომპანიის დირექტორის ლ. კ-ას მიერ, რომლის თანახმად, 2015 წლის 22 ივლისის წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულების 2.2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულია სრულად, კერძოდ კ. ჯ-ს გადაეცა 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში 247 020 ლარი, ამავე თარიღის სალაროს გასვლის ორდერი, რომელიც ადასტურებს თანხის გადაცემას კ. ჯ-ძე სალარო გასვლის ორდერით, ხელმოწერილი კ. ჯ-ის და ლ. კ-ას მიერ. 2016 წლის 26 სექტემბრის სალარო გასვლის ორდერი, რომლის საფუძველია წილის ნასყიდობის თანხა, რომლის თანახმად, კ. ჯ-ს გადაეცა 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში – ერთი მილიონ ასორმოცდათექვსმეტი ათასს ექვსასი ლარი, ხელმოწერილი კ. ჯ-ის და ა. კ-ას, მოპასუხე კომპანიის მთავარი ბუღალტრის მიერ. კ. ჯ-მა სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ 500 000 აშშ დოლარი მიიღო უშუალოდ მოსარჩელისაგან, ხოლო რაღაც პერიოდის გასვლის შემდგომ თბილისში, თავის ოფისში მოაწერა ხელი ფორმალურად დოკუმენტებს – სალაროს გასვლის ორდერებს, რომ თითქოს მოპასუხის ოფისში მიიღო თანხები. ასევე, საერთოდ არ მიუღია ბოლო გადახდად ნაჩვენები 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 247 000 ლარი, რომე-

ლიც მოსარჩელესთან ურთიერთშეთანხმებით გაიქვეთა სასაკონ-
ლო ნაშთების ვარგისიანობაზე არსებული პრეტენზიების გამო.
მონმე ა. კ-ამ ასევე დაადასტურა, რომ მოპასუხე კომპანიის დი-
რექტორის მითითებით ბულალტრულად ტარდებოდა თანხები, რო-
გორც დამფუძნებლის – შ. ა-ას შენატანი და შემდგომ კ. ჯ-ზე გა-
ცემა ნილის შესყიდვის საფასურად, მაშინ როდესაც რეალურად
არც თანხის მიღებას და არც გაცემას ადგილი კომპანიაში არ ჰქო-
ნია, კ. ჯ-ს კი საერთოდ არ შეხვედრია. (იხ. წინამდებარე გადანყვე-
ტილების პ.23-24).

80. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხისათვის 500000
აშშ დოლარის დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქ-
ტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა), განაპირობებს მის სამარ-
თლებრივ მონესრიგებას სსკ-ის 371.I (თუ კანონიდან, ხელშეკრუ-
ლებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ
მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალ-
დებულება უნდა შეასრულოს მესამე პირმა(ც) და 986-ე მუხლების
(პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალეებს ისტუმ-
რებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაუ-
რება) საფუძველზე.

81. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შე-
მონმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან
მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ
სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამარ-
თლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში
მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბ-
სტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადე-
ბითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმუ-
ლი პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და
უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანანი-
ლოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების და-
დასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

82. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოე-
ბების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურად-
ღება გაამახვილოს მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდე-
ბულების შესრულების სამართალურთიერთობის თავისებურებებ-
ზე.

83. სსკ-ის 371.I მუხლის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრუ-
ლებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ
მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალ-
დებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა(ც).

84. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყველა სამართლებრივ

სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დაემთხვეს ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. როგორც წესი, მოვალე თვითონ (პირადად) ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, 303; Bittner in Staudinger BGB Komm., §267, Rn 6; Jud in Pruting BGB Komm., §267, S. 419-420;)

85. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი მოიცავს სამი სახის სამართალურთიერთობას. პირველ ჯგუფში შედის მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევები; მეორე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება ნებაყოფლობით; მესამე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შემთხვევები ნორმატიული აქტების ძალით.

86. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულება ხდება, როგორც წესი, მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი შეთანხმებისათვის კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის. მოვალესა და მესამე პირს შორის შესრულების შესახებ შეთანხმების ფაქტი არ ხელყოფს კრედიტორის ინტერესებს, რამეთუ კრედიტორის მოთხოვნის უფლება განისაზღვრება არა ამ შეთანხმებით, არამედ მისი მოვალესთან შეთანხმებით.

87. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება კრედიტორისათვის შეიძლება ცნობილი გახდეს სხვადასხვაგვარი ფორმით. ხშირად მესამე პირი შესაბამის დოკუმენტებში (გადახდის ქვითარი, საგადახდო დავალება, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) მიუთითებს იმის შესახებ, რომ შესრულება ხდება მოვალის ნაცვლად. ზოგჯერ, მესამე პირი ან თვი-

თონ მოვალე წერილობით ატყობინებს კრედიტორს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ. დავის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, თუკი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევაში, კრედიტორს გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მითითებული იქნება იმ ვალდებულების შესახებ, რომელსაც მესამე პირი ასრულებს, ასევე მესამე პირის ზუსტი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ვალდებულების იურიდიული საფუძველი (გარიგება, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.), და სხვა. ამით შემდგომში თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაურკვეველობა.

88. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვალდებულების შესრულებაში კრედიტორის დაინტერესების პრეზუმფციიდან გამომდინარე, გამოყოფენ მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის არსებობის ან არარსებობის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის სამ კონცეფციას: 1) პროკრედიტორული; 2) პრომოვალური; 3) მახალანსირებელი.

89. ვალდებულებით სამართალში პროკრედიტორულ კონცეფციას იზიარებს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მოვალის თანხმობა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებაზე საჭირო არ არის. უფრო მეტიც, მესამე პირს შეუძლია შეასრულოს მოვალის ნაცვლად ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოვალე ამის წინააღმდეგია ანდა უცნობია მისი ადგილსამყოფელი. შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს, მიიღოს ასეთი შესრულება, რომელიც ინვესს მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტას. ამგვარად, პროკრედიტორული კონცეფცია იგნორირებას უკეთებს მოვალის ნებასურვილს, რომლის უარიც მესამე პირის მიერ მის ნაცვლად ვალდებულების შესრულებაზე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ კრედიტორის მიერ. კრედიტორს შეუძლია, არ მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად.

90. პრომოვალური კონცეფცია ძირითადად იცავს მოვალის ინტერესებს, მოითხოვს რა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის აუცილებელ თანხმობას ან მოწონებას. ეს მიდგომა ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით, ყველაზე გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში. შესაბამისად, პრომოვალური კონცეფციის ამოსავალ წერტილს მოვალის ინტერესის დაცვა წარმოადგენს და მოვალის თანხმობის გარეშე შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, არაჯეროვან შესრულებად გა-

ნიხილავს.

91. მაბალანსირებელი კონცეფცია მიზნად ისახავს შესაბამის სამართალურთიერთობაში მონაწილე სამივე პირის ინტერესების დაცვას და აგებულია გარკვეულ კომპრომისზე. ის შეიძლება ზოგადად დაყოფილ იქნეს სამ ძირითად მიდგომად: 1) პირველი მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მესამე პირს შეუძლია შეასრულოს მოვალის ნაცვლად ვალდებულება, ხოლო კრედიტორი ვალდებულია, მიიღოს შესრულება, თუკი მესამე პირს აქვს სხვისი ვალდებულების შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი (სსკ-ის 372-ე მუხლი); ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (მუხლი 7:106) ავალდებულებენ კრედიტორს, მიიღოს მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, იმის მიხედვით, გააჩნია თუ არა მესამე პირს შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი, შეასრულებდა თუ არა მოვალე ვალდებულებას, ანდა ცხადია, რომ იგი ვერ შეასრულებდა ვალდებულებას დათქმულ ვადაში; 2) მეორე მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ მოვალეს შეუძლია, შეენიანაღმდეგოს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას, თუკი მოვალე დაამტკიცებს, რომ ასეთი შესრულებით მას ზიანი ადგება (შდრ. *Principles of European Contract Law, Parts I and II*, Ed. By Lando/Beale, 2000, P. 340.); 3) მესამე მიდგომა დაკავშირებულია სუბროგაციის არარსებობასთან, თუკი შესრულება განხორციელდა მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე (სსკ-ის 832-ე მუხლი).

92. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის თითოეულ მონაწილეს გააჩნია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. ეკონომიკური თვალსაზრისით კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეასრულებს მოვალის ვალდებულებას (გადასცემს ნივთს, გადაიხდის საფასურს, ქირას, გასამრჯელოს, ვალს და ა.შ.). კრედიტორის უარი შესრულების მიღებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ვალდებულების შესრულებას ახდენს არა მოვალე, არამედ მესამე პირი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. კრედიტორის ასეთი ქმედება მეტისმეტად ფორმალური და არასამართლიანი იქნებოდა. მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, ათავისუფლებს მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. მესამე პირის მიმართ მოვალის ვალდებულებები განისაზღვრება მასსა და მესამე პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობით.

93. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდეს-

საც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა კი მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება, მესამე პირს აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება სსკ-ის 976 II გ მუხლის თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ წარადგინოს მოვალის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე. ასევე თუ მესამე პირი ვალდებულების შესრულებისას შეცდომით ფიქრობდა, რომ ასრულებდა თავის ვალდებულებას, თუმცა კი შეასრულა სხვა პირის ვალდებულება, ასეთ შემთხვევაშიც ვალდებულება არ წყდება და მესამე პირს შეუძლია მოვალეს წაუყენოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა. (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, გვ. 305.). სსკ-ის 986-ე მუხლის დანაწესის (პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალეებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება) მიხედვით, სხვისი ვალის გადახდა კონდიქციური ვალდებულების საფუძველი ხდება იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადამხდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება (მდრ. სუსგ №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019; №ას-1069-1022-2014, 16 ივნისი, 2016 წ.).

94. სსკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ფულადი ვალდებულება და იგი არა მოვალემ, არამედ მესამე პირმა შეასრულა (გაისტუმრა).

95. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საკმარისი საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფართო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (კარმელ სალიბა მალტის წინაღმდეგ – *Carmel Saliba v. Malta*, N 24221/13, § 73, 29 ნოემბერი 2016; § 73). როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, *Hiro Balani v. Spain*, 9 დეკემბერი 1994, § 28, Series A N 303-B; § 28). შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ გამოიკვლიონ

მხარეთა ძირითადი არგუმენტები (ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ – *Buzescu v. Romania*, N 61302/00, § 67, 24 მაისი 2005, § 67. დონადე საქართველოს წინააღმდეგ – *Donadze v. Georgia*, N 74644/01, § 35, 7 მარტი 2006;). სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლომ, რომელმაც, ქვედა ინსტანციის სასამართლოს არგუმენტების გამოყენებით ან სხვაგვარად არ წარმოადგინა გადანყვეტილების დეტალური მიზეზები, უპასუხოს ნაშრომილი საკითხების არსებით ნაწილს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ქვედა ინსტანციის დასაბუთების გაზიარებით (ელე ფინეთის წინააღმდეგ – *Helle v. Finland*, 19 დეკემბერი 1997, § 60, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII).

96. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ამონმებს რა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების სისწორეს, წარმოდგენილი კასაციის ფარგლებში [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი] აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურ სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებით. ამასთან, ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა მიღება და შეგროვება უნდა განხორციელდეს განკუთვნიადობისა და დასაშვებობის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებათა სახეებს, რომელთა შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

97. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო

გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

98. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით წარმოდგენილ არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებაზე დაყრდნობით.

99. სსსკ-ის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორცაა შეჯიბრებითობა და განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორმის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული, ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მიზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედი, არაერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცემული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახდენს გავლენას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიარებულია რა ფაქტზე მიმთითებული მხარის ვალდებულება, წარადგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი განკუთვნილი მტკიცებულებები, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერთოს ამ პროცესში, რამეთუ აქსიომატურია, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (იხ. სსსკ-ის 83-ე, ასევე, 102-ე მუხლები).

100. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ მოპასუხემ მისთვის 500000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების ნაწილში წარადგინა მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხავი შესაგებელი, კერძოდ მიუთითა, რომ აღნიშნული თანხა გადახდილია არა მოსარჩელის, არამედ მოპასუხის მიერ, რის დასადასტურებლადაც შესაგებელს დაურთო წერილობითი მტკიცებულება – სალაროს გასაველის ორდერი.

101. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხავი შესაგებლის დროს მოპასუხე არ ეთანხმება მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ ფაქტებს (მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს), შესაბამისად, თუ მოსარჩელე ვერ დამტკიცებს სადავო (დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე) გარემოებებს, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სარჩელის წარმატება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის (დამფუძნებელი ნორმა) წინაპირობების მითითება/დადასტურებაზეა დამოკიდებული, ასეთი შედაგების დროს მოპასუხე სადავოდ ხდის სწორედ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოთხოვნის არსებობას გამომრიცხავენ, საკმარისია მოპასუხის მხრიდან თუნდაც ერთი წინაპირობის გამომრიცხვა, რომ სარჩელის წარმატებას საფრთხე შეექმნას.

102. მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

103. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედაგებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადანყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედაგებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედაგებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის განაწილება).

ნილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

104. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტა. შეწყვეტის შემდეგ ვალდებულება აღარ არსებობს. მის მონაწილეებს ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ უფლებები და მოვალეობები. ვალდებულების შეწყვეტას იწვევს განსაზღვრული გარემოებები, რომლებსაც ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებს უწოდებენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ვალდებულების შეწყვეტის სხვადასხვა საფუძვლები. ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მიზანი არის ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება მხარეების მიერ, ე.ი. შესრულებით მიიღწევა ის მიზანი, რასაც ვალდებულების მონაწილეები ისახავდნენ. ამის შემდეგ უკვე აღარ არსებობს ამ ურთიერთობის გაგრძელებისათვის სამართლებრივი საფუძველი. ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს. სსკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

105. სსკ-ის 427-ე მუხლის მიზნებისათვის ვალდებულების შეწყვეტის ქვეშ იგულისხმება, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა ვინრო ან/და ფართო გაგებით დასრულებულია, შეწყვეტილია და აღარ არსებობს (იხ. დამატებით: გიორგი სვანაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 427, ველი 5, 2019).

106. საკასაციო პალატა განმარტავს, იმისათვის, რომ სსკ-ის 427-ე მუხლის საფუძველზე, ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით შეწყდეს, სახეზე უნდა იყოს შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედება, რომელიც განხორციელებულია: ა) ჯეროვნად, ბ) კეთილსინდისიერად, გ) დათქმულ დროსა და ადგილას, დ) უფლებამოსილი პირის მიმართ. ჩამოთვლილი წინაპირობები კუმულატიურად უნდა იყოს დაკმაყოფილებული. ასეთი შესრულება ვალდებულების შეწყვეტას ნიშნავს და ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს არა აქვს უფლება, ხელმეორედ მოითხოვოს შესრულება.

107. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით

შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გაცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მოვალეს აკისრია. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულება შეასრულა და ამით ვალდებულება შეწყდა. მოვალეს ესაჭიროება სათანადო მტკიცებულება, რომ შეწყვეტის მიზნით ვალდებულების შესრულების ფაქტი დაამტკიცოს. კრედიტორი ასეთი დოკუმენტის გაცემით ადასტურებს, რომ მან შესრულება მიიღო, ვალდებულება შესრულდა და შეწყვეტილია. პრაქტიკაში ვალდებულების შესრულების ან/და მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის სხვადასხვა სახე არსებობს, როგორცაა: ქვითარი, მიღება-ჩაბარების აქტი, სალარო გასავლის ორდერი, ხელწერილი, საბანკო გადარიცხვის ამონაწერი და სხვა (შდრ: სუსგ №ას-1288-2019, 04 მარტი, 2019წ., პ.125.). ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი, როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მოვალის ვალდებულებას წარმოადგენს (სსკ-ის 102-ე მუხლი და სსკ-ის 429-ე მუხლი).

108. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს შედგენილი, რათა დავის შემთხვევაში, გამოყენებული იქნეს მოვალის მიერ, როგორც ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებულება. ფორმა, ნების გამოვლენის განცხადების საშუალებაა. კრედიტორი და მოვალე შეიძლება შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონულ ფორმაზეც (ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაც). მოვალეს შეუძლია მოითხოვოს არა მხოლოდ ვალდებულების მთლიანად შესრულების დამადასტურებელი, არამედ მისი ნაწილობრივ შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტიც. მართალია, ფულადი ვალდებულებების მარეგულირებელი ნორმები არ უთითებს გადახდის სავალდებულო ფორმაზე, თუმცა, იგი განმარტებულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით მოცემულ კონტექსტში. დასახელებული მუხლი, რომელიც სისტემურად მოთავსებულია სსკ-ის მეექვსე კარში (ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით) არეგულირებს ფულადი ვალდებულების შესრულების წესს. შესაბამისად, მოვალემ უნდა წარადგინოს უნაღლო ან ნაღდი ანგარიშსწორების გზით თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო კოდექსის 429-ე, 386-ე მუხლები). სსკ-ის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის,

რადგან საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება.

109. მოსარჩელის მიერ ფულადი ვალდებულების დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს ვალდებულება შესრულებული არ აქვს. ამდენად, ფულადი ვალდებულების დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მოპასუხეს. ფულადი ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

110. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შინაარსზე ანუ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე.

111. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დადასტურებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. მოწმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებდნენ სადავო ფაქტს (მაგალითად, უშუალოდ კრედიტორის წერილი, თუნდაც მესამე პირისადმი მიმართული, რომელშიც მითითებული ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ან/და კრედიტორის მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ ვალდებულების მიღებაზე და სხვა). სსკ-ის 429-ე მუხლის დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიცხვის ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში, შესაბამისად, ფულადი ვალდებულების შესრულება ვერ დადასტურდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით. ფულადი ვალდებულების შესრულებისას კანონი

„არ ენდობა“ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს (ამ შემთხვევაში, მონ-მის ჩვენების, როგორც არაპირდაპირი (ინდიციური) მტკიცებულებ-ბის შეფასება, ემპირიული წესების საფუძველზე ხორციელდება სხვა მტკიცებულებთან შეფასების გზით).

112. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დად-გენილად მიიჩნია, რომ მყიდველის ვალდებულება გამყიდველის წინაშე 500000 აშშ ოდენობით შეასრულა მესამე პირმა (მოსარჩე-ლემ), რასაც არ ეთანხმება კასატორი.

113. საკასაციო პალატა საქმეში არსებული მტკიცებულებების სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად შეფასების სა-ფუძველზე, იზიარებს წინამდებარე განჩინების პ. 40-ში მითითე-ბულ საკასაციო პრეტენზიას და მიიჩნია, რომ, განსახილველი სა-სარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, არ არსებობს სსკ-ის 371-ე და 986-ე მუხლის დანაწესის გამოყენების წინაპირობები შემდეგ გა-რემოებათა გამო:

114. საქმეში წარმოდგენილია მოპასუხე კომპანიის 2016 წლის 26 სექტემბრის სალაროს გასავლის ორდერი, სადაც მითითებულია, რომ კ. ჯ-ს (წილის გამყიდველი) წილის ნასყიდობის ხელშეკრულე-ბიდან გამომდინარე, მოპასუხე კომპანიის (წილის მყიდველი) მიერ აუნაზღაურდა 500000 აშშ დოლარი (1156600 ექვივალენტი ლარ-ში). სალარო გასავლის ორდერს ხელს აწერს გამყიდველი, მყიდვე-ლის უფლებამოსილი წარმომადგენელი (მოპასუხე კომპანიის დი-რექტორი) და მოპასუხე კომპანიის მთავარი ბუღალტერი.

115. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის მტკი-ცებას, რომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, სააპელაციო სასა-მართლოს მხრიდან ადგილი ქონდა მტკიცებულებების არასათანა-დო შეფასებას და მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც არ-სებობს კრედიტორის მიერ ხელმოწერილი ვალდებულების შესრუ-ლების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი, ამ მტკიცე-ბულების სამართლებრივ მნიშვნელობას ვერ გადაწონის კრედი-ტორის მხოლოდ, თუნდაც სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენება. მოსარჩელის მიერ საქმეში წარ-მოდგენილი არ არის რაიმე რელევანტური მტკიცებულება, რომ-ლითაც დადასტურდებოდა, რომ სს „ვ.ბ.ჯ-ას“ მიერ 2016 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებული და 2016 წლის წლის 23 სექტემბერს მოსარჩელის მიერ გამოტანილი 500000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი, მოსარჩელის მიერ კ. ჯ-ს გადაეცა, როგორც მოპასუხე კომ-პანიის ნაცვლად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებუ-ლი ფასის გადახდის მიზნით.

116. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასა-ციო პალატას მიიჩნია, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ შეგნე-

ბულად გაისტუმრა მოპასუხის ვალი (მის ნაცვლად შეასრულა 500000 აშშ დოლარის ოდენობით ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულება), რითაც ეს უკანასკნელი მოსარჩელის ხარჯზე გამდიდრდა (დაზოგა საკუთარი ქონება) და, ამით მოსარჩელემ განიცადა ქონებრივი დანაკლისი, ამასთან, სამართლებრივმა სიკეთემ მოსარჩელისაგან (კრედიტორიდან) მოპასუხესთან (მოვალესთან) უსაფუძვლოდ გადაინაცვლა, შესაბამისად, ამ ნაწილში არსებობს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

117. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია შეეხება მისთვის მოპასუხის სასარგებლოდ 324280 აშშ დოლარის (300000 ევრო) გადახდის დაკისრების მართლზომიერების საკითხს. კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ერთადერთი მტკიცებულება, რაც ადასტურებს მოსარჩელის მიერ თანხის გადახდის ფაქტს – 2015 წლის 21 დეკემბრის ბანკის მიერ გაცემული სალაროს შემოსავლის ორდერი, რომლის თანახმად, მოსარჩელემ 300 000 ევრო შეიტანა შ. ა-ას ანგარიშზე. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ეს იყო „არაპირდაპირი ინვესტირება“ „ს. ი-სი“ და ამავდროს, შპს „ს. ი-სი“ მისი წილის საფასური. კასატორის მოსაზრებით სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა ურთიერთწინააღმდეგობრივია, რადგან თუ თანხის გადაცემის მიზანი იყო ინვესტირება შპს „ს. ი-სი“, მაშინ თანხა ამ უკანასკნელს უნდა მიეღო და პასუხისმგებელი მის დაბრუნებაზეც ისაა, თუ თანხა განკუთვნილი იყო „ს. ი-სი“ წილის შესაძენად, მაშინ თანხა უნდა გადასცემოდა მოპასუხე კომპანიას, რადგან იგი წარმოდგენდა შპს „ს. ი-ის“ წილის 100%-ის მესაკუთრეს. სინამდვილეში კი, თანხა გადაეცა ფიზიკურ პირს შ. ა-ას. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მოპასუხის დასაბუთება, ხოლო თავისი პოზიცია არ დაასაბუთა. ასევე, საერთოდ გაუგებარია, რა კავშირია მოსარჩელის მიერ შ. ა-ასთვის 300 000 ევროს გადახდასა (2015 წლის 21 დეკემბერს) და შ. ა-ას მიერ „ა-ში“ 1 000 000 აშშ დოლარის – სამჯერ მეტი თანხის (2016 წლის 02 მარტს) ინვესტირებას შორის, 300 000 ევროს გადახდიდან ორ თვეზე მეტ ვადაში. დაუსაბუთებელია ფიზიკური პირი შ. ა-ასთვის მიცემულ თანხაზე, რატომ უნდა აგოს პასუხი იურიდიულმა პირმა, თუნდაც ამ უკანასკნელის დამფუძნებელი იყოს ეს ფიზიკური პირი. ეს სამასი ათასი ევრო „რ.ს.ა-ს“ არ მიუღია, შესაბამისად, მას არ უნდა დაეკისროს მისი დაბრუნების ვალდებულება. კასატორი აღნიშნავს, რომ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (სუსგ საქ-

მეზე №ას-344-329-2016). იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ვერ ადასტურებს და არც არსებობს შესაბამისი მტკიცებულები, რომ თანხა (300 000 ევრო) გადასცა მოპასუხეს, სარჩელი ხდება უსაფუძვლო (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ.39).

118. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 21 დეკემბერს, მოსარჩელემ არაპირდაპირ განახორციელა ინვესტირება შპს „ს. ი-სი“ 300 000 ევროს ოდენობით, კერძოდ, თანხა შეიტანა მოპასუხე კომპანიის მაჟორიტარი პარტნიორის – შ. ა-ას ანგარიშზე. აღნიშნული თანხა წარმოადგენდა მოსარჩელის წილის საფასურს შპს „ს. ი-სი“, რაც დასტურდება 2017 წლის 3 ნოემბრის მ. ხ-ს, თ. ლ-სა და მოსარჩელეს შორის არსებული მიმონერით, რომლის თანახმად, მ. ხ-ს, როგორც შ. ა-ას წარმომადგენელს, გაეგზავნა თანხებისა და გადარიცხვების შესახებ ინფორმაცია, რაც მიჩნეული უნდა ყოფილიყო წილის შესყიდვის საფასურის გადახდად. 2015 წლის 21 დეკემბერს გადაცემული 300 000 ევრო – 324 280 აშშ დოლარი დაფიქსირებულია, როგორც წილის შესყიდვის საფასური. ზემოაღნიშნული თანხის გადაცემის შემდგომ, შ. ა-ა 1 000 000 აშშ დოლარის შეტანას ახორციელებს მოპასუხე კომპანიაში და 2016 წლის 2 მარტის ტრანზაქციის თანახმად ხორციელდება კომპანიის ვადაგადაცელებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვა. სესხის დაფარვის პროცესში, შპს „ს. ი-ის“ მხრიდან თ. ლ-ის მეშვეობით თანხმდებოდა სესხის თანხის ეროვნულ ვალუტაში კონვერტაციის კურსი მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელთან, აგრეთვე, თანხმდებოდა თ. ლ-სა და გ. უ-ძეს შორის, მოსარჩელის და გ. უ-ძის შეხვედრის ადგილი და დრო, რომელიც იდენტურად ემთხვევა დ. კ-ძის მიერ გ. უ-ძისათვის თანხის გადაცემას და ამ უკანასკნელის მიერ თანხის შეტანას მოსარჩელის ანგარიშზე, რომელიც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ფაქტების კონსტატაციით, 2019 წლის 21 ოქტომბრის თ. ლ-ის სატელეფონო შეტყობინების ამონაწერით და მისივე განმარტებით.

119. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად 2015 წლის 16 ნოემბრიდან შ. ა-ა წარმოადგენს მოპასუხე კომპანიის – შპს „რ.ს.ა-ის“ 86.34% წილის მფლობელ მაჟორიტარ პარტნიორს. საქმეში განთავსებულია აგრეთვე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ... ბანკის მიერ გაცემული 2015 წლის 21 დეკემბრის სალარო შემოსავლის ორდერი №1, სადაც მითითებულია: შემომტანი – ბ. კ-ძე; მიმღები – შ. ა-ა; გადახდის დანიშნულება – შეტანა ანგარიშზე – 300000 ევრო (324280 აშშ დოლარი).

120. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 8 I მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლე-

ბა იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.

121. „იურიდიული პირი“ არის პოზიტიურ-სამართლებრივი აბსტრაქტული ცნება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა მიიღონ ადამიანთა გაერთიანების ან მათ მიერ განსაზღვრული მიზნისთვის ქონების გაერთიანების შედეგად წარმოშობილმა ორგანიზაციულმა წარმონაქმნებმა. (იხ. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, გვ.218).

122. სსკ-ის 24. I მუხლის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. (შდრ. ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79 I მუხლი).

123. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია საპროცესო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა სათანადო მხარე. სსკ-ის მე-3 მუხლით აღიარებულია დისპოზიციურობის პრინციპი, რომლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. სარჩელი წარმოადგენს სადავო ან დარღვეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებას. მოპასუხის მითითება არის მოსარჩელის ვალდებულება. მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის უფლება დაარღვია ან გახადა სადავო.

124. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო წარმოებაში მოპასუხის საპროცესო-სამართლებრივი დაინტერესება, ანუ მხარის შესაძლებლობა დაიცვას თავისი უფლებები, გამომდინარეობს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათიდან. ამდენად, მოპასუხე არის პირი, რომელსაც გააჩნია საქმის მატერიალურ სამართლებრივი და აქედან გამომდინარე, საპროცესო სამართლებრივი დაინტერესება. მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, საპროცესო კოდექსი თანასწორ შესაძლებლობას ანიჭებს პროცესის ორივე მხარეს, თავიანთი უფლებები დაიცვან სასამართლო წესით. სასამართლო სარჩელს იხილავს და გამოაქვს გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში იმ პირის წინააღმდეგ, რომლის მიმართაცაა სარჩელი

აღძრული. შესაბამისად, მოპასუხედ მითითებული პირი აუცილებელია, რომ იყოს „პასუხისმგებელი“. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ თუ სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღადგინოს მოსარჩელეთა დარღვეული სამოქალაქო უფლებას.

125. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების შედეგად, არ დასტურდება შ. ა-ასთვის 300 000 ევროს გადახდასა (2015 წლის 21 დეკემბერს) და შ. ა-ას მიერ შპს „რ. ს.ა-სი“ 1 000 000 აშშ დოლარის – სამჯერ მეტი თანხის (2016 წლის 02 მარტს) ინვესტირებას შორის რაიმე კავშირი, ამიტომაც, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოსარჩელის მიერ ფიზიკური პირის – შ. ა-ასთვის გადაცემულ თანხის 300000 ევრო (3242280 აშშ), მოპასუხე კომპანიისათვის დაკისრების თაობაზე.

126. საკასაციო პალატას მიაჩნია, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ ფიზიკური პირის შ. ა-ასათვის გადაცემულ 300000 ევროს (3242280 აშშ) დაბრუნებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მოპასუხე კომპანია, შესაბამისად, ამ ნაწილში არსებობს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრებული გადწყვეტილების (განჩინების) გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

127. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია უკავშირდება მისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 140000 აშშ დოლარისა და 500000 ლარის (204415 აშშ დოლარი) გადასახდელად დაკისრების მართლზომიერებას. კასატორი აღნიშნავს: სააპელაციო სასამართლო 2018 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით უთითებს, რომ 2018 წლის 2 ივლისს – 140 000 აშშ დოლარის, ხოლო 8 ივლისს – 500000 ლარის (204415 აშშ დოლარი) მოპასუხე კომპანიის სალაროში შეტანა მოპასუხე კომპანიის მთავარი ბუღალტრის – გ. უ-ძის მიერ დასტურდება 2018 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტით. კასატორის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში, არაფერ კავშირში არაა გ. უ-ძე და მოპასუხე კომპანიის სალარო. გარდა იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი არაა ხელმოწერილი, მასში 500 000 ლარი ნახსენებიც არაა. ამასთან, აქტში თანხის მიმღებად მითითებულია შ. ა-ა და არა კასატორი. ერთადერთი ხელმოწერილი აქტია 2017 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი. კასატორის სახელით მას ხელს აწერს ა. კ-ვა, თუმცა, მისთვის არც ზეპირად და არც წერილობით არავის მიუცია უფლებამოსილება ემოქმედა კასატორის სახელით. ამასთან, აღნიშნული პიროვნება მართლაც მუშაობდა მოპასუხე კომპანიაში, თუმცა, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან 2017 წლის 11 მაისს – აქტზე

ხელმოწერამდე თვენახევრით ადრე, რაც იმას ნიშნავს, რომ აქტზე ხელმოწერის დროისთვის, ის არათუ უფლებამოსილი პირი არ იყო, არც კი მუშაობდა მოპასუხე კომპანიაში. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელესთან იყო მოლაპარაკებები შპს „ს. ი-სი“ წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით, მაგრამ ის წარუმატებლად დასრულდა. სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში შ. ა-ასა და ბ. კ-ძეს შორის არსებული მიმოწერა „ს. ი-ის“ წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით, სადაც ერთი სიტყვითაც კი არაა ნახსენები კ-ძის მიერ ვითომ უკვე გადახდილი თანხა. გასაგებია, რომ საქმეში წარმოდგენილია ელ. მიმოწერა, რომლის ადრესატებიც არიან ლ. კ-ა, მ. ხ-ი და სხვები, მაგრამ არცერთ წერილში მეორე მხრიდან დადასტურებული არაა დ. კ-ძის მიერ შპს „ს. ი-სი“ ინვესტირების, ან შპს „რ.ს.ა-ისთვის“ თანხის გადაცემის ფაქტი. ის, რომ შპს „რ.ს.ა-ის“ ბენეფიციარი მფლობელია შ. ა-აა უდავოა, შესაძლოა მ. ხ-ი მართლაც მუშაობდეს მის ერთ-ერთ საწარმოში, მაგრამ კასატორს არც წერილობით და არც ზეპირსიტყვიერად, არასოდეს მიუცია უფლებამოსილება მ. ხ-ისთვის ემოქმედა მისი სახელით. იმისათვის რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე მოპასუხეს მოსთხოვო თანხის უკან დაბრუნება, სულ მცირე, ის მაინც უნდა დადასტურდეს, რომ ამ უკანასკნელმა მიიღო იგი, ხოლო ასეთის მტკიცებების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს, წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი არ დასტურდება, რომ მოსარჩელემ თანხა გადასცა კასატორს (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ.42).

128. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ გადაწყვეტილების პ-2-ში მითითებულ სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე (იხ. სარჩელის მე-10 ფაქტობრივი გარემოება) და მიაჩნია, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, თანხის – 140000 აშშ დოლარისა და 204415 აშშ დოლარის დაბრუნების მოთხოვნა, გამოდინარეობს სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და 979-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით).

129. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, „უსაფუძ-

ვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე“... უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას“ (მდრ: სუსგ №ას-390-390-2018, 15 მაისი, 2018 წ.).

130. „კონდიქციური ვალდებულების არსებობისას, არ გაითვალისწინება არც კონტრაქტის კეთილსინდისიერება და არც ბრალეულობა. ამ ვალდებულების მიზანი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადანაცვლებულ მატერიალურ/არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეთა ისე აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არ შექმნილიყო კონდიქციური ვალდებულების მახასიათებელი წინაპირობები. ქონებრივი წონასწორობის აღდგენის მიზნით, კანონი „განსაზღვრავს უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებას, რათა ხელი შეეწყოს სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას და ბრუნვის მონაწილე რომელიმე მხარე იმგვარ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს, რომელსაც სამართლებრივი წინაპირობები გამდიდრების ეტაპზე არ გააჩნია“ (ციტ: ახალაძე მ, უსაფუძვლო გამდიდრება 2015-2018 წლის პირველი ნახევარი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამომცემლობა, თბ., 2019, 32 <<http://www.supremecourt.ge>>).

131. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ერთი პირი უნდა მდიდრდებოდეს მეორის ხარჯზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად წარმოიქმნა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არა აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და

მათ მიერ ჩადენილი მოქმედებების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღმდეგობას.

132. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე იზრდება.

133. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) არაუფლებამოსილი პირისაგან ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ უფლებამოსილი პირის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

134. სსკ-ის 976-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ასრულებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

135. საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო, არ იზიარებს წინამდებარე გადაწყვეტილების პ.127-ში აღნიშნულ კასატორის პრეტენზიას და მიუთითებს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც დადასტურებულია მოპასუხის მიერ თანხის მიღება, მის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა მიღებული თანხის დაბრუნების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის დადასტურება.

136. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

137. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები.

138. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

139. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს

მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

140. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

141. პირველ რიგში მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი.

142. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

143. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

144. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვნადობის პრინციპების მოთხოვნათა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

145. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება, საკმაო სისრულითაა მოწესრიგებული კანონით. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემონახვა და შეფასება და ა.შ.

146. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო მტკიცება წარმოადგენს სასამართლოსა და მხარეთა საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა.

147. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

148. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა. მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერია-

ლურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

149. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

150. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“. (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ. 3-4). „მტკიცებულების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა

ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის კა, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძველად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის კა, თბ., 2004, გვ.64).

151. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დანყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს, თავის მხრივ, შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოობას და ა.შ. სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცა-

ვად.

152. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (მდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

153. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი.

154. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

155. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა

და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

156. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

157. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

158. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

159. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რო-

მელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადანყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

160. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (შდრ. მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიპტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთ-

ხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

161. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამონმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უნვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

162. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი, ეკისრება მოპასუხეს.

163. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ

ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედაგებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

164. საქმეზე დადგენილია, რომ 2018 წლის 2 ივლისს – 140 000 აშშ დოლარის, ხოლო 8 ივლისს – 500 000 ლარის რ.ს.ა-ის სალაროში შეტანა გ. უ-ძის მიერ დასტურდება 2018 წლის 26 ივნისის მიღებაჩაბარების აქტით. მოწმე ა. კ-ამ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მოსარჩელის მიერ თანხის გადაცემის ფაქტი, ასევე არ უარყო, რომ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა განხორციელებულია მის მიერ. (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.22).

165. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. *the Ludi v. Switzerland*, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია A, N238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და *the Schuler-Zraggen v. Switzerland* გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.

166. საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას განსახილველი საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში დაკითხული მოწმეების ჩვენების, ასევე წერილობითი მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით, შესაბამისად უსაფუძვლობის გამო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში მტკიცებულებების არასწორ შეფასებასთან და-

კავშირებით და დამატებით აღნიშნავს:

167. საქმის მასალებში განთავსებულია თ. ლ-ის (შპს „ს. ი-ის“ ფინანსური მენეჯერი) მიერ 2018 წლის 02 ივლისს ლ. კ-ასთვის (შპს „რ.ს.ა-ის“ დირექტორი) ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება „გიგზავნით მიღება-ჩაბარების აქტს 140000 აშშ დოლარის გადაცემაზე“, აგრეთვე იმავე თარიღით დათარიღებული წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება გ. უ-ძის (შპს „რ.ს.ა-ის“ მთავარი ბუღალტერი) მიერ კომპანიის მიმდინარე ანგარიშზე 140000 აშშ დოლარის შეტანის ფაქტი. საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხის მიერ წარდგენილ შესაგებლის მე-10 ფაქტობრივ გარემოებაზე, სადაც მოპასუხე აღნიშნავს, „რომც მივიჩნით წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისად იმისათვის, რომ დადასტურდეს მოპასუხის მიერ თანხის მიღების ფაქტი, წარმოდგენილ მტკიცებულებაში და მის დანართში საუბარია 140000 აშშ დოლარზე და არსად ნახსენები არაა 204415 აშშ დოლარი“.

168. რაც შეეხება სადავო 204415 აშშ დოლარის (500000 ლარი) ოდენობით თანხას, 2018 წლის 09 ივლისს მოსარჩელის მიერ მოპასუხე კომპანიის ანგარიშზე მისი შეტანა, დასტურდება არა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით, არამედ საქმის მასალებში განთავსებული საბანკო ამონაწერით, ასევე მოპასუხე კომპანიის დირექტორის ლ. კ-ას მიერ 2018 წლის 19 სექტემბერს მოსარჩელის მამისთვის გაგზავნილი ელექტრონული მიმონერითაც, სადაც მოპასუხე კომპანიის დირექტორი ადასტურებს მოსარჩელის მიერ 2018 წლის 09 ივლისს მოპასუხე კომპანიის ანგარიშზე 204415 აშშ დოლარის (500000 ლარი) შენატანის ფაქტს.

169. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. საზოგადოების უფლებამოსილი წარმომადგენლის მხრიდან (იხ. დავის წარმოშობისას მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი) ვალდებულების არსებობის აღიარების სწორი სამართლებრივი ანალიზისათვის, საკასაციო პალატა დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ ერთმანეთისაგან განასხვავებენ მარტივ, კაუზალურ და აბსტრაქტულ აღიარებას. მათი საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი ადასტურებენ/წარმოშობენ მოთხოვნის არსებობას, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. მარტივი აღიარება სახეზეა მაშინ, როდესაც მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალ-

დებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი (დაპირება). კაუზალური ვალის აღიარება ასევე მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ, ამასთან, იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შეთანხმება არსებული ვალდებულების შესრულების დამატებით ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა). უდავოა, რომ ელექტრონული მიმონერა სწორედ ვალდებულების კაუზალური აღიარებაა – შეიცავს ყველა იმ ელემენტს, რომლებიც დაკმაყოფილებულ ნაწილში ამყარებენ, როგორც მოსარჩელის მიერ გადმოცემულ ფაქტებს, ისე – იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას. ამ მტკიცებულებებს მოპასუხემ დაუპირისპირა კაუზალური აღიარების ავტორის განმარტებები იმგვარად, რომ ეს განმარტებები ვერ აქარწყლებენ ელექტრონულ მიმონერაში ასახულ ინფორმაციას, არამედ, წარმოადგენენ მათ უარყოფას, ანუ ისინი არ არიან წონადი მტკიცებულებები, რომლებიც ელექტრონული მიმონერის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდებოდა.

170. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (დავის წარმოშობისას მოქმედი რედაქციით) 9.1 მუხლის მიხედვით, შპს-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 9.2 მუხლის მიხედვით კი, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადანყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხოლო თუ მესამე პირის თანხმობა ხელშეკრულების ან სხვა ვალდებულებით სამართლებრივი ინსტრუმენტის მეშვეობითაა გათვალისწინებული, ამგვარი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობა კონტრაჰენტის კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებული, ანუ იმ გარემოებაზე, იცოდა თუ არა მან გარიგების დადებისას მისი ხელშემკვრელი მხარის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე. იურიდიული პირის შემთხვევაში, ამგვარი შეზღუდვა რეგისტრირებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, ან მესამე პირმა, რომლის თანხმობის გარეშეც დაიდო გარიგება, უნდა დაამტკიცოს, რომ ხელშემკვრელი მხარეები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და თანხმობის აუცილებლობის თაობაზე მათთვის ცნობილი იყო. ამ ნორმის სწორად განმარტება კი, სამენარმეო სუბიექტებთან მიმართებით უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან, კონკრეტულ საზოგადოებას თავისი წესდებით შეუძლია დაანესოს საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ყველა პარტნიორის თანხმობის აუცილებლობა

ისეთ საკითხებზეც, რომლებზეც კანონით ასეთი თანხმობა საჭირო არ არის. მესამე პირებისათვის ამგვარ შეზღუდვას ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ იგი სამენარმეო რეესტრში იქნება რეგისტრირებული. 9.4 მუხლის თანახმად, დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. აღნიშნული ნორმის თანახმად, სანარმოს დირექტორს ენიჭება უფლებამოსილება საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის მიერ საზოგადოების ინტერესების სანაწარმოდ დადებულ იქნა გარიგება, რომელმაც გარკვეული ზიანი მიაყენა საზოგადოებას, ამოქმედდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლით დაწესებული ნორმა საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ.

171. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა მისთვის 140000 აშშ დოლარისა და 204415 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდის დაკისრების ნაწილში, ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, ამიტომაც სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და, ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მას წარმოეშობა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოსარჩელისაგან მიღებული თანხის დაბრუნების ვალდებულება.

172. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

173. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი მოპასუხისათვის 797511 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმა-

ყოფილდეს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნებს 500000 აშშ დოლარისა და 324280 აშშ დოლარის (300000 ევრო) მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

174. კასატორი შუამდგომლობს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის დავის საგნის 4%-ის ოდენობით, მოსარჩელისათვის დაკისრების შესახებ.

175. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორის აღნიშნული მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი დასაბუთებით:

176. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. სსსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

177. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

178. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხესა და მის რწმუნებულს შორის ურთიერთობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს დავალების ხელშეკრულება (სსკ-ის 709-ე მუხლი). საქმის მასალებში განთავსებულია კასატორის – შპს „რ.ს.ა-ის“ მიერ ადვოკატ ლ. ჭ-ძეზე გაცემული რწმუნებულება.

179. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის მეორე მხარისათვის დაკისრების საკითხის გადანყვეტის წესი მოცემულია სსსკ-ის 53-ე მუხლში. ნორმის პირველი ნაწილის დანანესით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის

საგნის ღირებულების 4%-ისა. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განუყოფელ ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განუყოფელ ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრულობის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების არაუმეტეს 4%-ს. აღსანიშნავია, რომ დავის საგნის ღირებულების 4% წარმოადგენს ზედა ზღვარს (კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას), რომლის ფარგლებშიც ხდება წარმომადგენლის ხარჯების ოდენობის სასამართლოსმიერი განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები იქნა განხორციელებული ადვოკატის მიერ, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონაწილე რომელმაც მხარემ გასწავა იგი და სხვ. (მდრ: სუსგ №ას-818-784-2016, 02 ნოემბერი, 2016 წელი). განუყოფელი საადვოკატო ხარჯის დაკისრებისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის სირთულით, სასამართლო სხდომებში მონაწილეობისათვის დახარჯული დროის, წარმომადგენელი მოსაზრებებისა თუ მტკიცებულებების სიმრავლით და სხვა ამგვარი გარემოებებით, რაც მეორე მხარისათვის დასაკისრებელი საადვოკატო ხარჯის გონივრულობას განაპირობებს (მდრ: სუსგ №ას-1125-2019, 31 ოქტომბერი, 2019).

180. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან... ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განუყოფელი ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის განუყოფელი ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რეს-

პუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანდიქ საქართველოს წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. (შდრ: სუსგ №ას-1053-2019, 31 იანვარი, 2020 წელი; №ას-1773-2019, 06 ივნისი, 2019 წელი; №ას-353-331-2017, 23 ივნისი, 2017 წელი; №ას-734-702-2016, 20 იანვარი, 2017 წელი).

181. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა 824280 აშშ დოლარის ოდენობით, კასატორის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების ხარჯის კასატორის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების შესახებ, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და, კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს (მოსარჩელე) სსსკ-ის 53 I მუხლის საფუძველზე, კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარმომადგენლის ხარჯის ანაზღაურება 8000 დოლარის (გადახდის დღისათვისთვის ეკვივალენტი ლარში) ოდენობით.

182. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსსკ-ის 55-ე მუხლების საფუძველზე, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 257-ე, 55-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „რ.ს.ა-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 დეკემბრის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. კ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „რ.ს.ა-ს“ დ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 797511 აშშ დოლარის გადახდა;

5. დ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა შპს „რ.ს.ა-ისათვის“ 324280 აშშ (300000 ევრო) დოლარის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდეს.

ფილდეს;

6. დ. კ-ის სარჩელო მოთხოვნა შპს „რ.ს.ა-ისათვის“ 500000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდეს;

7. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზინის ანაზღაურების ვალდებულება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-591-2019

15 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ა. ზ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, პირველი აპელანტი, მეორე კასატორი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ბ-ყ-ის (შემდგომში – მოპასუხე, მეორე აპელანტი, პირველი კასატორი ან მოვალე) მიმართ მოპასუხისათვის 200 000 აშშ დოლარისა და 2013 წლის 10 იანვრიდან თანხის სრულად დაფარვამდე გადაუხდეელი თანხის წლიური 10%-ის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ფ. გ-მა, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მოპასუხეს სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირების მეშვეობით გადაურიცხა 200 000 აშშ დოლარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ეს თანხა გადარიცხულია, მაგრამ არ არის ამხანაგობაში შეტანილი, როგორც ვარაუდობდა ფ. გ-ი. სასამართლომ მიუთითა, რომ გადარიცხვის მიუხედავად, არ დგინდება თანხის მიზნობრიობა. სააპელაციო სა-

სამართლომ უარი თქვა თანხის მოპასუხისათვის დაკისრებაზე, რადგან დავის საფუძველი იყო ამხანაგობაში შენატანის უკან დაბრუნება, იმ მოტივით, რომ ამხანაგობა დაიშალა, სასამართლომ კი თანხა ამხანაგობაში შეტანილად არ ჩათვალა. მოცემული სარჩელის შემთხვევაში დავის საფუძველი არის სხვა, კერძოდ, თანხების გადარიცხვა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. თანხის გადარიცხვის ფაქტი დასტურდება უდავოდ. ფ. გ-მა მოსარჩელეს მოთხოვნა დაუთმო ორჯერ: ერთხელ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ყველა იმ უფლება-მოვალეობაზე, რომელიც ეხებოდა ამხანაგობა „ლ. 2007-ს“, რადგან დავა შეეხებოდა ამხანაგობას, ხოლო მეორედ მოთხოვნა ფ. გ-მა მოსარჩელეს დაუთმო სრულად ნ. ბ-ყ-ის მიმართ 2015 წლის 5 ნოემბერს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. შესაგებლის თანახმად, ფ. გ-მა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში სხვადასხვა პირის საშუალებით გადასცა თანხები მოპასუხეს, საერთო ჯამში 180 000 და არა 200 000 აშშ დოლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლომ, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 180 000 აშშ დოლარი ნ. ბ-ყ-ისათვის არ იყო გადარიცხული გ. 2007-თან დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში, თუმცა, სასამართლოს არ დაუდგენია თანხის საფუძვლის გარეშე გადაცემა. მოპასუხისათვის თანხის გადაცემას გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი: ფ. გ-სა და მოპასუხეს შორის არსებობდა ზეპირი ფორმით დადებული ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ფ. გ-ი ვალდებული იყო, თანხის გადახდის სანაცვლოდ, აეშენებინა და მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება ამხანაგობა „ი. 26-ში“. ამხანაგობა დაფუძნდა 1990 წელს, რა დროსაც მოპასუხის მიერ დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, მის ინტერესებში არ შედიოდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში თავისი სახელით შესვლა. ამხანაგობასთან ხელშეკრულება გააფორმა ნ. ბ-ყ-ის რძლის მამამ, გ. ბ-მა. მის სახელზე ამხანაგობის მიერ გაიცა დოკუმენტი, რითიც დასტურდებოდა, რომ შენატანი ამხანაგობაში სრულად იყო შეტანილი. შენატანები რეალურად განხორციელებული იყო მოპასუხის მიერ. „ი. 26-მა“ დროულად ვერ შეძლო ბინის აშენება, რის გამოც მოპასუხემ ფ. გ-ს მოსთხოვა თანხის უკან დაბრუნება, რაც მან განახორციელა ნაწილ-ნაწილ. სწორედ ეს თანხაა მიღებული 180 000 აშშ დოლარის ოდენობით. მოპასუხემ მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც, კერძოდ, ფ. გ-ის

მიერ თანხის გადაცემა განხორციელდა 2005-2006 წლებში, სარჩელი შესაბამისი საფუძვლით აღძრულია 2016 წლის 10 ივნისს. მართალია, სხვა საფუძვლით იმავე თანხაზე მხარეთა შორის არსებობდა დავა, მაგრამ მხოლოდ წინამდებარე სარჩელით მოითხოვა მოსარჩელემ უსაფუძვლო გამდიდრებით თანხის დაბრუნება. შესაბამისად, გასულია არა მხოლოდ სახელმეკრულებო მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, არამედ საერთო ათწლიანი ვადაც.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების/დამატებითი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის გადახდა;

3.2. ამავე სასამართლოს 2018 წლის 3 იანვრის დამატებითი გადაწყვეტილებით კი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა 30 000 აშ დოლარის წლიური 10%-ის გადახდა 2016 წლის 10 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/დამატებითი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, პირველმა აპელანტმა (მოსარჩელე) მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო, მეორე აპელანტმა (მოპასუხე) – სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივრები უარყოფილ იქნა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება და დამატებითი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, პირველმა კასატორმა (მოპასუხე) მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა, ხოლო მეორე კასატორმა (მოსარჩელე) – სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების და-

საბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს კონდიციური მოთხოვნის წინაპირობების არსებობა, მოთხოვნის მოცულობა და მისი იძულებით განხორციელების შესაძლებლობა წარმოადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინებით კასატორთა შედავებების ფარგლებში სწორედ ზემოხსენებული გარემოებების არსებობას შეამოწმებს.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. სააპელაციო პალატის დასკვნით:

1.2.1. 2015 წლის 4 მაისს ფ. გ-სა და ა. ზ-ს შორის გაფორმდა მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება (დამონმებული ნოტარიუს ნ. ხ-ას მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი ..., ...), რომლის მიხედვით, ფ. გ-მა ა. ზ-ს დაუთმო მოთხოვნის უფლება სრულად, რაც მას გააჩნია ნ. ბ-ყ-ის მიმართ. ფ. გ-ის მიერ დათმობილი მოთხოვნის უფლება გამოიხატება ნ. ბ-ყ-ისათვის გადაცემული 200 000 აშშ დოლარით და მასზე დარიცხული სარგებლით;

1.2.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ყ-ის

სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოსარჩელე ნ. ბ-ყ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა (აღუდგა საკუთრების უფლება) ქ. თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე ((ნაკვ. 28/1) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ...) მდებარე უძრავი ნივთი. ა. ზ-ს ნ. ბ-ყ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ქირის სახით არსებული დავალიანების – 5 667 აშშ დოლარის გადახდა. ა. ზ-ს უარი ეთქვა შეგეგებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ა. ზ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო, შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ფ. გ-სა და ნ. ბი-ყ-ს შორის 2007 წლის 4 ივლისს გაფორმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თაობაზე ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) „ლ. 2007-ის“ შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ნ. ბ-ყ-ის საკუთრებაში არსებული 578 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (მდებარე: ქ. თბილისი, ... და ... ქუჩების კვეთაზე, საკადასტრო კოდი №...) გადაეცემა ამხანაგობას მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. ხელშეკრულების მიხედვით, ნ. ბ-ყ-ი წარმოადგენს „მესაკუთრეს“; ფ. გ-ი წარმოადგენს „ინვესტორს“, რომელიც საკუთარი ან მოზიდული სახსრებით უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლის აშენებას.

ამავე დავის ფარგლებში დადგინდა, რომ 2005-2006 წლებში ფ. გ-ის მიერ ნ. ბ-ყ-ისათვის გადახდილი თანხა არ წარმოადგენდა ფ. გ-ის მიერ ამხანაგობა „ლ. 2007-ში“ განხორციელებულ შენატანს, ვინაიდან ამხანაგობა დაფუძნდა 2007 წელს. აღნიშნული საფუძვლით ა. ზ-ს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი ითხოვდა 320 000 აშშ დოლარის, მათ შორის 200 000 აშშ დოლარის როგორც ამხანაგობა „ლ. 2007-ში“ განხორციელებული შენატანის დაკისრებას ნ. ბი-ყ-ისათვის;

1.2.3. ა. ზ-მა ნ. ბ-ყ-ის მიმართ 2015 წლის 30 დეკემბერს შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის 200 000 აშშ დოლარის და გადაწყვეტილების აღსრულებამდე გადაუხდელი თანხის წლიური 10%-ის გადახდის დაკისრების მოთხოვნით. 2015 წლის 31 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ა. ზ-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე;

1.2.4. ფ. გ-ს ნ. ბი-ყ-ის სასარგებლოდ გადახდილი აქვს 183 000 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით ნ. ბი-ყ-ისათვის ფ. გ-ს გადახდილი აქვს 200 000 აშშ დოლარი, სამართლებრივი საფუძ-

ვლის გარეშე. მოსარჩელეს საქმეში წარმოდგენილი აქვს 2005-2006 წლებით დათარიღებული სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები. მოპასუხე არ ხდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ მან ფ. გ-ისაგან მიიღო 183 000 აშშ დოლარი, თუმცა ის არ ეთანხმება 200 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტს. ამასთან, მხარეები არ დავობენ, რომ ფ. გ-ის მიერ თანხის გადარიცხვა ხდებოდა მესამე პირების მონაწილეობით, მათი საბანკო ანგარიშების გამოყენებით, რის შემდეგაც ნ. ბი-ყ-ი იღებდა გადარიცხულ თანხებს. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შემოსავლის ორდერებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ:

- 2005 წლის 29 ნოემბერს ფ. გ-ის დაცვის ნევრის გ. ი-ის მიერ ნ. ბ-ყ-ის მძღოლის ზ. მ-ის ანგარიშზე შეტანილი იქნა 108 800 აშშ დოლარი, გადახდის მიზნობრიობა ქვითარში მითითებული არ არის;

- 2005 წლის 28 დეკემბერს მ. გ-ის მიერ 40 000 აშშ დოლარი შეტანილი იქნა ნ. ბ-ყ-ის ოჯახის დამხმარის, ლ. გ-ს ანგარიშზე, გადახდის მიზნობრიობა ქვითარში მითითებული არ არის;

- 2005 წლის 30 ნოემბერს ფ. გ-ის დაცვის ნევრის გ. ი-ის მიერ ნ. ბი-ყ-ის მძღოლის ზ. მ-ის ანგარიშზე შეტანილი იქნა 1 200 აშშ, გადახდის მიზნობრიობა ქვითარში მითითებული არ არის;

- 2006 წლის 2 თებერვალს ფ. გ-ის დაცვის ნევრის გ. ი-ის მიერ ნ. ბ-ყ-ის მძღოლის ზ. მ-ის ანგარიშზე შეტანილი იქნა 10 000 აშშ დოლარი, გადახდის მიზნობრიობა ქვითარში მითითებული არ არის;

- 2006 წლის 18 იანვარს ფ. გ-ის დაცვის ნევრის გ. ი-ის მიერ ნ. ბი-ყ-ის ოჯახის დამხმარის, ლ. გ-ას ანგარიშზე შეტანილი იქნა 20 000 აშშ დოლარი, გადახდის მიზნობრიობა ქვითარში მითითებული არ არის.

მოცემული თანხები ჯამში შეადგენს 180 000 აშშ დოლარს.

მოპასუხე დაეთანხმა ნ. ბი-ყ-ის მიერ 183 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტს. სალაროს შემოსავლის ორდერებში მითითებული თანხების გარდა მოპასუხემ დაადასტურა 3 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი, რომელიც გადაეცა ფ. გ-ისგან ე. შ-ის მეშვეობით, თუმცა თანხის გადაცემის ზუსტი თარიღი არ მიუთითებია.

17 000 აშშ დოლარის ფ. გ-ის მხრიდან მოპასუხის მიერ მიღების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო;

1.2.5. მოპასუხემ ვერ წარადგინა საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომელთა ანალიზით დადგინდებოდა ნ. ბი-ყ-სა და ფ. გ-ს შორის სახელმეკრულებო ურთიერთობის არსებობა, რომლის შესაბამისად ნ. ბი-ყ-ი, როგორც კრედიტორი, უფლებამოსილი იყო მიეღო ფ. გ-ისაგან ზემოაღნიშნული შესრულება (მოპასუხემ მიუთითა 1994 წლის 20 აპრილს ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის ამხანაგობა

„ი.ს-26-ის“ თავმჯდომარე ნ. ბ-ას მიერ გაცემულ ცნობაზე; 1989 წლის 21 სექტემბერს ორჯონიკიძის რ-ის სოცბანკის მიერ გაცემულ უწყებაზე ქ. კ-ძის, როგორც ამხანაგობის წევრის საპაიო შესატანის – 9 500 მანეთის შეტანის თაობაზე; მოწმე გ. მ-სა და ე. შ-ის ჩვენებებზე, თუმცა, 1994 წლის 20 აპრილს „ი. 26-ის“ თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობით არ დასტურდება ნ. ბი-ყ-ის მიერ ამხანაგობა „ი. 26-ში“ ბინის შეძენის მიზნით თანხის შეტანის ფაქტი. აღნიშნული ცნობის მიხედვით, გ.ა.ბ-ს ამხანაგობაში შეტანილი აქვს 380 000 რუსული მანეთი და 200 000 000 კუპონი. აღნიშნულ ცნობას ხელს აწერს ამხანაგობა „ი.-26-ის“ თავმჯდომარე ნ. ბ-ა. ცნობით არ დგინდება არც ფ. გ-ის და არც ნ. ბი-ყ-ის სამართლებრივი კავშირი ამხანაგობა „ი. 26-თან“. ამასთან, გ. ბ-ისა და მოპასუხის ნათესაური კავშირის დადგენაც კი, თავისთავად ვერ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თანხა, რაც ცნობის მიხედვით ბ-ის მიერ ამხანაგობაშია შეტანილი, ფაქტობრივად გადაიხადა ნ. ბი-ყ-მა და რომ აღნიშნული თანხა შეადგენს 180 000 აშშ დოლარს. ამ ცნობით არ დგინდება ასევე, რომ აღნიშნული თანხის დაბრუნებაზე ვალდებული პირს წარმოადგენდა ფ. გ-ი. რაც შეეხება 1989 წლის 21 სექტემბერს ორჯონიკიძის რ-ის სოცბანკის მიერ გაცემულ უწყებას, აღნიშნული დგინდება ქ. კ-ძის ამხანაგობის წევრის საპაიო შესატანის 9 500 მანეთის შეტანის ფაქტი; სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულებით შეუძლებელია მტკიცების საგანში შემავალი გარემოების – ფ. გ-სა და ნ. ბი-ყ-ს შორის 1990-იან წლებში სახელშეკრულებო ურთიერთობის დადასტურება; მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე წინამდებარე საქმის განხილვისას დაკითხული იქნა ორი მოწმე: ე. შ-ი და გ. მ. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა გ. მ-მა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება ვერ შეძლო. რაც შეეხება აღნიშნული მოწმის ჩვენებას საგამოძიებო ორგანოებში, წინამდებარე საქმის განხილვისას მოწმემ არ დაადასტურა ის გარემოებები, რაც მისი დაკითხვის 2014 წლის 21 მაისის ოქმშია ასახული. სასამართლო სხდომაზე დისტანციურად დაკითხულმა ე. შ-მა მიუთითა, რომ 1990-იან წლებში მოპასუხე იშენებდა ბინას „ი. 26-ში“, მშენებლობას ხელმძღვანელობდა ფ. გ-ი. 2005 წელს კი, ფ. გ-ის მიერ გაცემული თანხა 3 000 აშშ დოლარი, რაც ასაშენებელი ბინის საფასურის ნაწილს წარმოადგენდა, ე. შ-მა მიუტანა სახლში და გადასცა ნ. ბი-ყ-ს);

1.2.6. საქმეში არ არის წარმოდგენილი მასალები იმის შესახებ, თუ როდის მიიღო ფ. გ-ის მიერ გადახდილი თანხები ნ. ბი-ყ-მა. წარმოდგენილი ორდერებით დგინდება მხოლოდ თანხის გადარიცხვის ფაქტები და შესაბამისად, თარიღები. ამ თვალსაზრისით დგინდე-

ბა, რომ ფ. გ-ის მიერ გადარიცხულია:

- 2005 წლის 29 ნოემბერს – 108 800 აშშ დოლარი;
- 2005 წლის 30 ნოემბერს – 1 200 აშშ დოლარი;
- 2005 წლის 28 დეკემბერს – 40 000 აშშ დოლარი;
- 2005 წელს – 3 000 აშშ დოლარი;
- 2006 წლის 02 თებერვალს – 10 000 აშშ დოლარი;
- 2006 წლის 18 იანვარს – 20 000 აშშ დოლარი.

სარჩელი თავდაპირველად 2015 წლის 30 დეკემბერს აღიძრა, თუმცა, 2015 წლის 31 დეკემბრის განჩინებით სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. წინამდებარე სარჩელი კი აღძრულია 2016 წლის 10 ივნისს – ექვს თვის ვადაში.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო უარყოფს მხარეთა პრეტენზიებს და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ ემყარება კანონის დარღვევას, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები.

1.3.2. საკასაციო სასამართლო უპირველესად მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, სარჩელის ფორმალურ დასაბუთებულობასა და მოპასუხის შედავების არსებობაზე გაამახვილებს ყურადღებას. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის საგანს წარმოადგენს თანხის დაკისრება, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე მიუთითებს მოპასუხისათვის მატერიალური სახსრების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემაზე. ამ მოცემულობაში საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოთხოვნის წარმატებულობა კონდიქციური ნორმების ფარგლებში უნდა შემოწმდეს.

1.3.3. სამოქალაქო კოდექსის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით დაბრუნებას ექვემდებარება ის სიკეთე, რაც ვითომ-კრედიტორს გადაეცა, თუმცა: ა) გადაცემა ბათილი გარიგების საფუძველზე განხორციელდა; ბ) ვალდებულება არ წარმოშობილა; გ) ვალდებულება შემდგომში შეწყდა. სამივე შემთხვევას საერთო აქვს ის, რომ გადაცემას არ გააჩნია საფუძველი, შესაბამისად, სამართლებრივ სიკეთეთა ამგვარი გადანაცვლება ინვეს ე.წ ვითომ-კრედიტორის გამდიდრებას სხვა პირის ქონების

შემცირების ხარჯზე, აქედან გამომდინარე, სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა დასაშვებია ამგვარი განკარგვის უკუქცევის შედეგად. გარდა ამისა, მოსარჩელე მოითხოვს გადაცემული თანხის დაბრუნებამდე მისი წლიური 10%-ის მოპასუხისათვის დაკისრებას. ამ მოთხოვნის საფუძვლიანობა უნდა შემოწმდეს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში, რომლის თანახმადაც, თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს. კონდიქციური მოთხოვნის მარეგულირებელი ხსენებული ნორმა განსაკუთრებით უსვამს ხაზს ფულის დაბრუნების საკითხს და ადგენს, რომ ქონებრივი წინასწორობის აღდგენისათვის ვითომ კრედიტორმა ასევე უნდა გადაიხადოს პროცენტი. ამგვარი დანაწესი, როგორც ნორმის სიტყვასიტყვითი, ისე – მთლიანი შინაარსის განმარტებიდან გამომდინარეობს, კერძოდ, თუკი არაფულადი მოთხოვნის შემთხვევაში დასაბრუნებელი ნივთის სათანადო სამეურნეო გამოყენების შედეგად შესაძლებელია შემოსავლის მიღება და ეს მტკიცებას ექვემდებარება, ფულადი მოთხოვნის შემთხვევაში კანონმდებლის პოზიცია თავად ფულის, როგორც საკუთრების ობიექტის მოგებაუნარიანობითაა ნაკარნახევი. ფული სამოქალაქო მიმოქცევის იმგვარი ობიექტია, რომელიც, როგორც გასესხების, ისე – დეპოზიტზე განთავსების შედეგად გარკვეულ მოგებას იძლევა, შესაბამისად, ფულის მეშვეობით სარგებლის მიღების თეორიული შესაძლებლობა მტკიცებას არ ექვემდებარება, არამედ – შეფასების საგნად შეიძლება მხოლოდ გონივრული საპროცენტო განაკვეთი იქცეს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ფორმალური თვალსაზრისით სარჩელი გამართულია, კერძოდ, მასში გადმოცემულია იურიდიული შედეგის განმსაზღვრელი სამართლებრივი წინაპირობები.

1.3.4. რაც შეეხება შესაგებლის არსებითობას, აღნიშნული მნიშვნელოვანია სადავო და უდავო ფაქტების განსაზღვრის, ასევე, მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ კვალიფიციური შედავება წარმოადგინა, რომლის ფარგლებშიც მან თანხის ნაწილის მიღების ფაქტი ნაწილობრივ დაადასტურა, თუმცა, სასამართლოს მოვლენათა განვითარების განსხვავებული ახსნა შესთავაზა. მან მიუთითა თანხის სამართლებრივი საფუძვლით გადაცემაზე. ამდენად, უპირველესად უნდა ითქვას, რომ 183 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის გადაცემა უდავოა, მტკიცების საგანში შედის 17 000 აშშ დოლარის

გადაცემის ფაქტი, ასევე, გადაცემის სამართლებრივი საფუძვლის არსებობა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად გაანალიზეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, რამდენადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, სწორედ მოსარჩელეს ეკისრებოდა 17 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის გადაცემის მტკიცების ვალდებულება. ამ მხრივ მან სარწმუნო და განკუთვნიანი მტკიცებულებები ვერ წარადგინა, ხოლო, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას. რაც შეეხება თანხის სამართლებრივი საფუძვლით გადაცემას, ვინაიდან კვალიფიციური შედავების ავტორი მოპასუხეა, სწორედ ისაა ვალდებული, დაადასტუროს შესრულების საფუძვლის არსებობის ფაქტი. ამ მხრივ სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, თუმცა მათი ინდივიდუალური და ერთობლივი შეფასება მართლაც არ უქმნის სასამართლოს შინაგან რწმენას, რომ შესრულებას გააჩნდა საფუძველი – მოპასუხე გავიდა ამხანაგობის ხელშეკრულებიდან და მას ამხანაგობამ დაუბრუნა შენატანი. ამ გარემოების დამადასტურებელი არც პირდაპირი მტკიცებულებები არ არსებობს და არც რაიმე ირიბი მტკიცებულებით ან მოწმეთა ჩვენებებით არ დგინდება შესაგებელში განვითარებული მსჯელობის ნამდვილობა. რაც შეეხება საკასაციო პრეტენზიას, ამ თვალსაზრისით მხარე შემოიფარგლება სასამართლოს დასკვნების კრიტიკით და კვლავ ცდილობს ლოგიკური კავშირი დაამყაროს იმ მტკიცებულებებს შორის, რომლებიც ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საფუძველს არ იძლევა. ამდენად, პალატა სრულად იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების შეფასებებებს იმის თაობაზე, რომ მოპასუხისათვის 183 000 აშშ დოლარის უსაფუძვლოდ გადაცემის ფაქტი საქმის მასალებით დადგენილია.

1.3.5. შესაგებლის არსებით მხარეზე მსჯელობისას საკასაციო პალატა შეჩერდება მოპასუხის იმ შედავებაზე, რომელიც აფერხებს მოთხოვნას. მოპასუხე აპელირებს იმ საკითხზე, რომ სარჩელი ხანდაზმულია. მართალია, მოპასუხე მიუთითებს სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადაზე, თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის იძულებით განხორციელების საკითხთან მიმართებით ვერ იქნება დამაბრკოლებელი, რამეთუ ხანდაზმულობაზე მითითება საპროცესო თავდაცვის საშუალებაა, ხოლო სამართლის ნორმის შეფარდება სასამართლოს კომპეტენცია. თავად შედავება არსებითია იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულნი პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შეს-

რულებაზე. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს ხაზი გასმული მოთხოვნის იძულებით განხორციელების ვადის საკითხზე. ამგვარი ვადების არსებობა განპირობებულია სამართლებრივი სტაბილურობით, მხარეთა მიერ პოზიციების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობითა და მტკიცებულებათა განადგურების თავიდან აცილებით.

1.3.6. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ განსახილველ დავაში კონდიციური მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საერთო 10-წლიან ვადაში უნდა შემოწმდეს. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის წარმოშობის მომენტის სწორად განსაზღვრას – სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს ის ობიექტური მომენტი, როდესაც კრედიტორისათვის გახდა ცნობილი უფლების დარღვევის შესახებ. კანონი ითვალისწინებს სუბიექტურ და ობიექტურ მომენტს, თუმცა, როგორც წესი, სუბიექტური ფაქტორი მხოლოდ მაშინაა განმსაზღვრელი, როდესაც შეუძლებელია დადგინდეს ობიექტური წინაპირობა. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოთხოვნის წარმოშობის თაობაზე კრედიტორისათვის ცნობილი გახდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თანხის გადაცემის დროიდან. თანხის დაკისრების თაობაზე სარჩელი თავდაპირველად აღიძრა 2015 წლის 30 დეკემბერს (სარჩელის მიღებაზე მხარეს ეთქვა უარი 31.12.2015წ. განჩინებით, თუმცა, მან ამავე თანხის დაკისრების მოთხოვნით სასამართლოს განმეორებით 6 თვის ვადაში მიმართა), სამოქალაქო კოდექსის 138-ე-140-ე მუხლების შესაბამისად, ამ დროიდან შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა. ამ მხრივ ვერ იქნება გაზიარებული მოპასუხის მსჯელობა თავდაპირველი და შემდგომ აღძრული სარჩელების არაიდენტურობაზე, რამდენადაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის, არამედ დავის საგნისა და ფაქტობრივი საფუძვლის იგივეობა. მოსარჩელე თვლის, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა უფრო ადრე, რადგანაც მან თავდაპირველად საგამოძიებო ორგანოს მიმართა. საკასაციო პალატა არ იზიარებს ხსენებულ გარემოებას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მიზნებისათვის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანია უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა. კონდიციური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის გამომძიებლის ორგანო არ წარმოადგენს უფლებამოსილს, შესაბამისად, ამ კუთხით მისი პრეტენზია უსაფუძვლოა (პრაქტი-

კის თვალსაზრისით იხ. სუსგ [დიდი პალატა] №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი).

1.3.7. ამდენად, საკასაციო პალატა ასკენის, რომ 2005 წლის 29 ნოემბერს, 30 ნოემბერს, 28 დეკემბერს შესრულებული გადარიცხვების, ასევე, 2005 წელს გადაცემული 3 000 აშშ დოლარის დაბრუნების მოთხოვნა ხანდაზმულია და არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, ხოლო 2006 წლის 18 იანვარსა და 2 თებერვალს შესრულებული გადარიცხვების დაბრუნება სწორად დაეკისრა ვითომ-კრედიტორს.

1.3.8. რაც შეეხება პროცენტის ანაზღაურების საკითხს, მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა საფუძვლიანად მიიჩნიეს მისი წლიური 10%-ით განსაზღვრა, ამ მხრივ დასაბუთებული შედავება არ არის წარმოდგენილი, ამასთანავე, ვინაიდან დადგინდა კონდიქციური მოთხოვნის წინაპირობები, ხოლო დასაბრუნებელი ობიექტი ფულადი თანხაა, სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში, არახანდაზმული მოთხოვნის წლიური 10%-ის დაკისრება წარმატებულია. აქვე პალატა აღნიშნავს, რომ მსგავსად თავდაპირველი მოთხოვნისა, ვინაიდან პროცენტის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს ასევე კანონისმიერი ვალდებულება წარმოადგენს, მისი საფუძვლიანობაც 10-წლიან ვადაში უნდა შემოწმდეს თითოეულ ფულად გადარიცხვაზე ინდივიდუალურად.

1.3.9. რაც შეეხება პირველი კასატორის პრეტენზიას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პროცესის ხარჯების განაწილების სისწორესთან დაკავშირებით, პალატა მას შეფასების გარეშე ტოვებს, რამდენადაც მხარეს არ მიუთითებია თუ რა დარღვევას ემყარება პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან პროცესის ხარჯების განაწილება (საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს, დაკმაყოფილებული მოთხოვნის შესაბამისად, დააკისრა გადახდილი ბაჟიდან 450 ლარის, ასევე, იურიდიული მომსახურების ხარჯის – 3 264 ლარის გადახდა).

1.4. გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვების პროცესუალური დასაბუთება:

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, საკასაციო საჩივრები კი, არ შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ დასაბუთებულ შედავებას, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, პალატა უცვლელად ტოვებს მას.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასა-

ციო საჩივრები, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან, საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ბი-ყ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ა. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეცდომით ხარჯების განაწილა სხვა პირის ქონებაზე

გადანყვეთილება საქართველოს სახელით

№ას-1465-2019

10 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული სარგებლის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რ. კ-ქემ (შემდეგში – პირველი მოსარჩელე) და ნ. კ-ომ (შემდეგში – მეორე მოსარჩელე) სარჩელი აღძრეს ბ. კ-ძისა (შემდეგში – პირველი მოპასუხე) და ლ. კ-ძის (შემდეგში – მეორე მოპასუხე, კასატორი) მიმართ, რომლითაც მოითხოვეს პირველი და მეორე მო-

პასუხისათვის 38,800 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის მიხედვით, მეორე მოსარჩელესა და მ. კ-ძეს შეეძინათ შვილი – რ. კ-ძე. მისი დაბადების შემდეგ მეორე მოსარჩელე შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა უკრაინაში. 2011 წელს მეორე მოსარჩელე დაბრუნდა საქართველოში. მეორე მოსარჩელემ და მ. კ-ძემ მოახდინეს ქორწინების რეგისტრაცია და დაიწყეს თანაცხოვრება ... რაიონის სოფელ ს., სადაც კომლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ააშენეს საცხოვრებელი სახლი, თუმცა, მისი მშენებლობა დღემდე არ დასრულებულა. მ. კ-ძის გარდაცვალების შემდეგ, ამ უკანასკნელის მშობლებმა კომლის სახელზე არსებული მიწის ნაკვეთის ნახევრის გადაცემის შესახებ მიცემული ზეპირი პირობა არ შეასრულეს. მეუღლეების საერთო ძალებით აშენებული საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს პირველ მოპასუხეს, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული უძრავი ქონება მიჰყიდა მეორე მოპასუხეს 1000 ლარად. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ ჩუქების გარიგება მოჩვენებითია, ხოლო ამ გარიგებით გამდიდრებულ პირს წარმოადგენენ მოპასუხეები.

3. მოპასუხეებმა მოთხოვნის გამომრიცხველ შესაგებელში უარყვეს კომლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სახლის აშენება მეორე მოსარჩელისა და მ. კ-ძის მიერ. მათი განმარტებით მეორე მოსარჩელე მხოლოდ დრო და დრო ჩამოდიოდა უკრაინიდან საქართველოში და არც საიმისო სახსრები გააჩნდა რომ აეშენებინა სახლი, ხოლო რაც შეეხება მ. კ-ძეს, იგი დაავადებული იყო მძიმე სენით, მკურნალობდა, არ გააჩნდა შემოსავალი სახლის ასაშენებლად.

4. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი. მოპასუხეებს მოსარჩელების სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 18 950 ლარის გადახდა.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით. მოსარჩელებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, მოპასუხეებისათვის დამატებით 19850 ლარის გადახდის დაკისრება. მოპასუხეებმა კი მოითხოვეს სარჩელის სრულად უარყოფა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მეორე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა პირ-

ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა შემდეგი სახით: მეორე მოპასუხეს მოსარჩელეების სასარგებლოდ დაეკისრა 37 800 ლარის გადახდა. მოთხოვნა პირველი მოპასუხეებისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

7. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა შემდეგ გარემოებებსა და მოსაზრებებს:

8. მოსარჩელები არიან დედა-შვილი. მეორე მოსარჩელე შვილის დაბადების შემდეგ საცხოვრებლად წავიდა უკრაინაში. მეორე მოსარჩელის მეუღლემ – მ. კ-ძემ იქორწინა ნ. ს-ძეზე, რომელთანაც შეეძინა ქალიშვილები – ლ. და ლ. კ-ძეები. 2011 წელს კი, მეორე მოსარჩელე დაბრუნდა საქართველოში და იმავე წლის 23 ივნისს მ. კ-ძესთან გატარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამ დროიდან, დაიწყო მათი თანაცხოვრება. მათთან საცხოვრებლად ჩამოდიოდა პირველი მოსარჩელე, რომელიც მ. კ-ძემ, როგორც მამამ მიიღო სახლში ოჯახის წევრად, ასევე, ბაბუა კ-ძემაც.

9. ქორწინებისა და შვილის დაბრუნების შემდგომ, მ. კ-ძემ მეორე მოსარჩელესთან ერთად, კომლის სახელზე რიცხულ მინის ნაკვეთზე, მამისეული სახლის გვერდით, დაიწყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სახლი ამჟამად, სრულად აშენებული არ არის, მისი საბაზრო ღირებულება შედგენს 37900 ლარს.

10. მ. კ-ძე გარდაიცვალა 20... წლის ... აპრილს. მ. კ-ძის გარდაცვალების შემდგომ, სამკვიდრო მიიღო და ქონების ფაქტობრივი ფლობა განაგრძო მეორე მოსარჩელემ (მეუღლე). იგი, მეუღლის გარდაცვალებიდან გარკვეული პერიოდი იმყოფებოდა გარდაცვლილი მეუღლის მამისა და ნათესავების სახლში, განკარგა კუთვნილი საოჯახო ნივთები: მაცივარი, გარდაცვლილი მეუღლის კუთვნილი არყის სახდელი აპარატი და სხვა. გარდა ამისა, ფაქტობრივად ფლობს სადავო საცხოვრებელ სახლს, რომელიც დაკეტილია და გასაღები ინახება მეორე მოსარჩელესთან.

11. მინის ნაკვეთი, რომელზეც დაწყებული იქნა სადავო სახლის მშენებლობა, წარმოადგენდა კომლის სარგებლობაში არსებულ 5000 კვ. მეტრ მინის ნაკვეთს. კომლის უფროსად ირიცხებოდა მ. კ-ძის მამა – ა. კ-ძე.

12. მ. კ-ს გარდაცვალების შემდგომ, აღნიშნული მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საკუთრების უფლებით დაირეგისტრირეს ა. კ-ძემ და ფ. კ-ძემ, ხოლო შემდგომ, ჩუქების ხელშეკრულებით გადასცეს შვილიშვილს (მ. კ-ძის ძმის შვილს) პირველ მოპასუხეს. პირველმა მოპასუხემ აღნიშნული ქონების ნაწილი, 305 კვ. მეტრი მინის ნაკვეთი ნასყიდობით, 1000 ლარად გადასცა მ. კ-ძის ქალიშვილს – მეორე მოპასუხეს (კასატორს) და ამ-

უამადაც ირიცხება მეორე მოპასუხის (კასატორის) საკუთრებაში.

13. სასამართლომ გამოიკვლია მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, სოფელ ს. მაცხოვრებელთა 43 პირის ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ რ. კ-ქემ, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში, რომელიც მშობლებმა სიტყვიერად გადასცეს, ნ. კ-ოსთან და მათ საერთო შვილთან, რ. კ-იძესთან ერთად ააშენა საცხოვრებელი სახლი და სახლთან მდებარე ხის პატარა შენობა, თუმცა, თვითონ მშენებლობის დასრულებამდე და მიწის ნაკვეთის და სახლის დარეგისტრირებამდე გარდაიცვალა.

14. სასაქონლო ზედნადებების თანახმად, ნ-მ შეიძინა და სოფელ ს. მიიტანა 350 ცალი სამშენებლო ბლოკი, და ბეტონი, რომელიც სოფელ ს-ში ტრანსპორტირებული იქნა ჯ. მ-ის მიერ.

15. შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან მიღებული საზღვრის კვეთის ინფორმაციის თანახმად, ნ. კ-ო 2011 წლიდან ძირითადი პერიოდი იმყოფებოდა საქართველოში.

16. საქმეში განთავსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებით დასტურდება, რომ მ. კ-ს გარდაცვალებამდე ხანმოკლე პერიოდში, რამდენიმე თვე ავადმყოფობდა.

17. მოწმე ზ. კ-ქემ განმარტა, რომ მ. კ-ქე იყო მისი ბიძაშვილი. მასთან ნ. კ-ოს დაბრუნებისა და ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ, მამისეულ მიწის ნაკვეთზე, მ. კ-ქემ მეუღლესთან ერთად დაიწყო სახლის მშენებლობა. მშენებლობაში ძირითადად თვითონ ეხმარებოდა და ყველაფერს თვითონ აკეთებდა. მას, სამშენებლო მასალების შესაძენად ფულს აძლევდა ნ. კ-ო. ეხმარებოდნენ მეზობლებიც. თანხას აგზავნიდა რ. კ-ქეც. ერთხელ, თვითონ დაესწრო ფულის მიღებას, როცა რ. კ-ქემ გადმორიცხა 200 ევრო. სახლი იყო მ. კ-ძის ოჯახის, უნდა დარეგისტრირებულიყო მასსა და მისი ოჯახის წევრებზე, თუმცა, მისი გარდაცვალების შემდგომ, მამამ – ა. კ-ქემ თავის სახელზე გადაიფორმა, ხოლო ნ. კ-ო იძულებული იყო გაეყიდა დარჩენილი ქონება და წასულიყო უკრაინაში.

18. მოწმე რ. ხ-მა განმარტა, რომ მ. კ-ქე იყო მისი მეზობელი და უახლოესი მეგობარი. მ. დაუბრუნდა მისი 30 წლის წინ დაკარგული შვილი – რ. მას გაუჩნდა ცხოვრების ინტერესი. მამისეული მიწა გაინაწილეს ძმებმა, რის შემდეგაც, მ. კ-ქემ დაიწყო სახლის მშენებლობა. სახლი შენდებოდა რ-ს დაფინანსებით და უნდა ყოფილიყო მისი.

19. მოწმე, ე. ხ-მა განმარტა, რომ მ. კ-ქემ მას შემდეგ გადაწყვიტა სახლის მშენებლობა, რაც იპოვა თავისი ცოლ-შვილი. მ-ს ჰქონდა საკმაო შემოსავლები, სახლის მშენებლობაზე იხარჯებოდა მისი თანხები. მშენებლობაში ეხმარებოდნენ მეზობლები.

20. ორივე მხარის ინიციატივით დაკითხულმა მოწმე მოწმე ჯ. მ-მა განმარტა, რომ მ. სახლის მშენებლობის დროს, თვითონაც იშენებდა სახლს. სილა-ცემენტი რამდენჯერმე მ. მიუტანა. თანხას იხდიდა მ. კ-ძე, მას მეორე მოსარჩელე არ უნახავს.

21. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, მეზობლების ხელმოწერით (46 პირის ხელმოწერა) დადასტურებულ წერილობით განმარტებაში აღნიშნულია, რომ ძველი კომლის სახლის მიმდებარედ მშენებლობა დაიწყო თავად ა. კ-ძემ თავისი სახსრებით, რომელიც მიიღო მინის ნაკვეთის 37400 ლარად გასხვისებით. სახლი შენდებოდა ა. კ-ძის მხარდაჭერით.

22. მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი საკომპენსაციო ხელშეკრულების თანახმად, 2013 წელს, ა. კ-ძემ, შპს „ა. ე.“-ისაგან მიიღო მინის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა (37466 ლარი).

23. მოპასუხე მხარის ინიციატივით დაკითხულმა მოწმემ – ზ. კ-ძემ (ა. კ-ძის ძმა) განმარტა, რომ ა. კ-ძემ ორივე ვაჟიშვილს გაუნაწილა მინის ნაკვეთი, ასევე, გაუნაწილა საკომპენსაციოდ მიღებული თანხაც.

24. მოპასუხე მხარის ინიციატივით დაკითხულმა მოწმემ – ზ. კ-ძემ (მოწმე ზ. კ-ძის ძმა) განმარტა, რომ მ. კ-ძისათვის სახლის მშენებლობა დაიწყო ა. კ-ძის ფულით, რომელიც მან მიიღო მინის ნაკვეთის გაყიდვის შედეგად. ა-ს უნდა ეცხოვრა მ-სთან ერთად, მაგრამ მშენებლობის პერიოდში მოხდა უკმაყოფილება. ა. კ-ძემ დაიბარა ზ. კ-ძე და უთხრა, რომ სახლი შვილიშვილზე უნდა გადაეფორმებინა. თვითონ წაიყვანა რეესტრში და ქონება გადაუფორმა შვილიშვილს.

25. მოპასუხე მხარის ინიციატივით დაკითხულმა მოწმემ – ყ. კ-ძემ განმარტა, რომ მისმა მამამ, ა. კ-იძემ, კომპენსაციით მიღებული თანხა მისცა მ. კ-ძეს სახლის მშენებლობისათვის, მ. კ-ძეს და ნ. კ-ოს საკუთარი თანხები არ გააჩნდათ. ნ. კ-ო მ. გარდაცვალების შემდგომაც ართმევდა ფულს ა. კ-ძეს. მ. გარდაცვალების შემდგომ, მისი ქონება გაყიდა ნ. კ-ომ, სახლს თვითონ დაეპატრონა და გასაღებიც მას აქვს. ა. კ-ძეს უნდოდა რომ ქონება ყველა შვილიშვილს დარჩენოდა, ამიტომ გადაუფორმა პირველ მოპასუხეს.

26. მოპასუხე მხარის ინიციატივით დაკითხულმა მოწმემ – ს. მ-ძემ განმარტა, რომ მ. კ-ძემ დაიწყო სახლის მშენებლობა, როცა ჩამოიყვანა თავისი ცოლი და შვილი. მანამდე, მისი მამა – ა. კ-ძეც ამბობდა, რომ მ-ს შვილი რომ ჩამოვიდოდა, სახლი უნდა დაეხვედრებინა. ა-მ მიიღო ფულადი კომპენსაცია და გაუნაწილა შვილებს. თანხა მ-ს ჰქონდა. მას სახლის მშენებლობაში მეზობლებიც ეხმარებოდნენ, სახლი შენდებოდა მ. მისი გარდაცვალების შემდეგ, ცოლმა და შვილმა გაყიდეს დარჩენილი ქონება და წავიდნენ.

27. მოპასუხე მხარის ინიციატივით დაკითხულმა მონემ – მ. ს-ქემ (მ. კ-ძის და) განმარტა, რომ ნ. კ-ო მ. დაბრუნდა 35 წლის შემდეგ, გარდაცვალებამდე 4 წლით ადრე. მას მიეცა სტიმული შვილის ჩამოყვანაზე. მას ეხმარებოდა მამა – ა. კ-ქე, უნდოდა მასთან ცხოვრება, რის გამოც, გვერდით, ერთად დაიწყეს სახლის მშენებლობა. მშენებლობაში ეხმარებოდნენ ბიძაშვილები და მეზობლები, მაგრამ ფულს იხდიდა ა. კ-ქე. მ-ს გარდაცვალების შემდეგ, ნ-მ დაიწყო ქონების გაყიდვა, ამიტომ ა. კ-ქემ სახლი გაიფორმა თავის სახელზე და შემდეგ გადასცა შვილიშვილებს.

28. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად დადგინდა, რომ სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება ჯამში შეადგენს 37 900 ლარს.

29. დადგენილია, რომ აშენდა მხოლოდ შავი კარკასი, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ მოსარჩელები და მეორე მოსარჩელის მეუღლე, ამ უკანასკნელს კი გააჩნდა თავისი შემოსავალი. თავდაპირველი მესაკუთრის მიერ გაყიდული მიწის ნაკვეთის თანხა მისმა შვილებმა თანაბრად გაიყვეს. სახლის გასაღები მოსარჩელებს აქვთ და იქ მოპასუხეები არასდროს მისულან. სახლს აშენებდა მეორე მოსარჩელის მეუღლე და სახლის გასაღები ჰქონდა მას.

30. მონმეთა ჩვენებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თავდაპირველი მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე სადავო საცხოვრებელი სახლი შენდებოდა მეორე მოსარჩელის მეუღლის ოჯახისთვის, მოსარჩელებისა და თავდაპირველი მესაკუთრის მიერ ნაჩუქარი თანხით.

31. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იქიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთი სახლის მშენებლობამდე იყო თავისუფალი და მისი საბაზრო ღირებულება წარმოადგენდა 915 ლარს, პირველი მოპასუხის მიერ, მეორე მოპასუხისთვის ჩუქების გზით მიღებული სადავო უძრავი ქონების 1000 ლარად გასხვისება არ ნიშნავს მის გამდიდრებას, ამიტომ მოსარჩელეთა მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით ქონების გაუმჯობესებით წარმოშობილი ღირებულების ანაზღაურების თაობაზე იყო უსაფუძვლო.

32. მოსარჩელეთა მოთხოვნა მეორე მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ საფუძვლიანად მიიჩნია, რადგან როგორც დადასტურდა, სადავო მიწის ნაკვეთზე აშენებული სახლით, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება გაიზარდა მოსარჩელებისა და მეორე მოსარჩელის მეუღლის თანხით და შეადგინა 38 800 ლარი.

33. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მეორე მოპასუხემ მოსარჩელების მიერ გაუმჯობესებულ სადავო უძრავ ქონე-

ბაში გადაიხადა 1000 ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მან 37 800 ლარი დაზოგა და შესაბამისად უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

34. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

36. მეორე მოპასუხის – კასატორის საკასაციო საჩივარი აგებულა შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

37. კასატორი სადავოდ ხდის სახლის აშენებაში გაღებული ხარჯის გამოთვლასა და მის განევას. კასატორისთვის გაუგებარია რატომ ჩათვალა სასამართლომ მეორე მოსარჩელის მიერ განეული ხარჯი მოსარჩელებების მიერ განეულ ხარჯად, თუ რატომ არ მიიჩნია დადასტურებულად თავდაპირველი მესაკუთრის მონაწილეობა სახლის მშენებლობაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარმოდგენილი მონემებით ნათლად დასტურდება აღნიშნული ფაქტი, რომ თავდაპირველი მესაკუთრის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა სახლის ნაწილი. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებდა მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი მონმე, რომლის ჩვენება სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არასათანადოდ შეფასდა, რისი შედეგიც იყო არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

38. კასატორი მიიჩნევს, რომ დავის სწორი გადაწყვეტა შეუძლებელია მისი ფაქტობრივი გარემოებების სწორად გამოკვლევის გარეშე, ამიტომ სასამართლომ უნდა გამოარკვიოს საკითხები, რომელთა გარეშეც უფლებამოსილი პირის გამდიდრების ფაქტის დადგენა და დავის კანონიერი გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ უნდა იმსჯელოს რა სახის ხარჯი იქნა განეული მხარეების მიერ და რა მოცულობით მოხდა მისი გამდიდრება.

39. კასატორი სადავოდ ხდის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებას და აღნიშნავს, რომ მართალია სასამართლომ მონმის ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებულებებად შეაფასა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას მტკიცებულებები არა თუ ერთობლიობაში გამოიკვლია, არამედ მხოლოდ მოსარჩელის მტკიცება ჩათვალა სარწმუნოდ. ხოლო დოკუმენტები, რომლებიც თავდაპირველი მესაკუთრის ფინანსურ მონაწილეობაზე მიუთითებდა უგულებელჰყო. ამასთან, სასამართლომ მხოლოდ ორ მონ-

მეზე გაამახვილა ყურადღება, რომელთაგან ერთ-ერთი ადასტურებდა პირველი მოსარჩელის მიერ თვითმფრინავით თანხის გადმოგზავნის ფაქტს, თუმცა, მან ვერ შეძლო აღნიშნული ფაქტის სხვა მტკიცებულებებით დადასტურება. იქიდან გამომდინარე, რომ მოწმეს ჰქონდა სურვილი გაეყიდა სადავო სახლი, რაც გახდა მხარეებთან კონფლიქტის მიზეზი, აღნიშნული პირი დაინტერესებულია საქმის გადაწყვეტით და მისი ჩვენების მტკიცებულებად მითითება არ უნდა იყოს დასაშვები.

40. სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ ჩათვალა მეორე მოსარჩელის მეუღლის შემოსავლის არსებობის ფაქტი მის საკუთრებაში არსებული სკების საფუძველზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს გარემოება არ უნდა ჩათვლილიყო შემოსავლის მიღების იმდენად მყარ არგუმენტად, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა სახლის მშენებლობის დაწყება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სკები ყოველთვის იყო მის საკუთრებაში, მაგრამ სახლის მშენებლობა კი სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც თავდაპირველმა მესაკუთრემ მიწის ნაკვეთი გაყიდა. მნიშვნელოვანია არა ის, თუ რისთვის სჭირდებოდა ახალი სახლი მოხუცებულს, არამედ ის, თუ რა ხარჯი განიხილეს მან მშენებლობაზე. ამოსავალი წერტილი უსაფუძვლო გამდიდრებაზე არის ხარჯის განევის ფაქტი, რომელიც მოსარჩელებმა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დაადასტურეს.

41. მოსარჩელეთა მოწმეების მიერ დადასტურებული ფაქტი უტყუარად მიიჩნია სასამართლომ და დამტკიცებულად ჩათვალა, რომ მეორე მოსარჩელის მეუღლემ თავისი სახსრებით დაიწყო სახლის მშენებლობა, ხოლო თავდაპირველმა მესაკუთრემ მიწის ნაკვეთის გასხვისებით მიღებული ფულადი კომპენსაცია გაუნაწილა შვილებს. ასეთი ფაქტის დამტკიცება შეუძლებელი იქნებოდა სასამართლოს მტკიცებულებები ერთობლიობაში რომ შეეფასებინა.

42. ექსპერტიზამ დაადგინა, თუ კონკრეტულად რა ფასში მოხდა უძრავი ქონების ღირებულების ზრდა, რაც სასამართლომ ავტომატურად მიიჩნია მოსარჩელების მიერ გაღებული ხარჯების ოდენობად, რაც საფუძველს მოკლებულია.

43. სადავო ქონების ღირებულება გაიზარდა არა მოსარჩელეებისა და მეორე მოსარჩელის მეუღლის მიერ გაღებული ხარჯების საფუძველზე, არამედ, თავად თავდაპირველი მესაკუთრის მიერ გაღებული ხარჯით, რაც მოწმეთა ჩვენებებითა და საკომპენსაციო დოკუმენტით ცხადად დასტურდება. რაც შეეხება მემკვიდრეობაზე მითითებას, სავალდებულო წილის მემკვიდრედ არა მხოლოდ მოსარჩელები, არამედ თავად მეორე მოპასუხეც გვევლინება, რადგან ისიცაა მეორე მოსარჩელის მეუღლის შვილიც.

44. პალატას არ გამოუკვლევია მოსარჩელე მხარეს რამდენად

ჰკონდა ფინანსური შესაძლებლობა სახლის მშენებლობაში მიეღო მონაწილეობა, ამიტომ თავისი გადაწყვეტილება ექსპერტიზის დასკვნას დააფუძნა, რომელიც თავის მხრივ, მხოლოდ და მხოლოდ სახლის ღირებულების გაზრდის ფაქტს ადასტურებს და არა მშენებლობაში მოსარჩელეთა ფინანსურ ჩართულობას.

სამოტივაციო ნაწილი:

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა (დისპოზიცია: საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავაზე დასაშვებია თუ, საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას) და ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით (დისპოზიცია: სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე).

46. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგი გარემოებების გამო:

47. საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეებს მოსარჩეელების სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 18 950 ლარის გადახდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა შემდეგი სახით: მეორე მოპასუხეს (ლ. კ-ძე) მოსარჩეეების სასარგებლოდ დაეკისრა 37 800 ლარი. აღნიშნული თანხის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

48. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იხილება მხოლოდ მეორე მოპასუხის (ლ. კ-ძე) საკასაციო საჩივარი, რამდენადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი დარჩა განუ-

ხილველად.

49. კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის უარყოფას მოითხოვს და საკასაციო საჩივრის პრეტენზიას იმაზე ამყარებს, რომ საქმის მასალებით დაუდგენელია თუ, რა სახის ხარჯი გასწიეს მხარეებმა და რა მოცულობით გამდიდრდა მოპასუხე (ლ. კ-ძე).

50. საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემონმებისათვის, საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

51. მოსარჩელეები ნ. კ-ო და რ. კ-ძე არიან დედა-შვილი; რ. კ-ძე დაბადებულია 19... წლის ... მარტს ... რაიონის სოფელ მ., მამა არის კ-ძე მ. ა. ძე.

52. მეორე მოსარჩელე შვილის დაბადების შემდეგ საცხოვრებლად წავიდა უკრაინაში. მეორე მოსარჩელის მეუღლემ – მ. კ-ძემ კი, იქორწინა ნ. ს-ძეზე, რომელთანაც შეეძინა ქალიშვილები – ლ. და ლ. კ-ძეები. მოგვიანებით, მ. კ-ძე და ნ. ს-ძე ერთმანეთს დაშორდნენ.

53. 2011 წელს კი, მეორე მოსარჩელე დაბრუნდა საქართველოში და იმავე წლის 23 ივნისს მ. კ-ძესთან გატარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამ დროიდან, დაიწყო მათი თანაცხოვრება. მათთან საცხოვრებლად ჩამოდიოდა პირველი მოსარჩელე, რომელიც მ. კ-ძემ, როგორც მამამ მიიღო სახლში ოჯახის წევრად, ასევე, ბაბუა – ა. კ-ძემაც.

54. მიწის ნაკვეთი, რომელზეც დაიწყო სახლის მშენებლობა, წარმოადგენდა კომლის სარგებლობაში არსებულ 5000 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს. კომლის უფროსად ირიცხებოდა მ. კ-ძის მამა – ა. კ-ძე.

55. მეორე მოსარჩელის მეუღლე – მ. კ-ძე, გარდაიცვალა 20... წლის ... აპრილს.

56. მ. კ-ძის გარდაცვალების შემდგომ, აღნიშნული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საკუთრების უფლებით დაირეგისტრირეს ა. კ-ძემ და ფ. კ-ძემ, ხოლო შემდგომ, ჩუქების ხელშეკრულებით გადასცეს შვილიშვილს (მ. კ-ძის ძმის შვილს) პირველ მოპასუხეს. პირველმა მოპასუხემ აღნიშნული ქონების ნაწილი, 305 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი ნასყიდობით, 1000 ლარად გადასცა მ. კ-ძის ქალიშვილს – მეორე მოპასუხეს (კასატორს) და ამჟამადაც, აღნიშნული ქონება ირიცხება მეორე მოპასუხის (კასატორის) საკუთრებაში.

57. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულ პრეტენზიას სააპელაციო სამართლოს მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად,

ამ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

58. გამომდინარე იქიდან, რომ კასატორი (მოსარჩელე) სადავოდ ხდის მოსარჩელების მიერ ხარჯის განეგას სახლის მშენებლობაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, რომლის მიხედვით დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთზე სადავო საცხოვრებელი სახლი შენდებოდა მეორე მოსარჩელის მეუღლის – განსახილველი დავის წარმოების დროისათვის გარდაცვლილი მ. კ-ძის ოჯახისთვის, კერძოდ, დადგენილია, რომ 2011 წელს კი, მეორე მოსარჩელე დაბრუნდა საქართველოში და იმავე წლის 23 ივნისს მ. კ-ძესთან გატარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამ დროიდან, დაიწყო მათი თანაცხოვრება. მათთან საცხოვრებლად ჩამოდიოდა მათი შვილი – პირველი მოსარჩელე, რომელიც მ. კ-ძემ, როგორც მამამ მიიღო სახლში ოჯახის წევრად, ასევე, ბაბუა – ა. კ-ძემაც.

59. სადავო გარემოებებთან, კერძოდ, სახლის მშენებლობაში მოსარჩელეთა მიერ ხარჯის განეგასთან მიმართებით, მოსარჩელები მიუთითებენ, რომ სახლი შენდებოდა მოსარჩელების (დედა-შვილი) და თავდაპირველი მესაკუთრის – ბაბუის მიერ ნაჩუქარი ფულიანი სახსრებით. გარკვეული ხარჯები თავისი სამეურნეო შემოსავლიდან გაღებული აქვს მ. კ-ძესაც. აღნიშნულ გარემოებას სადავოდ ხდის მოპასუხე (კასატორი) და განმარტავს, რომ ნ. კ-ოსა და რ. კ-ძეს არავითარი მატერიალური მონაწილეობა არ მიუღიათ სახლის მშენებლობაში; სახლი აშენდა მ. კ-ძის მამის – ა. კ-ძის ფულით, რომელიც მან მიიღო საკომპენსაციოდ სხვა მიწის ნაკვეთის გასხვისებით. ნ. კ-ო ფაქტობრივად არ იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო მ. კ-ძე თავისი ავადმყოფობის გამო, ვერ შეძლებდა სახლის მშენებლობას. მოპასუხეთა მითითებული გარემოება მოსარჩელებს უსაფუძვლოდ მიაჩნიათ და აღნიშნავენ, რომ ა. კ-ძე, რომელიც იყო ... წლის ასაკოვანი ბაბუა, არავითარი ინტერესი არ გააჩნდა თავისთვის აქვს შენებინა სახლი. სახლს იშენებდა მ. კ-ძე, თავის ოჯახისთვის – მეუღლისა და შვილისათვის ერთობლივ საცხოვრებლად.

60. სახლის მშენებლობაზე ხარჯის განეგას გარემოებებთან მიმართებით, მხარეთა ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების არსებობის პირობებში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძ-

ველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით დადასტურდება ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატიური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ

მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვევტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

61. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

62. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დაამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვევტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ. 64) (22.03.2019წ. საქმე №ას-1919-2018).

63. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელებმა მათ მიერ ხარჯის განევა დაადასტურეს მონმეთა ჩვენებებითა და ექსპერტის დასკვნით. მოპასუხემ აღნიშნული გარემოებების სარწმუნოდ გასაბათილებლად კვალიფიციური შესაგებელი ვერ წარმოადგინა (შეადრ: სუსგ №ას-584-584-2018, 28 ივნისი, 2019 წელი). მოპასუხე უთითებს მისივე ინიციატივით დაკითხულ მონმეთა ჩვენებებზე, თუმცა, მათი ჩვენებით ვერ გაბათილდება საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სოფელ ს-ის მაცხოვრებელ-

თა 43 პირის ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ „რ. კ-ქმ მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში, რომელიც მშობლებმა სიტყვიერად მისცეს, ნ. კ-სთან და მათ საერთო შვილთან რ. კ-ქსთან ერთად ააშენა საცხოვრებელი სახლი და სახლთან მდებარე ხის პატარა შენობა, თუმცა მშენებლობის დასრულებამდე და სანამ ის დაირეგისტრირებდა მიწის ნაკვეთს და სახლს, გარდაიცვალა“. წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები, რითაც დგინდება, რომ ნ. კ-ომ შეიძინა და სოფელ ს. მიიტანა 350 ცალი სამშენებლო ბლოკი, წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები სამშენებლო ბეტონის შექენაზე, რომელიც სოფელ ს-ში ტრანსპორტირებულია ჯ. მ-ის მიერ. მოსარჩელის წარმომადგენელი მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან მიღებულ ნ. კ-ოსა და რ. კ-ქის მიერ მიღებულ საზღვრის კვეთის ინფორმაციაზე, რითაც დგინდება, რომ ნ. კ-ო 20... წლიდან ძირითადი პერიოდი იმყოფებოდა საქართველოში. წარმოდგენილია ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რითაც მოსარჩელის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ მ. კ-ქე გარდაცვალებამდე ხანმოკლე პერიოდში რამდენიმე თვე ავადმყოფობდა. მოსარჩელე მხარის ინიციატივით დაკითხული იქნენ მონმეები ზ. კ-ქე, რ. ხ-ი, ე. ხ-ი, ჯ. მ-ი, ზ. კ-ქე. მონმე ზ. კ-ქემ განმარტა, რომ მ. კ-ქე იყო მის ბიძაშვილი, ნ. კ-ოს მასთან დაბრუნებისა და ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ მამისეულ მიწის ნაკვეთზე მ. კ-ქემ მეუღლესთან ერთად დაიწყო სახლის მშენებლობა. მშენებლობაში ძირითადად თვითონ ეხმარებოდა და ყველაფერს თვითონ აკეთებდა, მას სამშენებლო მასალების შესაძენად ფულს აძლევდა ნ. კ-ო, ეხმარებოდნენ მეზობლებიც, თანხას აგზავნიდა რ. კ-ქეც, ერთხელ, თვითონ ესწრებოდა ფულის მიღებაში როცა რ. კ-ქემ გადმორიცხა 200 ევრო. სახლი იყო მ. კ-ქის ოჯახის, უნდა დარეგისტრირებულიყო მასა და მისი ოჯახის წევრებზე; თუმცა, მისი გარდაცვალების შემდგომ, მისმა მამამ, ა. კ-ქემ სახლი თავისზე გადაიფორმა, ხოლო ნ. კ-ო იძულებული იყო გაეყიდა დარჩენილი უძრავი ქონება და წასულიყო უკრაინაში. მონმე რ. ხ-ის ჩვენებით მ. კ-ქე იყო მესი მეზობელი და უახლოესი მეგობარი. მ. დაუბრუნდა მის 30 წლის უკან დაკარგული ვაჟიშვილი რ. და მას გაუჩნდა ცხოვრების ინტერესი. მამისეული მიწა გაინაწილეს ძმებმა და მ. კ-ქემ დაიწყო სახლის მშენებლობა; სახლი შენდებოდა რ. დაფინანსებით და უნდა ყოფილიყო რ. მონმე ე. ხ-ის ჩვენებით, მ. კ-ქემ მას შემდეგ გადანყვიტა სახლის მშენებლობა, რაც იპოვა თავისი ცოლ-შვილი. მ-ს ჰქონდა საკმაო შემოსავლები და სახლის მშენებლობაზე იხარჯებოდა მისი თანხა; მშენებლობაში ეხმარებოდნენ მეზობლები. მონმე ჯ. მ-ის ჩვენებით მ-ს სახლის მშენებლობის დროს თვითონაც

იშენებდა სახლს. ეზიდებოდა სილა ცემენტს, მოუტანა რამდენჯერმე მ-საც. თანხას იხდიდა მ. კ-ძე და ნ. კ-ო არ უნახავს. მოწმე ზ. კ-ძის ჩვენებით ა. კ-ძემ ორივე ვაჟიშვილს გაუნანილა მიწის ნაკვეთი, ასევე, გაუნანილა საკომპენსაციოდ მიღებული თანხაც.

64. ამდენად, საკასაციო პალატა სარწმუნოდ მიიჩნევს, რომ სადავო შენობა/ნაგებობა სწორედ მ. კ-ძის ოჯახის საცხოვრებლად აშენდა და ამ გარემოების სანიხალმდევოდ, კასატორს დასაშვები საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. თუმცა, საგულისხმოა, რომ კასატორმა ნაწილობრივ დასაშვები საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა უსაფუძვლო გამდიდრების, კერძოდ, ქონებრივი ნამეტის განსაზღვრის ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

65. დადგენილია, რომ მ. კ-ძის გარდაცვალების შემდგომ, სამკვიდრო მიიღო და ქონების ფაქტობრივი ფლობა განაგრძო მოსარჩელე ნ. კ-ძემ; იგი მეუღლის გარდაცვალებიდან გარკვეული პერიოდი იმყოფებოდა მ. კ-ძის მამისა და ნათესავეების სახლში, განკარგავ კუთვნილი საოჯახო ნივთები მაცივარი, მ. კ-ძის კუთვნილი არყის სახდელი აპარატი და სხვა ნივთები. სახლის გასაღები მოსარჩელეებს აქვთ და იქ მოპასუხეები არასდროს მისულან.

66. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის, 1319-ე მუხლისა და 1421-ე მუხლების საფუძველზე, მ. კ-ძის გარდაცვალების შემდგომ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას ახორცილებდა ნ. კ-ო. ანუ მან ნება გამოხატა მემკვიდრეობის მისაღებად და შეასრულა მემკვიდრეობის მიღებისათვის საჭირო მოქმედება, დაეუფლა სამკვიდრო ქონებას.

67. დადგენილია, რომ სამკვიდრო ქონების ნაწილი, რომელიც ეკუთვნოდა მ. კ-ძეს, საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. აღნიშნული მიზეზით ვერ მოხდა ქონების სამართლებრივი დეკლარაცია, რაც შემდგომში განახორციელა ა. კ-ძემ და გადასცა მოპასუხეებს. ზ. კ-ძე და ლ. კ-ძე ამ მოქმედებით უსაფუძვლოდ გამდიდრდნენ, მიიღეს ქონება, რომელზეც არ გააჩნდათ უფლება.

68. შესაბამისად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ მოპასუხემ მიიღო გაუმჯობესებული ქონება, რითაც ეს უკანასკნელი გამდიდრდა, თუმცა, საკვლევი საკითხი იმის შესახებ თუ, რა ოდენობით გამდიდრდა მოპასუხე (ლ. კ-ე).

69. დადგენილია, რომ სადავო ქონებაზე განეული დანახარჯი მოპასუხემ მოსარჩელეებს მან უნდა აუნაზღაუროს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა (დისპოზიცია: „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათი-

ლობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“) და ამავე კოდექსის 987-ე მუხლის მეორე ნაწილის (დისპოზიცია: „გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტიტ, როცა მოვალეს უზრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს“) სამართლებრივი საფუძვლით.

70. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა: „უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების ამოღება, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე“... უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას“ (შეადრ: სუსგ №ას-584-584-2018, 28 ივნისი, 2019 წელი).

71. საკასაციო პალატამ სხვა დავაში განმარტა, რომ „...კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ერთდროულად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოვალის გამდიდრება; ამის შესაბამისად, კრედიტორის ქონებრივი დანაკლისი; კრედიტორიდან მოვალესთან სამართლებრივი სიკეთის გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა... (იხ., №ას-1376-2019, 13 დეკემბერი, 2019 წელი).

72. ვინაიდან, მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩევლები ნ. კ-ო და რ. კ-ძე მ. კ-ძესთან ერთად სოფელ ს. მ. კ-ძის მამის კომლის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე იშენებდნენ საცხოვრებელ სახლს. აშენებულია 120.7 კვ. მეტრი ფართი, რომელიც სხვა ქონებასთან ერთად გაიფორმა ა. კ.-ემ და ქონება ჩუქებით გადასცა ბ. კ-ძეს, თავის მხრივ, ბ. კ-ძემ სახლი, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 37000 ლარს, 1000 ლარის ნასყიდობით გადასცა, მოპასუხე ლ. კ-ძეს, სადავო ქონების საკუთრებაში რეგისტრაციით მოპასუხე ლ. კ-ძე უსაფუძვლოდ გამდიდრდა. სსკ-ის 987.3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის გამომრიცხველ სრულად გარემოებებზე კასატორი არ მიუთითებს, შესაბამისად, იგი ვალდე-

ბულია, განეული დანახარჯი აუნაზღაუროს მოსარჩელებს (მდრ. სუსგ-ები №ას-1193-1122-2015, 31.05.2016; №ას-74-71-2016, 25.05.2016; 225-215-2016, 25.05.2016, №ას-184-171-2015, 20.05.2016; №ას-960-2018, 22.11.2018; №ას-472-448-2013, 05.12.2013).

73. ვინაიდან, უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) უკუქცევა, რითაც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე, ამიტომაც, მეორე მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელებზე სადავო ქონების ღირებულების ნახევრის – 18950 ლარის ანაზღაურება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება მეორე მოპასუხისათვის 37 800 ლარის სრულად დაკისრების ნაწილში (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მითითებულ ნაწილში გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

74. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

75. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

76. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მხოლოდ მეორე მოპასუხის ნაწილში, (ვინაიდან მოსარჩელების მიერ არ არის გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც პირველ მოპასუხეს არ დაეკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა) და ლ. კ-ძეს ნ. კ-ოსა და რ. კ-ძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 18950 ლარის გადახდა.

77. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანაცვები, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანაცვლებას, ან გამოიტანს ახალ გადანაცვლებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

78. მოცემულ შემთხვევაში, რ. კ-ძის და ნ. კ-ოს სასარგებლოდ ლ. კ-ძეს უნდა დაეკისროს სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე რ. კ-ძის და ნ. კ-ოს მიერ გადახდილი (566. 50+794) 1360.50 ლარის ანაზღაურება.

79. თავის მხრივ, ლ. კ-ძეს მოსარჩელების მიერ უნდა აუნაზღაურდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი 1890 ლარიდან 945 ლარი, მეორე ნახევარი კი, ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

80. საბოლოოდ, საპროცესო ხარჯების გაქვითვის შედეგად, ლ. კ-ძეს უნდა დაეკისროს რ. კ-ძის და ნ. კ-ოს სასარგებლოდ (1360.50-945) 415.5 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის გადანაცვლებების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადანაცვლებები;

3. ნ. კ-სა და რ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ლ. კ-ძეს დაეკისროს ნ. კ-ოსა და რ. კ-ძის სასარგებლოდ 18950 ლარის გადახდა;

5. ლ. კ-ძეს დაეკისროს ნ. კ-ოსა და რ. კ-ძის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება 415.5 ლარის ოდენობით;

6. საკასაციო სასამართლოს გადანაცვლებები საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დელიქტური ვალდებულება

სარჩოს გადაანგარიშება

განმარტება საქართველოს სახელმწიფო

№ას-57-57-2018

8 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: დანიშნული სარჩოს აუღებელი სხვაობის ანაზღაურება და სარჩოს გადაანგარიშება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. ბ-ძე (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „დაზარალებული“) 1955 წლის 20 ივლისიდან მუშაობდა სოფელ ხ-ს საშუალო სკოლაში (ამჟამად – სსიპ ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ხ-ის საჯარო სკოლა) (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „სკოლა“) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

2. მოსარჩელემ 1978 წლის 05 თებერვალს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღო ტრავმა, რის გამოც 80%-ით შეუმცირდა შრომის უნარი. მიუხედავად ამისა, მან განაგრძო სკოლაში მუშაობა, ასრულებდა როგორც მასწავლებლის, ასევე, კლასის დამრიგებლის მოვალეობებს და 1986 წლის 23 აგვისტოს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის წოდება.

3. მოსარჩელე დაიბადა 1932 წლის 15 აპრილს და საკენსიო ასაკის მიღწევის მიუხედავად, ფაქტობრივად, შრომით მოვალეობებს ასრულებდა 1994 წლის ჩათვლით.

4. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით სკოლას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩოს გადახდა 2004 წლის 06 იანვრიდან ყოველთვიურად 75,2 ლარის ოდენობით.

5. ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით სკოლისათვის დაკისრებული სარჩოს ოდენობა გაიზარდა 139,28 ლარამდე. გარდა ამისა, სკოლას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი სარჩოს – 256,32 ლარის

გადახდა.

6. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 06 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის დაკისრებული სარჩოს ოდენობა კვლავ გაიზარდა და სკოლას დაეკისრა 2014 წლის 01 იანვრიდან ყოველთვიურად 458,62 ლარის გადახდა.

7. 2016 წლის აპრილიდან სკოლამ საკუთარი ინიციატივით გაზარდა სარჩოს ოდენობა და მოსარჩელეს გარდაცვალებამდე უხდიდა 512,82 ლარს.

8. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის 2016 წლის 01 აპრილიდან გაზრდილი სარჩოს – ყოველთვიურად 834,42 ლარის, ხოლო 2017 წლის 01 იანვრიდან ყოველთვიურად 982,42 ლარის გადახდის დაკისრება; ასევე, 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 01 აპრილამდე მიუღებელი სარჩოს – 1533 ლარის გადახდის დაკისრება.

9. მოსარჩელის განმარტებით, განათლების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის №68 ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდა საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ახალი წესი და 2015 წლის 01 სექტემბრიდან გაიზარდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლამ გადაუანგარიშა მოსარჩელეს სარჩო და დაუნიშნა 512,82 ლარი, თუმცა არ გაითვალისწინა, რომ ახალი ბრძანების თანახმად, მას ეკუთვნოდა დანამატი სტატუსისათვის (უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებელი), რასაც, ასევე უნდა დაემატოს დამრიგებლობის დანამატი. ამასთან, ზემოაღნიშნული ბრძანებების შესაბამისად, 2017 წლის 01 იანვრიდან კვლავ იზრდება მასწავლებლის შრომის ანაზღაურება.

10. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო.

11. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაება ხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

12. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა: 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 01 აპრილამდე მიუღებელი სარჩოს – 385,03 ლარის გადახდა (გადაწყვეტილების 1.1. ქვეპუნქტი), ასევე, 2016 წლის 01 აპრილიდან სარჩოს სახით ყოველთვიურად – 654,42 ლარის გადახდა, საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით (გადაწყვეტილების 1.2. ქვეპუნქტი); მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათ-

ვის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ცვლილების შესახებ მისად, 2017 წლის 01 იანვრიდან გადაანგარიშებული სარჩოს – 982,42 ლარის დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

13. მხარეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 ივლისის განჩინებით მოსარჩელის გარდაცვალების (გარდაცვალების თარიღი: 08.10.2016წ.) გამო, აპელანტის/მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა გ. კ-ა (შემდგომში – „მოსარჩელის უფლებამონაცვლე“ ან „კასატორი“).

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 08 აგვისტოს გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

16. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

17. სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და იმავე კოდექსის 411-ე მუხლით, ასევე, გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები საქმეებზე: 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-789-746-2015 და 2016 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1216-1141-2015. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებებში საკასაციო სასამართლომ სარჩოს მოთხოვნის უფლება დაუკავშირა დაზარალებულის მხრიდან შრომითი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას, რომელიც, ჩვეულებრივ, დაზარალებულის საპენსიო ასაკამდე – ქალებისათვის 60 წლამდე გრძელდება.

18. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე 60 წლის გახდა 1992 წლის 15 აპრილს. მან სკოლასთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა 1994 წლიდან, საპენსიო ასაკის მიღწევის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სარწმუნოდ არ მიიჩნია, რომ, თუნდაც, ტრავმის არარსებობის პირობებში, 2015 წლის 01 სექტემბრის შემდეგ მოსარჩელე კვლავ შეასრულებდა შრომით მოვალეობებს. სასამართლოს მითითებით, საწინააღმდეგო გარემოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რაც მან დამაჯერებლად ვერ გასწია.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების

საფუძველი.

20. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელის უფლებამონაცვლემ წარადგინა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება.

21. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

21.1. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლი, რადგან არც აპელანტს და არც მონინალმდეგე მხარეს მოუთხოვიათ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად გაუქმება. სკოლა ითხოვდა გადაწყვეტილების გაუქმებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა კლასის დამრიგებლის დანამატის გადაანგარიშების თაობაზე;

21.2. სასამართლომ, ფაქტობრივად, გააუქმა მოსარჩელის მიმართ სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე მანამდე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული;

21.3. სასამართლომ სარჩოს გადაანგარიშებაზე უარის თქმა დაასაბუთა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, საქმე №ას-789-746-2016. თუმცა, აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან არ გამოძვინარეობს დასკვნა, რომ დაზარალებულის მიერ სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნის უფლება დაკავშირებულია შრომითი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობასთან (საპენსიო ასაკი). სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან. კერძოდ, 2015 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოსარჩელის მიმართ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე №ას-734-702-2014, რომლის თანახმად, სასამართლომ კანონიერად ცნო სარჩოს გადაანგარიშების დასაბუთება, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე უკვე იყო საპენსიო ასაკს გადაცილებული;

21.4. რომ არა სანარმოო ტრავმა, მოსარჩელე შეძლებდა ჩაება რებინა სხვადასხვა გამოცდები, დაეგროვებინა კრედიტები, გაეწლო სხვადასხვა პროგრამები და ახალი წესით მოეპოვებინა მასწავლებლის მაღალანაზღაურებადი სტატუსები (უფროსი, წამყვანი, მენტორი). შესაბამისად, სარჩოს გადაანგარიშება უნდა მოხდეს მასწავლებლის ძირითად ხელფასზე სტატუსის შესაბამისი დანამატის გათვალისწინებით, ვინაიდან სანარმოო ტრავმის მიღებისას საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებით მოსარჩელეს მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი (ძვე-

ლი წესის შესაბამისად), რაც იმ დროისათვის იყო ყველაზე მაღალი სტატუსი;

21.5. 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 01 აპრილამდე მიუღებელი სარჩო შეადგენს 1533 ლარს. კერძოდ, 2015 წლის 01 სექტემბრიდან, განათლების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანების საფუძველზე, გაიზარდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურება. შესაბამისად, 2015 წლის 01 სექტემბრიდან მოსარჩელეს, შრომისუნარიანობის დაქვეითების შესაბამისად (80%), ეკუთვნოდა ყოველთვიური ხელფასი 731,82 ლარის ოდენობით, საიდანაც 496,82 ლარი წარმოადგენდა ძირითად ხელფასს, ხოლო 235 ლარი დანამატს დამრიგებლობისა და სტატუსისათვის. სკოლამ გადაიანგარიშა სარჩოს ოდენობა, თუმცა მოსარჩელეს შედომით დაუნიშნა 512,82 ლარი. სკოლამ არ გაითვალისწინა, რომ ახალი ბრძანების თანახმად, პირველი სექტემბრიდან მოსარჩელეს, ასევე, ეკუთვნოდა დანამატი სტატუსისა და დამრიგებლობისათვის. შესაბამისად, დანიშნულ (512,82) და ასალებ (731,82) სარჩოს შორის სხვაობა შვიდ თვეზე შეადგენს სწორედ 1533 ლარს;

21.6. ვინაიდან, 2016 წლის 01 აპრილიდან კვლავ გაიზარდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურება, მოსარჩელისათვის დანიშნული სარჩოს ოდენობა უნდა გადაანგარიშებულიყო და მას, შრომისუნარიანობის დაქვეითების შესაბამისად (80%), უნდა დანიშვნოდა სარჩო 834,42 ლარის ოდენობით, საიდანაც 573,42 ლარი წარმოადგენს ხელფასს, ხოლო 261 ლარი დანამატს. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე გარდაიცვალა 2016 წლის 08 ოქტომბერს, ხოლო კასატორი წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს, სარჩოს გადაანგარიშება უნდა მოხდეს 2016 წლის 08 ოქტომბრამდე, რაც ასალებ (834,42 ლარი) და აღებულ (512,82 ლარი) სარჩოს შორის სხვაობის შესაბამისად, შეადგენს ჯამში – 2144,93 ლარს;

21.7. დაკისრებული სარჩო არ უნდა დაიბეგროს, ვინაიდან მხარეებს აღნიშნული არ მოუთხოვიათ და ამაზე არც სასამართლოს უმსჯელია. ამასთან, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 28.07.2004წ. გადანყვეტილების თანახმად, დაზარალებულს ყოველთვიური სარჩო ეძლევა მთლიანად, აღნიშნული გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, მოსამართლეს მისი ნაწილის გაუქმების უფლება არ ჰქონდა. გარდა ამისა, მოსარჩელის სასარგებლოდ სკოლისათვის დაკისრებული სარჩო თავისუფლდება დაბეგვისაგან, ვინაიდან სარჩო თავისი არსით შეიძლება გაუთანაბრდეს სახელმწიფო კომპენსაციას, რომელიც საგადასახადო კოდექსის თანახმად, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისაგან.

22. კასატორი შუამდგომლობს საქმეზე მტკიცებულების დართვის თაობაზე.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 08 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2 ქვეპუნქტი სკოლისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2016 წლის 01 აპრილიდან სარჩოს სახით ყოველთვიურად 654,42 ლარის დაკისრების შესახებ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. იმავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

26. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს დაზარალებულისათვის დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება და მიუღებელი სარჩოს ანაზღაურება.

27. კასატორი დავობს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლი და გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტების მოთხოვნას წარმოადგენდა პირ-

ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ ნაწილობრივ გაუქმება, სააპელაციო სასამართლომ სრულად გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

28. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლით რეგლამენტირებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები. აღნიშნული მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. ამდენად, სააპელაციო სასამართლო შეზღუდულია სააპელაციო მოთხოვნით და იგი ვერ იმსჯელებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე იმ ნაწილში, რომელზეც აპელანტს პრეტენზია არ განუცხადებია.

29. განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სკოლას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 01 აპრილამდე მიუღებელი სარჩოს გადახდა 385,03 ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენდა დამრიგებლობის დანამატს; ასევე, 2016 წლის 01 აპრილიდან ყოველთვიურად 654,42 ლარის ოდენობით სარჩოს გადახდა, რაც მოიცავდა სახელფასო განაკვეთს, სრულ განაკვეთზე მუშაობის დანამატს და დანამატს კლასის დამრიგებლობისათვის (იხ. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 05.08.2016წ. გადაწყვეტილება).

30. სკოლის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრიდან ირკვევა, რომ აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა მხოლოდ ნაწილობრივ, დამრიგებლობის დანამატის გადაანგარიშების ნაწილში; იგი, ასევე, დავობდა, რომ სარჩოს გადაანგარიშებისას არ იქნა გათვალისწინებული მის მიერ 2016 წლის აპრილი-ივლისის თვეებში მოსარჩელისათვის გადახდილი სარჩოს ოდენობა. რაც შეეხება მოსარჩელეს, იგი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (მიუღებელი სარჩოსა და 2016 წლის 01 აპრილიდან გადაანგარიშებული სარჩოს მოთხოვნის ნაწილში). მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით სრულად გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის დანაწესს. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეეცვალა მხოლოდ იმ ნაწილში, რაზეც აპელანტები პრეტენზიას აცხადებდნენ.

შესაბამისად, დანარჩენ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და მასზე ვერც საკასაციო სასამართლო იმსჯელებს.

31. კასატორი, ასევე, დავობს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნის უფლება დაკავშირებულ იქნა შრომითი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობასთან (საპენსიო ასაკი), განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან.

32. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახვიან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება; ხოლო, მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაუროდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

33. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის ამგვარი ფორმულირების მიზანია დაზარალებულის მდგომარეობის აღდგენა იმგვარად, რომ მივიღოთ ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა. თეორიულად, განხორციელდეს ე.წ რესტიტუცია, რაც პრაქტიკულად დაზარალებულის იმ პირობებში ჩაყენებას გულისხმობს, რომელიც ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობისას იქნებოდა სახეზე. სადავო შემთხვევაშიც, სარჩოს გადაანგარიშების მიზანს დაზარალებულისათვის იმ მატერიალური დანაკლისის შევსება წარმოადგენს, რაც დაზარალებულმა მიიღო დაზიანების (უბედური შემთხვევის) გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობაშია მისაღები ზოგადი კრიტერიუმი დაზარალებულის მხრიდან (დელიქტის არარსებობის პირობებში) აქტიური შრომისუნარიანობის შესახებ. რაც შეეხება იმავე მუხლის მე-2 ნაწილს, იგი მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის დასადგენად მნიშვნელოვანია შეფასდეს, რა დრომდეა ვალდებული საწარმო გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია. ამდენად, შეფასებას საჭიროებს გარემოება, რომელიც პირის დასაქმების პერიოდს უკავშირდება (იხ. სუსგ საქმე №ას-52-48-2017, 26 ოქტომბერი, 2018 წელი).

34. საგულისხმოა თავად უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) მოთხოვნის ფარგლებიც. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

35. საკასაციო სასამართლოს მიერ მსგავს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით (საქმე №789-746-2015, 22 იანვარი, 2016 წელი) შეიცვალა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა და დაშვებულ იქნა პრეზუმფცია, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, დასაქმებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა. შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული საწარმო აენაზღაურებინა მისთვის ხელფასი, რომ არ დამდგარიყო სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამასთან, საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ, მართალია, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში დაზარალებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა, თუმცა დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება საწარმოს (იხ. სუსგ საქმე №1216-1141-2015, 03 ივნისი, 2016 წელი; №1220-1145-2015, 03 ივნისი, 2016 წელი; №ას-1180-1141-2016, 31 მარტი, 2017 წელი; №ას-349-349-2018, 18 ივნისი, 2020 წელი).

36. ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, დასაქმებულის სასარგებლოდ სარჩოს გადახდის ვალდებულება საწარმოს ეკისრება დაზარალებულის სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო, დაკისრებული სარჩო ხელფასის ზრდის შესაბამისად გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარება მას შემდეგ, რაც დაზარალებული საპენსიო ასაკს მიაღწევს (იხ. სუსგ საქმე №ას-1216-1141-2015, 03 ივნისი, 2016 წელი; №ას-1220-1145-2015, 03 ივნისი, 2016 წელი; №ას-799-766-2016, 08 მაისი, 2017 წელი; №ას-1180-1141-2016, 07 აპრილი, 2017 წელი; №ას-349-349-2018, 18 ივნისი, 2020 წელი).

37. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე 1955 წლის 20 ივლისიდან მუშაობდა სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; მან 1978 წლის 05 თებერვალს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღო ტრავმა, რის გამოც 80%-ით შეუმცირდა შრომის უნარი, თუმცა, განაგრძო სკოლაში მუშაობა და მიუხედავად საპენსიო ასაკის მიღწევისა (1992 წელი), იგი შრომით მოვალეობებს ასრულებდა 1994 წლის ჩათვლით.

38. ამდენად, საკასაციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკის

გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა 1994 წლის ჩათვლით, ანუ იმ პერიოდამდე, ვიდრე დაზარალებული ფაქტობრივად ასრულებდა შრომით მოვალეობებს.

39. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩო გადაიანგარიშა 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 01 აპრილამდე მასწავლებლის შრომის ანაზღაურების შესაბამისად და სკოლას დააკისრა მიუღებელი სარჩო 385,03 ლარის ოდენობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუღებელი სარჩო წარმოადგენს დამრიგებლობის დანამატს. შესაბამისად, ვინაიდან სკოლა სააპელაციო საჩივრით სადავოდ ხდის დამრიგებლობის დანამატის გადაანგარიშების საკითხს, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველები.

40. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას სკოლისათვის 2016 წლის 01 აპრილიდან გადაანგარიშებული (გაზრდილი) სარჩოს დაკისრების თაობაზე, აღსანიშნავია, რომ სკოლამ სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა მხოლოდ დამრიგებლობის დანამატის გადაანგარიშება, ასევე სარჩოს გადაანგარიშება 2016 წლის აპრილი-ივლისის პერიოდში იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა მის მიერ მოსარჩელისათვის ამ პერიოდში გადახდილი სარჩოს ოდენობა. რაც შეეხება მოსარჩელეს, იგი გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. შესაბამისად, როგორც ზემოთ ითქვა, დანარჩენ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

41. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ დასახელებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასაქმებულის სასარგებლოდ სარჩოს გადახდის ვალდებულება საწარმოს ეკისრება დაზარალებულის სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო, დაკისრებული სარჩო ხელფასის ზრდის შესაბამისად გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარება დაზარალებულის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ. შესაბამისად, ამ ნაწილში სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

42. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში არ არის გამოკვლეული

რა ოდენობის სარჩო აქვს გადახდილი სკოლას მოსარჩელისათვის 2016 წლის აპრილი-ივლისის პერიოდში; ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სკოლისათვის 2016 წლის პირველი აპრილიდან დაკისრებული სარჩოდან რა ოდენობა წარმოადგენს დანამატს კლასის დამრიგებლობისათვის, რის გამოც 2016 წლის 01 აპრილიდან გადაანგარიშებული სარჩოს მოთხოვნის ნაწილში სახეზეა საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები და სკოლის მიერ გადახდილი თანხების შესაბამისად, დაადგინოს მოსარჩელე გარდაცვალებამდე (08.10.2016წ.) ჯამურად რა ოდენობის სარჩოს მიიღებდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დამრიგებლობის დანამატზე მსჯელობისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ დაზარალებულის სასარგებლოდ მოქალაქისათვის დაკისრებული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა 1994 წლის ჩათვლით, ანუ იმ პერიოდამდე, ვიდრე დაზარალებული ფაქტობრივად ასრულებდა შრომით მოვალეობებს.

43. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სარჩოს გადაანგარიშებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მისი საკასაციო პრეტენზია დაუსაბუთებელია. ვინაიდან მოსარჩელისათვის დანიშნული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა იმ პერიოდამდე, ვიდრე იგი ფაქტობრივად ასრულებდა შრომით მოვალეობებს (1994 წლის ჩათვლით), 2016 წლის 01 აპრილიდან გადაანგარიშებული (გაზრდილი) სარჩოს მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

44. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივად, გააუქმა მოსარჩელის მიმართ სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე მანამდე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მითითებას და განმარტავს, რომ სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს დამოუკიდებელ სარჩელს, რომლის მიზანია დაზარალებულისათვის დანიშნული სარჩოს ოდენობის მისადაგება ხელფასის იმ ოდენობასთან, რომელსაც ეს უკანასკნელი მიიღებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში. შესაბამისად, სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით მანამდე მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება კი არ ხდება, არამედ სასამართლო წესით დადასტურებული უფლების სრულყოფილი რეალიზაცია.

45. კასატორი მიიჩნევს, რომ დაკისრებული სარჩო არ უნდა და-

იბეგროს (იხ. წინამდებარე განჩინების 20.7. პუნქტი). აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩოს დაბეგვრის საკითხი დამოკიდებული არის არა მოთხოვნის არსებობაზე ან/და სასამართლოს შეხედულებაზე, არამედ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ წესზე. რაც შეეხება სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე მანამდე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ იმსჯელა წინამდებარე პუნქტში.

46. საკასაციო პალატა, ასევე მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით კონკრეტულად არის განსაზღვრული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლები. კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს სახელმწიფო კომპენსაცია შეიძლება დაენიშნოს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გაწევის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ სარჩო სახელმწიფო კომპენსაციასთან გათანაბრების საფუძვლით, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია.

48. რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას საქმეზე მტკიცებულების დართვის თაობაზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილით (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხა-

რის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები) დადგენილია საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალური ფარგლები. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. იმავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, კასატორის ზემოაღნიშნული შუამდგომლობა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება (ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან), მთლიანობაში „6“ ფურცლად;

49. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

50. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს ასევე მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში და საქმის ხელახლა განხილვისას, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ბ-ძის უფლებამონაცვლე გ. კ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამარ-

თლოს 2016 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2 ქვეპუნქტი – ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ხ-ის საჯარო სკოლისათვის ე. ბ-ძის სასარგებლოდ 2016 წლის 1 აპრილიდან სარჩოს სახით ყოველთვიურად 654,42 ლარის დაკისრების შესახებ, საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით, და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს ასევე მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;

4. კასატორის შუამდგომლობა მტკიცებულების (ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან) საქმისათვის დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს და კასატორს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება (ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან), მთლიანობაში „ნ“ ფურცლად;

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

გადანყვებილება საქართველოს სახელში

№ას-291-2020

25 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისში, კ-ის (...) ქ. №25-ში მდებარე 450კვ.მ დაზუსტებული ფართობი ი. დ-ის (შემდეგში – მოსარჩელე) საკუთრებაა.

2. ქ. თბილისში, ... (ყოფილი კ-ის) ქ.№21-23-ში მდებარე 981კვ.მ

დაზუსტებული ფართობის მესაკუთრეა შპს „კ-ი“ (შემდეგში: მოპასუხე, სანარმო).

3. მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ მოპასუხემ მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა აწარმოა.

4. 2013 წლის 7 დეკემბრის დასკვნის თანახმად, ექსპერტის წინაშე დასმულ შეკითხვაზე, თუ რა იყო მოპასუხის მიერ განხორციელებული მშენებლობის გამო შენობაზე გაჩენილი ბზარებისა და დეფორმაციების გამომწვევი მიზეზები და რას შეადგენდა მისგან მიყენებული ზარალის ოდენობა, ექსპერტიზის დასკვნით შემდეგი პასუხი გაეცა: ქ. თბილისში, ... მდებარე ორსართულიან შენობაში, მასთან მიჯნით მშენებარე რეასართულიანი მრავალბინიანი სახლის მშენებლობისას დაზიანდა №25 სახლის ტორსული კედლის ცალკეული მონაკვეთები. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, კედლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების შესრულება უნდა მოხდეს მშენებარე შენობის დამკვეთსა და დაზიანებული ნაგებობის მესაკუთრეს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე. საცხოვრებელ სახლში მაღალია ფიზიკური ცვეთის მაჩვენებლები, რის გამოც მნიშვნელოვნადაა შემცირებული მისი მზიდი და არამზიდი კონსტრუქციული ელემენტების ვარგისიანობის ინდექსი, აუცილებელია შემინული ქოლგის, დაბზარულ-დაზიანებული კედლების, შიდა სათავსებში იატაკებისა და კედლების აღდგენა, მშენებარე მრავალსართულიანი სახლის მხარეზე კაპიტალური ღობის საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანა. ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, აღსადგენი სამუშაოების ღირებულება 2013 წლის მესამე კვარტლის საბაზრო-რესურსულ ფასებში 42.98 ათასი ლარია, რაც დოლარის კურსთან (1.75) შეფარდებით იქნება 24 560 აშშ დოლარი.

5. ექსპერტის 2015 წლის 27 ივლისის დასკვნის თანახმად, თბილისში, ... მდებარე მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ.-ის საბაზრო ღირებულება, 2015 წლის 22 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, 406 აშშ დოლარია. შესაბამისად, მთლიანი 510 კვ.მ შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ 207 060 აშშ დოლარს, ხოლო ეროვნულ ვალუტაში 467 376 ლარს შეადგენს. ქ. თბილისში, ... მიმდინარე მშენებლობის შედეგად ამავე ქუჩის №25-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მიყენებული დაზიანებები უარყოფითად მოქმედებს საკვლევი ობიექტის საბაზრო ღირებულებაზე და იწვევს ფასის შემცირებას, დაახლოებით 15-20%-ით. დასკვნის მომზადებისას ექსპერტმა იხელმძღვანელა 2013 წლის 7 დეკემბრის დასკვნითა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-

სპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 26 მარტის საინჟინრო-ექსპერტიზის დასკვნით.

6. მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, რაც შემდგომში დააზუსტა და, საბოლოოდ, მოპასუხისთვის ზიანის ასანაზღაურებლად 38 560 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

6.1. მოთხოვნილ თანხაში მოსარჩელემ შეიყვანა ექსპერტის 2013 წლის 7 დეკემბრის დასკვნით განსაზღვრული ზიანის აღსადგენი სამუშაოების ღირებულება, 24 560 აშშ დოლარი და ექსპერტის 2015 წლის 27 ივლისის დასკვნაში მითითებული, მოსარჩელის ქონების შემცირებული საბაზრო ღირებულების ნაწილი, 14 000 აშშ დოლარი. სარჩელის ფაქტობრივ საფუძველად მოსარჩელემ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ მოპასუხის მიერ წარმოებული მშენებლობის პროცესში მისი საცხოვრებელი სახლი დაზიანდა და ამით უძრავი ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.1. საქალაქო სასამართლომ სარჩელზე უარის თქმა იმით დაასაბუთა, რომ საქმის მასალებით უტყუარად არ დადასტურდა სადავო უძრავი ქონების მოპასუხის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით დაზიანების ფაქტი.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც ამ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით: სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 38 560 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა.

9.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

9.2. გარდა ამისა, სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხეს არ შეუვსია და არ წარმოუდგენია დაზუსტებული შესაგებელი. წარმოდგენილი შესაგებელი კი არ შეიცავდა მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები (სადაც მიეთითა მოპასუხის ბრალეულობა და ზიანის ოდენობა) საკმარისად არ იყო დასაბუთებული და, რომ, ისინი სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა. შესა-

გებელს რაიმე მტკიცებულება არ ერთვოდა. რაც შეეხებოდა მოპასუხის მიერ იმ გარემოებაზე მითითებას, რომ მან სარჩელის საპირისპირო შედაგება საქმის მთავარ სხდომაზე განახორციელა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 219.1 მუხლის თანახმად, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. სსკ-ის 380.2 მუხლის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არგუმენტირებული ახსნა-განმარტების წარდგენისას მოპასუხეს წარმოეშვა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მან მტკიცებულებები სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე საპატიო მიზეზით (სსკ-ის 215-ე მუხლი) ვერ წარადგინა, თუმცა მოპასუხეს ასეთი მტკიცება არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ განუხორციელებია. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ახალ გარემოებაზე მითითებით, არ ქმნიდა მისი შეფასებისა და გაზიარების საფუძველს, რადგან ასეთი საფუძველი მხარეებს გააჩნდათ მხოლოდ საქმის მომზადების სტადიაზე იმისათვის, მონინააღმდეგე მხარეს, შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, გარემოებათა დაზუსტებისა და შევსების გზით შეძლებოდა კვალიფიციური შედაგება.

9.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ არაკვალიფიციურად შედაგებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიდა პრეზუმფციას – მოპასუხის ბრალეული ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის (სარჩელში მითითებული ოდენობით) მიყენების თაობაზე. ასეთ პირობებში სარჩელის წარმატებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 992-ე მუხლი (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) განაპირობებდა.

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საკასაციო წესით ასაჩივრებს მოპასუხე, რომელიც მოითხოვს გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, რასაც შემდეგნაირად ასაბუთებს:

10.1. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა იმ მიზეზით მიიჩნია დადგენილად, რომ მოპასუხეს შესაგებელში არ მიუთითებია ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ დასაბუთებაზე, რაც არასწორია. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს დაადგენს. უფრო მეტიც, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქმის მასალებით დადგენილია მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქტი, თუმცა არ დგინდება მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობა. გარდა ამისა, არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რამაც ზიანი გამოიწვია. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების წარმოშობისათვის კი, აუცილებელია არსებობდეს ყველა ძირითადი წინაპირობა: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი.

10.2. სსკ-ის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი. გადაწყვეტილების მიღებისას განმსაზღვრელია შესაგებლის წარუდგენლობა და არა – რომელიმე მოსამართლის მიერ შესაგებლის კვალიფიციურად ან არაკვალიფიციურად შეფასება. ახსნა-განმარტების ეტაპზე მოპასუხემ წარადგინა პოზიცია, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის მიერ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მოსარჩელის სახლის დაზიანებას დაადასტურებდა. მოპასუხე იმის დამადასტურებელ ვერანაირ მტკიცებულებას ვერ წარადგენდა, რომ მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობდა. უფრო მეტიც, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არც თავად მოსარჩელეს არ წარუდგენია.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 1 სექტემბრის განჩინებით, სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოება-

ში დასაშვებობის შესამონმებლად. 2020 წლის 11 ნოემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო და დაადგინა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საკასაციო პალატის მიერ განსახილველი უმთავრესი საკითხი შემდეგია: არსებობს თუ არა მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის, 38 560 აშშ დოლარის ანაზღაურების საფუძველი.

13. დასახელებული მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და 408.1 მუხლებიდან (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება).

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ: სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი) (იხ.: სუსგ №ას-203-2020, 24.12.202; №ას-769-737-2016, 20.06.2018; №ას-176-163-2015, 4.10.2016; №ას-1426-2018, 11.04.2019).

ზემოაღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, პირს (ზიანის მიმყენებელს) უნდა დაეკისროს, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება, შესაბამისად, დელიქტურ ვალდებულებასთან დაკავშირებით სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ევალება, სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტის დაცვით, სათანადო უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით ამტკიცოს, რომ არსებობს ზემომითითებული ყველა წინაპირობა (მდრ. სუსგ №ას-748-2020, 19.11.2020; №ას-72-72-2018, 15.02.2018; №ას-809-776-2016, 04.04.2017).

14. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის წარმატებისათვის მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხემ მას მართლსაწინა-

ნააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით ზიანი მიაყენა და ეს ზიანი სწორედ იმ ოდენობისაა, რაც სარჩელითაა მოთხოვნილი.

15. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოპასუხის მიერ მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი სათანადოდ დაასაბუთა. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა მოსარჩელის მიერ სასამართლოსათვის წარმოდგენილი მტკიცებულებები და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად მიჩნეული შემდეგი გარემოებები:

საქმეში არსებული 2013 წლის 7 დეკემბრის დასკვნის თანახმად, ექსპერტს ეთხოვა მოსარჩელის საცხოვრებელ სახლზე გაჩენილი ბზარებისა და დეფორმაციების გამომწვევი მიზეზებისა და მისგან მიყენებული ზარალის ოდენობის დადგენა, რომელიც საჭირო იქნებოდა აღდგენით-გასამაგრებელი და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. ხსენებული დასკვნით ექსპერტმა დაადგინა, რომ: ქ. თბილისში, ... ქ. №25-ში მდებარე ორსართულიან შენობაში, მასთან მიჯნით მშენებარე რეასართულიანი მრავალბინიანი სახლის მშენებლობისას დაზიანდა №25 სახლის ტორსული კედლის ცალკეული მონაკვეთები; საცხოვრებელ სახლში მაღალია ფიზიკური ცვეთის მაჩვენებლები, რის გამოც მნიშვნელოვნადაა შემცირებული მისი მზიდი და არამზიდი კონსტრუქციული ელემენტების ვარგისიანობის ინდექსი, აუცილებელია შემინული ქოლგის, დაზარულ-დაზიანებული კედლების, შიდა სათავსებში იატაკებისა და კედლების აღდგენა, მშენებარე მრავალსართულიანი სახლის მხარეზე კაპიტალური ღობის საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანა; ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, აღსადგენი სამუშაოების ღირებულება 2013 წლის მესამე კვარტლის საბაზრო-რესურსულ ფასებში 42.98 ათასი ლარია, რაც დოლარის კურსთან (1.75) შეფარდებით 24 560 აშშ დოლარს შეადგენს.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 27 ივლისის დასკვნის მიხედვით, ექსპერტს შემდეგი შეკითხვა დაესვა: მოსარჩელის საცხოვრებელ სახლზე მიყენებული დაზიანებების შედეგად, რამდენად დაეცა აღნიშნული სახლის საბაზრო ღირებულება. დასმულ შეკითხვას ექსპერტმა შემდეგი პასუხი გასცა: ქ. თბილისში, ... ქ. №25-ში მდებარე მინის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ.-ის საბაზრო ღირებულება, 2015 წლის 22 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, 406 აშშ დოლარია. შესაბამისად, მთლიანი 510 კვ.მ შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ 207 060 აშშ დოლარს, ხოლო ეროვნულ ვალუტაში 467 376 ლარს შეადგენს. ქ. თბილისში, ... ქ. №23-ში მიმდინარე მშენებლობის შედეგად ამავე ქუჩის №25-ში მდებარე საც-

ხოვრებელ სახლზე მიყენებული დაზიანებები უარყოფითად მოქმედებს საკვლევე ობიექტის საბაზრო ღირებულებაზე და იწვევს ფასის შემცირებას, დაახლოებით 15-20%-ით.

საკასაციო პალატის შეფასებით, ზემოთ დასახელებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს ქმნის დასკვნისათვის, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მიერ მისთვის სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაადასტურა, რაც მოპასუხემ ამ ფაქტის უარყოფელი სარწმუნო და უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ გააქარწყლა (სსსკ-ის 102.1 და 102.2 მუხლები).

16. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, ამ ნაწილში საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ვერ დაეთანხმება და განმარტავს შემდეგს:

მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის თანხა (რომლის გადახდაც მოპასუხეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აქვს დაკისრებული) მოიცავს ერთი მხრივ, ექსპერტის 2013 წლის 7 დეკემბრის დასკვნით განსაზღვრული ზიანის აღსადგენი სამუშაოების ღირებულებას (24 560 აშშ დოლარი) და, მეორე მხრივ, ექსპერტის 2015 წლის 27 ივლისის დასკვნაში მითითებულ, მოსარჩელის ქონების შემცირებული საბაზრო ღირებულების ნაწილს (14 000 აშშ დოლარი). მოცემული თვალსაზრისით საკითხის შეფასებისას სააპელაციო სასამართლო მთლიანად დაეყრდნო სარჩელში მითითებულ ზიანის გაანგარიშებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრა: 1. მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს ზიანის აღსადგენი სამუშაოების ღირებულება, რომელიც 24 560 აშშ დოლარს შეადგენს; 2. მოპასუხემვე უნდა გადაუხადოს მოსარჩელეს ნივთზე მიყენებული დაზიანებების შედეგად ქონების საბაზრო ღირებულების შემცირების საკომპენსაციო თანხის ნაწილი, 14 000 აშშ დოლარი.

პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ზიანის აღსადგენი სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება, რომლის მოთხოვნის მიზანია მოსარჩელის საკუთრების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, თავისთავად გულისხმობს, მოსარჩელის ქონების ზიანის დადგომამდე არსებულ მდგომარეობაში დაბრუნებას. თუკი მოსარჩელის ქონება ზიანის მიყენებამდე არსებულ კონდიციას დაუბრუნდება (რაც, როგორც ზემოთ განიმარტა, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის 24 560 აშშ დოლარის გადახდის გზით მიიღწევა), მაშინ, ცხადია, რომ ქონებას შემცირებული საბაზრო ღირებულება (მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის გამო) აღარ

ექნება და მისი ფასიც პირვანდელ მდგომარეობას (დაზიანებების მიღებამდე არსებული კონდიცია) გაუტოლდება. ასეთ შემთხვევაში, ალარც შემცირებული საბაზრო ღირებულების გადახდის ვალდებულება იარსებებს, რადგან ზიანის აღსადგენი სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებაში ზიანის მიყენებლისგან ყველა იმ ხარჯის განევა მოიაზრება, რომელმაც დაზიანებული ქონება ზიანის მიყენებამდე არსებულ მდგომარეობაში უნდა დააბრუნოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაკი ზიანის აღსადგენი სამუშაოების ღირებულების (24 560 აშშ დოლარი) ანაზღაურება დაზიანებული ქონების ზიანის მიყენებამდე არსებულ მდგომარეობაში დაბრუნებას გულისხმობს და რაკი ასეთ პირობებში, ქონების საბაზრო ღირებულების შემცირება (მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის მიზეზით) აღმოიფხვრება, ბუნებრივია, მოპასუხეს უკვე ანაზღაურებული ზიანის დამატებით ანაზღაურება ვეღარ მოეთხოვება. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მხოლოდ რეალურად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელი სამუშაოების ღირებულება, 24 560 აშშ დოლარი და სარჩელი სწორედ ამ ფარგლებში უნდა დაკმაყოფილდეს.

17. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

18. სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს.

რეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 38 560 აშშ დოლარის დაკისრებას, ე.ი. დავის საგნის (სარჩელის) ფასია 38 560 აშშ დოლარი. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით მოსარჩელეს აუნაზღაურდა 24 560 აშშ დოლარი, რაც დავის საგნის ფასის 64% შეადგენს და საპროცესო ხარჯებიც მხარეებს შორის ანალოგიური პროპორციით უნდა განაწილდეს.

მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის სახით მთლიანობაში გადაიხადა 7064,16 ლარი და შპს „კ-ს“ უნდა დაეკისროს დასახელებული თანხის 64% რაც შეადგენს 4521,06 ლარს. რაც შეეხება შპს „კ-ს“ მის მიერ საკასაციო საჩივრის ფარგლებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 5926,29 ლარს, რომლის 36% ანაზღაურება უნდა გადახდეს ი. დ-ს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 404-ე, 408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „კ-ს“ ი. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 24 560 აშშ დოლარის ანაზღაურება;
5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. შპს „კ-ს“ ი. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს განუყოფილი საპრო-

ცესო ხარჯების ნაწილი 4521,06 ლარის მოცულობით;
7. ი. დ-ს შპს „კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს განუვლი საპრო-
ცესო ხარჯების ნაწილი 2133,46 ლარის მოცულობით;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ
საჩივრდება.

დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

გადანყვიტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-341-341-2018

28 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2010 წლის 29 ოქტომბერს, ნოტარიუსმა თ. ბ-ძემ (შემდეგში: მოპასუხე, ნოტარიუსი, მეორე კასატორი) დაამონწმა ორი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლებითაც თ. ვ-ძის (შემდეგში: მოსარჩელე, მსესხებელი, მოვალე, პირველი კასატორი) საკუთრება მსესხებლის სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა.

პირველ შემთხვევაში, ხელშეკრულება დაიდო მსესხებელსა და თ. ვ-ძეს შორის. ამ ხელშეკრულებით მოვალემ 2011 წლის 1 მარტამდე 30 000 აშშ დოლარი ისესხა და სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება, კერძოდ, 810კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განლაგებული №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობებით.

ამავე დღეს, მეორე ხელშეკრულება დაიდო მსესხებელსა და ბ. ვ-ძეს შორის, რომლითაც მოვალემ 1 წლის ვადით 10 000 აშშ დოლარი ისესხა. ხსენებული ხელშეკრულებით იპოთეკით დაიტვირთა ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება, კერძოდ, შენობა-ნაგებობა №4, საერთო ფართობით 49კვ.მ.

2. 2011 წლის 3 მაისს, ნოტარიუსმა სააღსრულებო ფურცელი გასცა კრედიტორ ე. ნ-ძის სასარგებლოდ, რომლითაც აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა 30 000 აშშ დოლარს, ხოლო ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითადი თანხის 0.3%-ს შეადგენდა.

დასახელებული სააღსრულებო ფურცლით დადგინდა იპოთეკით დატვირთული ქონების (ქ. თბილისში, ... ქ. NN№30-32-ში მდებარე უძრავი ქონება, კერძოდ, 810კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობები) რეალიზაცია.

3. აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 12 ივლისის განკარგულების მიხედვით, ქ. თბილისში, ... ქ. NN№30-32-ში მდებარე მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონების, კერძოდ, 810კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობების მესაკუთრე (51 005 ლარის გადახდის სანაცვლოდ) გახდა თ. თ-ძე. აღსრულება მოხდა იპოთეკარ ე. ნ-ძის სასარგებლოდ.

საჯარო რეესტრიდან 2011 წლის 11 ნოემბრის ამონაწერის თანახმად, თ. თ-ძის სახელზე ირიცხება ქ. თბილისში, ... ქ. NN№30-32-ში მდებარე 810კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 (37.88კვ.მ), №2 (7.38კვ.მ), №3 (6.20კვ.მ), №4 (18 კვ.მ), №5 (მშენებარე) შენობა-ნაგებობები.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინებით (საქმე №ბს-464-459(კ-12)) ირკვევა, რომ მსესხებელმა სადავოდ გახადა 2010 წლის 29 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, ასევე, სააღსრულებო ბიუროს 2011 წლის 12 ივლისის განკარგულებისა და 2011 წლის 15 აგვისტოს რეგისტრაციის შესახებ გადართვილებების კანონიერება. მითითებული სარჩელი არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, №4 შენობა დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით იქცა ცალკე უფლების ობიექტად, როგორც მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილი და გადაჰყვა 810კვ.მ მიწის ნაკვეთს; მას შემდეგ, რაც თ. თ-ძე დასახელებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ გამოცხადდა, მან ძველი მესაკუთრის ადგილი დაიკავა და ყველა იმ უფლების მქონე გახდა, რაც მიწას, როგორც უძრავ ნივთს უკავშირდება; ადმინისტრაციულ ორგანოებს, სადავო აქტების გამოცემის პროცესში, არ დაურღვევიათ მატერიალური სამართლის ნორმები და არ გამოკვეთილა აქტის ბათილობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლები.

5. თ. ბ-ქსთან დაკავშირებით შედგენილ დისციპლინური კომისიის 2013 წლის 21 ნოემბრის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ნოტარიუსის მიერ ჩადენილი გადაცდომა გამოიხატა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებული „ნოტარიუსთა დისპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში („არღვევს სანოტარო მოქმედების შესრულების (სანოტარო აქტების შედგენის) კანონმდებლობით დადგენილ წესებს რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 5 დეკემბრის №1442 ბრძანებით, ნოტარიუსს დისციპლინური სახდელის სახით შეეფარდა უფლებამოსილების შეჩერება – 2013 წლის 6 დეკემბრიდან, ხუთი თვის ვადით.

6. მოსარჩელემ სესხი დადგენილ დროში ვერც 2010 წლის 29 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის მეორე ხელშეკრულების კრედიტორს (ბ. ვ-ძე) ვერ გადაუხადა. ამასთან, ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულებებში აღწერილი ნების საფუძველზე, იპოთეკის საგნის აუქციონზე რეალიზაციისა და მისი შემდგომი რეგისტრაციის გამო, ბ. ვ-ძე მეორე რიგის იპოთეკარის რეჟიმში მოხვდა.

7. სასამართლოში სარჩელი აღძრა მოვალე ნოტარიუსის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ზიანის (30 000 აშშ დოლარის), მკურნალობის ხარჯის (3 000 ლარის), გადახდილი ქირისა (2013 წლის 1 მაისიდან, გადანყვეტილების აღსრულებამდე) და მორალური ზიანის (5 000 ლარის) ანაზღაურების დაკისრება.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ასანაზღაურებლად 30 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაევალა; დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით: მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 10 290 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა დაეკისრა.

10.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წი-

ნამდებარე გადანყვეტილების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

სასამართლოს შეფასებით, მოპასუხის, როგორც ნოტარიუსის ქმედებამ, მსესხებლის მდგომარეობა დაამძიმა კრედიტორ ბ. ვ-ძის მიმართ, რადგან იპოთეკის საგნის მთლიანი რეალიზებით, მხოლოდ ე. ნ-ძის მიმართ არსებული ვალდებულება და სააღსრულებო ხარჯები დაიფარა. ნოტარიუსის აღნიშნული ქმედება შემდეგში გამოიხატა: მართალია, ხელშეკრულებებში ნება მხარეთა მიერ გამოხატული შინაარსით აისახა, თუმცა ნოტარიუსმა პროფესიული წარმოების ჯეროვანი განხორციელების სტანდარტით არ იმოქმედა, მხარეებს არ განუმარტა ხელშეკრულების იურიდიული ძალით შესაძლო სამართლებრივი რეჟიმის შესახებ. უფრო მეტიც, სასამართლო სხდომაზე მოპასუხე თავად ასაბუთებდა, რომ სახელშეკრულებო მხარეთა მიმართ იურიდიული კონსულტაცია არ ევალდებოდა.

სასამართლოს განმარტებით, ნოტარიუსის ვალდებულებაა, რომ მხარეებს სანოტარო მოქმედების შესრულებისას, სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს, რაც მისი მიუკერძოებლობის ერთგვარი გამოვლინებაცაა. ნოტარიუსს ევალდება, სრული ინფორმაცია მიანოდოს მხარეებს შესაბამისი ხელშეკრულების იურიდიული ძალით განვითარებული სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, მათთან ყველა სამართლებრივი შედეგი თუ წამოჭრილი პრობლემა განიხილოს („ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.3, 38.4 და 49-ე მუხლები; „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების მე-15 მუხლი).

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუსმა არ შეასრულა ხელშეკრულების მხარეთა სრულყოფილი ინფორმირებულობის შესახებ კანონით გაწერილი ვალდებულება. ამ ქმედებით კი, მოსარჩელეს ზიანი მიადგა, კერძოდ, ბ. ვ-ძის მიმართ ვალდებულების უზრუნველყოფისთვის, მოვალე მისთვის არახელსაყრელ სამართლებრივ რეჟიმში აღმოჩნდა და მისი მდგომარეობა გაუარესდა. №4 ბინის იმ სახით ასახვამ, როგორც ხელშეკრულებებში გაინერა, ბ. ვ-ძის სასარგებლოდ უზრუნველყოფილი ვალდებულება მეორეხარისხოვანი გახადა. მოსარჩელის მიზანი იყო, თავისი საკუთრებიდან გარკვეული წილის (№4 ბინა) ბ. ვ-ძის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვა, რომელიც მოთხოვნის მომენტიდან მოვალის მიერ ვალის დაუფარაობის შემთხვევაში, კრედიტორის წინაშე ვალდებულებას უზრუნველყოფდა. ნოტარიუსმა მხარეთა ნება ხელშეკრულებაში მათი მითითებებით ასახა, ისე, როგორც მათ გამოხატეს და ნოტარიუსის წინაშე წარადგინეს. მიუხედავად ამისა, ნო-

ტარიუსმა არ გამოიჩინა პროფესიული წინდახედულება, ხელშეკრულებების გამო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგენი – სსკ) 149-ე-150-ე მუხლის თანახმად განვითარებულ სამართლებრივ რეჟიმზე მხარეებს არ განუმარტა. შესაბამისად, №4 ბინა (როგორც მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილის) ე. წ-ის მიმართ არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად განკარგვაზე სააღსრულებო ნარმოებისას არ დაფიქსირდა, თუმცა იგი საკუთრების რეგისტრაციის მიზნებისათვის შემძენის საკუთრებად აღირიცხა (როგორც მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილი).

10.2. რაც შეეხებოდა ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობას, სააპელაციო სასამართლომ ამ კუთხით მხედველობაში მიიღო: ა) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 30 მარტის დასკვნა (რომლის მიხედვითაც, 2015 წლის 27 მარტის მდგომარეობით, ქ. თბილისში, ... ქ. №30-32-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის 1 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ, 420 აშშ დოლარია, რაც ეროვნული ვალუტის შესაბამისი გაცვლითი კურსით 934 ლარს შეადგენს; ბ) სსკ-ის 415.1 მუხლი, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საკასაციო წესით ასაჩივრებს ორივე მხარე.

12. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა, სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის იმგვარად დაკმაყოფილება, რომ მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისროს №4 შენობა-ნაგებობის ღირებულების შესაბამისი ზიანის ანაზღაურების გადახდა. საკასაციო საჩივარი შემდეგ საფუძვლებს ემყარება:

12.1. მცდარია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ზიანის დადგომა მხარეთა შერეული ბრალის არსებობამ გამოიწვია. გაურკვეველია, თუ რა მიიჩნია სასამართლომ მოსარჩელის ბრალეულ ქმედებად. მხარეებმა ნოტარიუსს მის მიმართ განსაკუთრებული ნდობის გამო მიმართეს, რათა სამართლებრივად გამართული ხელშეკრულება დადებულიყო. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს ზიანი მაინც მიადგა.

12.2. სააპელაციო სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულების მსგავსი ფორმით დადება დაუშვებელი იყო, რაც სანოტარო მოქმედების შესრულების წესის დარღვევა და, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა.

12.3. ხელშეკრულებაში მითითებული ჩანაწერი – „გარდა №4 შენობა-ნაგებობისა“, კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, ასეთი ფორმით იგი ვერ აღსრულდა და შენობა-ნაგებობამ მიწის ნაკვეთის სამართლებრივი რეჟიმი გაიზიარა, რაც ნოტარიუსის უხეში გაუფრთხილებლობაა. ნოტარიუსს, როგორც იურისტსა და მნიშვნელოვანი ფუნქციის შემსრულებელს, ევალება, იცოდეს, რომ შენობა-ნაგებობაზე მიწის ნაკვეთის სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება.

12.4. ხელშეკრულების გაუმართაობის შედეგი ისაა, რომ მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება პრობლემური გახდა როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის, ასევე – საჯარო რეესტრისათვის. საბოლოოდ კი, მიწის ნაკვეთი სრულად გასხვისდა ყველა შენობა-ნაგებობით. აღნიშნულ საქმეზე გამოცემული აქტები გასაჩივრდა და, საბოლოოდ, საქმე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა. საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დაადგინა, რომ №4 შენობა-ნაგებობა სწორად გასხვისდა, რადგან ის მიწის ნაკვეთს გადაჰყვა. საყურადღებოა, რომ, საკასაციო პალატის შეფასებით, სამართლებრივი შეუსაბამობა დაშვებულია, არა – აუქციონის გამოცხადებისა და შემდგომ ქონების ახალი მესაკუთრეზე რეგისტრაციის პროცესში, არამედ – იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. დისციპლინურმა კომისიამ ნოტარიუსის ქმედებები შეაფასა, როგორც მძიმე გადაცდომა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ იპოთეკის ხელშეკრულება სამართლებრივად ხარვეზიანია, ხოლო მისი სამართლებრივი გამართულობა მხოლოდ ნოტარიუსის პასუხისმგებლობა იყო.

13. მოპასუხე საკასაციო საჩივრით მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, რასაც შემდეგნაირად ასაბუთებს:

13.1. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორი დასკვნებია გამოტანილი. ნოტარიუსმა მხარეებს სამართლებრივი დახმარება გაუწია. მან მიუკერძოებლად იურიდიული რჩევა მისცა, ნების თავისუფალი გამოვლინების ნამდვილობა დაადგინა, მხარეებს თავიანთი უფლებები და ვალდებულებები განუმარტა და სანოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ გააფრთხილა. ნოტა-

რიუსს მართლსაწინააღმდეგოდ არ უმოქმედია.

13.2. ნოტარიუსმა, მოსალოდნელი იურიდიული შედეგების შესახებ ხელშეკრულების ორივე მხარეს განუმარტა. მოსარჩელემ, სასამართლოში საქმის განხილვისას თავისი რეალური მიზანი მიჩქმალა და თავი ისე წარმოაჩინა, რომ, თითქოს მისი მიზანი იყო, №4 შენობა-ნაგებობის სხვა ნაგებობებისგან გამიჯვნა. მსესხებელმა არსებული ვითარებით ისარგებლა და ნოტარიუსის ბრალეულ მოქმედებაზე მიუთითა, რაც სასამართლოებმა არასწორად გაიზიარეს. ნოტარიუსი მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენის წინააღმდეგ ვერ იმოქმედებდა. მოპასუხე ვალდებული იყო, რომ მის მიერ დამონმებული ხელშეკრულება კანონთან და კანონქვემდებარე აქტებთან შესაბამისი ყოფილიყო, რაც მან ზედმიწევნით შეასრულა.

13.3. №4 შენობა-ნაგებობის ღირებულების განსაზღვრისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა, აღსრულების ეროვნული ბიუროს დაყადაღებული ქონების შეფასების სამსახურის 2011 წლის 13 ივნისისა და 2011 წლის 27 ივნისის დასკვნებით და არა – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 30 მარტის დასკვნით, რომელიც ოთხი წლის შემდეგაა გაცემული.

13.4. სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს ყფლება ჰქონდა, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ედავა ახალ შემძენთან, თ. თ-სთან, თუმცა მას ასე არ უმოქმედია. მოსარჩელემ იმით ისარგებლა, რომ ნოტარიუსის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეცდომა გაიპარა, კერძოდ, №4 შენობა-ნაგებობა 810კვ.მ მინის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად ამისა, ეს შეცდომა არსებითად არაფერს ცვლიდა. ამ გარემოებაზე დაყრდნობით მსესხებელი ცდილობს, სასამართლოს წინაშე ისე წარმოაჩინოს, თითქოს, №4 შენობა-ნაგებობის გამიჯვნა მისი მიზანი იყო, რაც არასწორია.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მარტისა და 25 აპრილის განჩინებებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამონმებლად. 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, სსსკ-ის 391.5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივრები დასაშვებად ცნო და დაადგინა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივ-

რის საფუძვლების შემონახვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია, აქვს თუ არა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი და, თუკი ეს ასეა, მაშინ რა ოდენობით ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

16. სსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადებით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე საკასაციო საჩივრით მოითხოვს, სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას გაუქმებას და, ახალი გადაწყვეტილებით, მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ზიანის – ქ. თბილისში, ... ქ. NN № 30-32-ში მდებარე № 4 შენობა-ნაგებობის ღირებულების დაკისრებას. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოსათვის ამოსავალი სწორედ კასატორის აღნიშნული მოთხოვნაა.

17. მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი უნდა ვეძიოთ სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლებში.

სსკ-ის 992-ე მუხლი ითვალისწინებს დელიქტურ პასუხისმგებლობას. დელიქტური პასუხისმგებლობის არსი ისაა, რომ იგი არასახელმწიფოებო ზიანის საფუძველზე წარმოიშობა, განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და დაზარალებულს (კრედიტორს) ვალდებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამ მუხლის გამოყენების წინაპირობები შემდეგია: ზიანი; ქმედების მართლწინააღმდეგობა; მიზეზობრივი კავშირი და ბრალი (ე.წ. „გენერალური დელიქტი“). პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (სუსგ №ას-769-737-2016; 20.06.2018წ.; სუსგ №ას-176-163-2015, 04.10.2016; სუსგ №ას-1426-2018, 11.04.2019).

როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესების წონასწორობის აღდგენაზე (სუსგ №ას-1322-2018, 4.04.2019).

18. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოპასუხის მიერ მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი სათანადოდ დაასაბუთა. ასეთი დასკვნის საფუძველს ქმნის მოსარჩელის მიერ სასამართლოსათვის წარმოდგენილი მტკიცებულებები და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად მიჩნეული შემდეგი გარემოებები:

1) 2010 წლის 29 ოქტომბერს ნოტარიუსმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაამონმა, რომლითაც მოსარჩელემ ე. წ-დისგან 30 000 აშშ დოლარი ისესხა და რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება: ქ. თბილისში, ... ქ.№№30-32-ში მდებარე 810კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განლაგებული №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობებით.

2) 2010 წლის 29 ოქტომბერს ნოტარიუსმა დაამონმა მოსარჩელესა და ბ. ვ-ძეს შორის დადებული სესხისა და იპოთეკის მეორე ხელშეკრულება, რომლითაც მოვალემ 10 000 აშშ დოლარი ისესხა და რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება: ქ. თბილისში, ... ქ.№№30-32-ში მდებარე №4 შენობა-ნაგებობა, საერთო ფართობით 49კვ.მ.

3) 2011 წლის 3 მაისს ნოტარიუსმა სააღსრულებო ფურცელი გასცა კრედიტორ ე. წ-დის სასარგებლოდ, რომლითაც აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა 30 000 აშშ დოლარით, ხოლო ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითადი თანხის 0.3%-ით განისაზღვრა.

ამ სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, იპოთეკარ ე. წ-დის სასარგებლოდ რეალიზაციას დაექვემდებარა იპოთეკით დატვირთული შემდეგი ქონება: ქ. თბილისში, ... ქ.№№30-32-ში მდებარე 810კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განლაგებული №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობებით.

აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 12 ივლისის განკარგულების თანახმად, აღსრულება ამავე ქონებაზე განხორციელდა და შემძენ თ. თ-დის საკუთრებაში გადავიდა ქ. თბილისში, ...

ქ.№30-32-ში მდებარე 810კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული №1, №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობებით.

5) საჯარო რეესტრიდან 2011 წლის 11 ნოემბრის ამონაწერის შესაბამისად, თ. თ-ძის სახელზე ირიცხება ქ. თბილისში, ... ქ.№30-32-ში მდებარე 810კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1, №2, №3, №4, №5 შენობა-ნაგებობები.

6) მოსარჩელემ ვერც 2010 წლის 29 ოქტომბერს დადებული სესხისა და იპოთეკის მეორე ხელშეკრულება ვერ შეასრულა, რომელიც მასა და ბ. ვ-ძეს შორის დაიდო. ვინაიდან სხენებული ხელშეკრულების საგანი ახალი მესაკუთრის (თ. თ-ძე) საკუთრებაში მოექცა, ამიტომ ბ. ვ-ძის, როგორც კრედიტორის მიმართ, მეორე რიგის იპოთეკარის სამართლებრივი რეჟიმი ამოქმედდა.

7) წინამდებარე სარჩელის აღძვრამდე, მსესხებელმა სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იდავა, კერძოდ, ე. წ-თან 2010 წლის 29 ოქტომბერს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, სააღსრულებო ბიუროს 2011 წლის 12 ივლისის განკარგულებისა და 2011 წლის 15 აგვისტოს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. სასამართლომმა დასახელებული სარჩელი არ დააკმაყოფილეს.

საბოლოოდ, სხენებული საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განიხილა, რომელმაც განმარტა შემდეგი: საქმეში წარმოდგენილი მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე არ გამოირიცხება ის სავარაუდო მიზანი, რის გამოც შენობა-ნაგებობა №4 არ არის დაკონკრეტებული ე. წ-ძესთან 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში. კასატორის მიზანს შესაძლოა მართლაც წარმოადგენდა მითითებული ფართის ამორიცხვა, მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ასეთ პირობებში სამართლებრივი შეუსაბამობა დაშვებულია არა აუქციონის გამოცხადებისა და შემდგომ ქონების ახალ მესაკუთრეზე რეგისტრაციის პროცესში, არამედ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. იპოთეკის ხელშეკრულება შეიცავს ცალსახა მითითებას იპოთეკის საგნის – 810 ვ.მ მიწის ნაკვეთის თაობაზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ე. წ-ძის სახელზე რეგისტრირებულ იპოთეკის საგანს წარმოადგენს 810 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეეხება ბ. ვ-ძეს, ამავე ამონაწერის საფუძველზე რეგისტრირებულია მხოლოდ შენობა-ნაგებობა №4, მიწის ნაკვეთის გარეშე. რამდენადაც №4 შენობა დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით არ იქცა ცალკე უფლების ობიექტად ის, როგორც მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილი, გადაჰყვა 810 კვ/მ მიწის ნაკვეთს; მას შემდეგ, რაც თ. თ-

ძე დასახელებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ გამოცხადდა, მან ძველი მესაკუთრის ადგილი დაიკავა და ყველა იმ უფლების მატარებელი გახდა, რაც მიწას, როგორც უძრავ ნივთს უკავშირდება; ადმინისტრაციულ ორგანოებს, სადავო აქტების გამოცემის პროცესში, არ დაურღვევიათ მატერიალური სამართლის ნორმები და არ გამოკვეთილა აქტის ბათილობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლით განსაზღვრული საფუძველები (იხ. სუსგ №ბს-464-459(კ-12), 12.12.2012).

8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებული „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის“ შესახებ დებულების საფუძველზე შექმნილი დისციპლინური კომისიის 2013 წლის 21 ნოემბრის დასკვნის მიხედვით, ნოტარიუსის მიერ ჩადენილი გადაცდომა გამოიხატა ამავე დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებაში („არღვევს სანოტარო მოქმედების შერულების (სანოტარო აქტების შედგენის) კანონმდებლობით დადგენილ წესებს ... რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა“).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 5 დეკემბრის №1442 ბრძანებით, ნოტარიუსს დისციპლინური სახდელის სახით შეეფარდა ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერება – 2013 წლის 6 დეკემბრიდან ხუთი თვის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემომითითებული გარემოებები კასატორებს დასაბუთებული შედავების (პრეტენზია) გზით არ გაუქარწყლებიათ, ამიტომ სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407.2 მუხლი).

პალატის შეფასებით, ჩამოთვლილი გარემოებების ერთობლიობა საფუძველს ქმნის შემდეგი დასკვნისათვის:

მოსარჩელის (მსესხებელი) მიერ ბ. ვ-ძესთან (გამსესხებელი) 2010 წლის 29 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში უძრავი ნივთის დატვირთვის მიზანი ის იყო, რომ, თუკი მსესხებელი კრედიტორისათვის სესხის დაბრუნებას ვერ შეძლებდა, ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილიყო ქ. თბილისში, ... ქ.№30-32-ში მდებარე №4 შენობა-ნაგებობის რეალიზაციიდან მიღებული სახსრებით.

ამ მიზნიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ №4 შენობა-ნაგებობა სწორედ ბ. ვ-ძესთან დადებულ ხელშეკრულებაში დასახელებული მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საგნად, განსხვავებით ე. წ-ძესთან დადებული ხელშეკრულებისგან. რაც შეეხებოდა ე. წ-ძესთან მოვალის მიერ ამავე თარიღში დადებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას, მასში მოსარჩელეს №4 შენობა-ნაგებობაზე არ მიუთითებია.

მიუხედავად მხარეთა მიერ გამოვლენილი ნებისა, მსესხებლის ზემოაღნიშნული მიზნის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც იმან განაპირობა, რომ მსესხებელსა და ე. წ-ძეს შორის დადებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში (რომელიც ნოტარიუსმა დაამოწმა) იპოთეკის საგნად 810 კვ.მ მიწის ნაკვეთია აღნიშნული. ამავე გარემოებიდან გამომდინარე, მითითებულ ნაკვეთზე არსებული №4 შენობა-ნაგებობა (როგორც მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილი) იპოთეკის საგნის რეალიზაციისას (ე. წ-ძესთან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო) გასხვისდა.

შესაბამისად, მოსარჩელე მეორე ხელშეკრულების კრედიტორის (ბ. ვ-ძე) წინაშე არახელსაყრელ სამართლებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდა ვინაიდან ის ნივთი, რომელსაც კრედიტორის მიმართ არსებული სასესხო ვალდებულება უნდა უზრუნველყო გადავიდა მესამე პირის საკუთრებაში.

ამდენად, მითითებული გარემოება იმის დასტურია, რომ კრედიტორ ე. წ-ძესთან დადებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში იპოთეკის საგნის მხარეთა ნების საწინააღმდეგოდ ასახვის შედეგად, მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

საქმეში არსებული მასალების საფუძველზე კი, ზიანი ნოტარიუსის ბრალეული მოქმედებითაა გამოწვეული. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა, დისციპლინური კომისიის 2013 წლის 21 ნოემბრის დასკვნა, სადაც საუბარია ნოტარიუსის მხრიდან გადაცდომის ჩადენის ფაქტზე და აღნიშნულია, რომ ნოტარიუსის მიერ ჩადენილი გადაცდომა გამოიხატა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებული „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებაში („არღვევს სანოტარო მოქმედების შესრულების (სანოტარო აქტების შედგენის) კანონმდებლობით დადგენილ წესებს ... რასაც ძიძიმე შედეგი მოჰყვა).

ასევე, ყურადსაღებია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 5 დეკემბრის №1442 ბრძანება, რომლითაც თ. ბ-ძეს დისციპლინური სახდელის სახით შეეფარდა ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერება – 2013 წლის 6 დეკემბრიდან, ხუთი თვის ვადით. ასევე საგულისხმოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინების ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ სამართლებრივი შეუსაბამობა დაშვებულია არა აუქციონის გამოცხადებისა და შემდგომ ქონების ახალ მესაკუთრეზე რეგისტრაციის პროცესში, არამედ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას.

ზიანის დადგომაში ნოტარიუსის ბრალეულად მიჩნევის დამატებით საფუძველს კიდევ ერთი გარემოება ქმნის, კერძოდ, მოპასუხემ (ნოტარიუსი) თავის საკასაციო საჩივარში ფაქტობრივად აღიარა სანოტარო მოქმედების შესრულებისას ცდომილების „გაპარვის“ ფაქტი (რაზეც ზემოთ მიეთითა), თუმცა იქვე განმარტა, რომ ეს „შეცდომა“ არსებითად არაფერს ცვლიდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის მასალებით სრულადაა გამოიკვეთილი მოპასუხის ბრალეული ქმედებით მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი შემადგენლობა. ნოტარიუსი, თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ვალდებული იყო, მხარეთათვის განემარტა, შესრულებული სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები. ამ შემთხვევაში, „სამართლებრივი შედეგები“ გულისხმობს სწორედ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შედეგებს. საუბარი იმაზეა, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში იპოთეკის საგნად ხსენებულ 810კვ.მ მიწის ნაკვეთზე მითითება განაპირობებს აღნიშნულ ნაკვეთზე მდებარე ყველა შენობა-ნაგებობის იპოთეკით დატვირთვას (სსკ-ის 149-ე-150-ე მუხლები). მიუხედავად ამისა, ნოტარიუსმა აღნიშნულის თაობაზე მხარეებს ბრალეულად არ განუმარტა, რაც კანონშეუსაბამო მოქმედებად უნდა დაკვალიფიცირდეს. ნოტარიუსის მოქმედების პირდაპირი შედეგია ის, რომ ე.წ. ნ-ძის მიმართ არსებული მოსარჩელის ვალდებულების გასტუმრებისთვის ქონების რეალიზაციის შედეგად საჯარო რეესტრში შემტენის (თ. თ-ქ) საკუთრებად აღირიცხა ქ.თბილისში, ... ქ.№30-32-ში მდებარე 810კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №4 შენობა-ნაგებობაც, სხვა შენობა-ნაგებობებთან ერთად.

საკასაციო პალატა განმარტავს, თუ რატომაა ნოტარიუსის მოქმედება კანონთან შეუსაბამო, კერძოდ:

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.3, 38.4 და 49-ე მუხლებით დადგენილია, რომ: სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით ნოტარიუსი სამართლებრივ კონსულტაციას უწევს პირებს და მათი თხოვნით ადგენს დოკუმენტების პროექტებს; ნოტარიუსი უფლებამოსილია, დაინტერესებულ პირებს გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული სანოტარო მოქმედების შესრულებასთან; ნოტარიუსი ვალდებულია, სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთანავე, ნოტარიუსი ვალდებულია იზრუნოს იმაზე, რომ არ შეილახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას და საჭიროებენ სამართლებრივ კონსულ-

ტაციას.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, იმ აქტის (გარიგება, მონაშთი და სხვა) დასამოწმებლად, რომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა; ნოტარიუსი ვალდებულია, საჯარო აქტის ფორმით დოკუმენტის დამოწმებისას სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუმარტოს სანოტარო აქტის შინაარსი და მისი სამართლებრივი შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის მასალებითა და ნოტარიუსის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტებით ნათელია, რომ მოპასუხის ქმედებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა, რაც მისი ანაზღაურების საფუძველს ქმნის.

19. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ზიანის შერეული ბრალით წარმოშობის თაობაზე და განმარტავს შემდეგს:

მოცემულ შემთხვევაში, შერეული ბრალის საკითხის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ერთ მხარეს, წარმოდგენილია იურიდიული განათლების მქონე პირი – ნოტარიუსი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა, განუმარტოს სანოტარო მოქმედების შემსრულებელ პირს არა მარტო სანოტარო მოქმედების შინაარსი, არამედ ამ მოქმედებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებიც.

ამასთან, მეორე მხარესაა დაინტერესებული პირი, რომლის მიზანია კონკრეტული სანოტარო მოქმედების შესრულება, რომელსაც იურიდიული განათლება არ გააჩნია და, რომელმაც მისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ნოტარიუსს მიაწოდო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მნიშვნელოვანი საკითხი იმაში გამოიხატა, რომ მოსარჩელეს სურდა მის მიერ შერჩეულ კრედიტორებთან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები ნოტარიუსს გაეფორმებინა და დაეწმინებინა. ამ მიზნით, მოსარჩელემ, ორ სხვადასხვა შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა სხვადასხვა უძრავი ქონებით განიზრახა. აქედან გამომდინარეობს, რომ კრედიტორ ე. წ-ქესთან 2010 წლის 29 ოქტომ-

ბერს გაფორმებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში არაა მითითებული ქ. თბილისში, ... ქ. №30-32-ში მდებარე №4 შენობა-ნაგებობაზე, მაგრამ აღნიშნულია №2, №3, №5, №6, №7, №8 შენობა-ნაგებობების დატვირთვის შესახებ. №4 შენობა-ნაგებობა კი, იპოთეკის საგნად დასახელებულია მეორე, 2010 წლის 29 ოქტომბერს ბ. ვ-ძესთან დადებულ ხელშეკრულებაში.

როგორც ზემოთ განიმარტა, კანონი ნოტარიუსს სხვა მოვალეობებთან ერთად პროფესიული გულისხმიერების ვალდებულება-საც აკისრებს. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულებაა – იმ პირთა ინტერესებზე ზრუნვა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობას არ იცნობენ და სამართლებრივ კონსულტაციას საჭიროებენ („ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.3 და 38.4 მუხლები, ამავე კანონის 49-ე მუხლი).

კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება იმაზე მიუთითებს, რომ ნოტარიუსის მიერ პროფესიული მოქმედების შესრულებისას ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის ხარისხი გაცილებით მაღალია იმ პირთან შედარებით, რომელიც საქართველოს კანონმდებლობას არ იცნობს და რომლის მოთხოვნის საფუძველზეც ის შესაბამის სანოტარო მოქმედებას ასრულებს.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, ნოტარიუსმა ერთსა და იმავე დღეს ორი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა, რომლებშიც იპოთეკის საგნად ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე მდებარე სხვადასხვა შენობა-ნაგებობაზე მიუთითა. ასეთ პირობებში, ნოტარიუსს პროფესიული მოვალეობის განმსაზღვრელი ზემომითითებული ნორმები და წესები ავალდებულებდა, რომ მსესხებლისათვის დეტალურად განემარტა, თუ რა სამართლებრივი შედეგი შეიძლებოდა, გამოენვია, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში იპოთეკის საგნად 810კვ.მ მიწის ნაკვეთზე მითითებას (სსკ-ის 149-ე-150-ე მუხლები). მიუხედავად ამისა, მოპასუხეს ასე არ უმოქმედია (იხ. საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მე-18 პუნქტში ასახული დასაბუთება) რაც თ. ბ-ძის სამოქალაქოსამართლებრივ ბრალეულობაზე მიუთითებს. ამავე დასაბუთებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ ხედავს შერეული ბრალის საფუძველით ზიანის მოცულობის შემცირების პირობებს და მიაჩნია, რომ თ. ვ-ძის მოქმედებაში მართლწინააღმდეგობის ნიშნები გამოკვეთილი არაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ერთადერთი ვალდებული პირი ნოტარიუსია, რადგან ზიანის დადგომაში ბრალი სწორედ მისი მოქმედების შედეგადაა გამოკვეთილი. შესაბამისად, მოპასუხეს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მითითებული №4 შენობა-ნა-

გეობობის ღირებულების ანაზღაურება.

ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 30 მარტის დასკვნით დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ... ქ.№30-32-ში მდებარე №4 შენობა-ნაგებობის ღირებულება 20 580 აშშ დოლარია, ამ ფაქტს დადგენილად მიიჩნევს საკასაციო სასამართლოც (სსსკ-ის 407.2 მუხლი). ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ პირველი კასატორის (მოსარჩელე) მოთხოვნა სრულად უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ზიანის – 20 580 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

20. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

სსსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

პირველი კასატორი (მოსარჩელე) „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის მ¹ მუხლის თანახმად, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, მონინაალმდევე მხარეს (მოპასუხე, მეორე კასატორი) სახელმწიფო

ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე მოსარჩელის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 1 029 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 404-ე,
408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. თ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები და ამ ნაწილებში მი-
ღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. თ. ვ-ძის სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ ნაწილობ-
რივ დაკმაყოფილდეს;
5. თ. ბ-ძეს თ. ვ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის – 20 580
აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება;
6. თ. ბ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 1
029 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა (გადახდის დროს
არსებული კურსით). სახელმწიფო ბაჟი განთავსებულ იქნეს შემ-
დეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი
TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ
საჩივრდება.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანი

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-917-2021

27 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. მიქაუტაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქალაქ თბილისის მერიამ 2014 წლის 30 ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ბ. მ-ის მიმართ და მოპასუხისთვის ზიანის სახით – 21400 ლარის დაკისრება მოითხოვა.

2. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 23 დეკემბერს ბ. მ-მა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, დააზიანა თვითმმართველი ერთეულის ქონება (გარე განათების ორი ბოძი, მოძრაობის შემზღუდავი 17 ბოძი და ნარჩენების შემკრები დეკორატიული ურნა). სარჩელის თანახმად, მიყენებული ზიანის ოდენობა 21400 ლარს შეადგენდა.

3. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით აღიარა თვითმმართველი ქონების დაზიანების ფაქტი, მაგრამ სადავოდ გახადა დაზიანებული ნივთების ოდენობა და მათი ღირებულება.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. 2013 წლის 23 დეკემბერს, დაახლოებით, 01:40 საათზე, თბილისში, ... ქუჩის კვეთის მიმდებარედ, ერთმანეთს შეეჯახა ავტომანქანა „მერსედესი“ (სახელმწიფო ნომრით ...) და ავტომანქანა „მერსედესი ML“ (სახელმწიფო ნომრით ...). შეჯახების შედეგად, ავტომანქანა „მერსედესი ML“, რომელსაც მართავდა ბ. მ-ი, ავარდა სავალი გზის მარცხენა მხარეს და დაზიანა თვითმმართველი ერთეულის ქონება;

5.2. ბ. მ-მა თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსისადმი მიმართულ, 2013 წლის 30 დეკემბრის წერილში დაადასტურა 2013 წლის 23 დეკემბერს, ავტოავარიის შედეგად „18 პატარა ბოდისა და 1 განათების ბოდის“ დაზიანების ფაქტი და გამოთქვა დაზიანებული ქონების საფასურის ანაზღაურების მზაობა;

5.3. ქალაქ თბილისის მერიის დაკვეთით, აუდიტორული კომპანია „კ-ის“ მიერ 2014 წლის 19 თებერვალს შესრულებული აუდიტორული დასკვნის თანახმად, თბილისის მერიის მიერ წარდგენილ ქონებაზე (სანათი „ლანზინი“, სიმაღლე – 8 მ, კომპლექტი – 1 ერთეული; სანათი „AEC“, ერთსანათიანი – 1 ერთეული; მოძრაობის შემზღუდავი ბოძი, სიმაღლე – 600 მმ. 17 ერთეული) მიყენებული ზიანის ოდენობამ 21400 ლარი შეადგინა.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. მოპასუხემ დააზიანა მოსარჩელის კუთვნილი ორი განათების ბოძი და მოძრაობის შემზღუდავი 17 ბოძი; ნარჩენების შემკარები დეკორატიული ურნის დაზიანების ფაქტი არ დადასტურდა. სასამართლომ აღნიშნული ფაქტის დადგენისას იხელმძღვანელა მხარეთა ახსნა-განმარტებებით, ბ. მ-ის 2013 წლის 30 დეკემბრის წერილითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა საგამოძიებო სამსახურის 2014 წლის 30 იანვრით დათარიღებული №187317 წერილით;

6.2. მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის 21400 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი არ დადასტურდა. სასამართლომ კომპანია „კ-ის“ დასკვნა მიიჩნია არასარწმუნოდ და არადაამაჯერებლად, რადგან დასკვნის კვლევითი (განსაკუთრებული) ნაწილის მიხედვით, შესამონმშებელი სანათებისა და ბოძების აღდგენა შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გამორიცხული იყო, რის გამოც შემფასებლის ამოცანას წარმოადგენდა განსაზღვრულიყო დაზიანებაზე მათი სარგებლობითი (გამოყენებითი) ღირებულება, თუმცა „შეფასების პროცესში ჩანაცვლებით ღირებულებად მიჩნეულ იქნა დამკვეთისგან წარმოდგენილი ისტორიული ღირებულება“. გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 29 იანვრის წერილსა და მის ერთგვერდიან დანართზე (მითითებულია საქონლის დასახელება, რაოდენობა, პირველადი ღირებულება, 2013 და 2014 წლების ნარჩენი ღირებულება) და განმარტა, რამდენადაც დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება უშუალოდ დამკვეთის მიერ წარდგენილ ინფორ-

მაციას ეფუძნება (რომლის სისწორესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს მხოლოდ დამკვეთი) და არა თავად აუდიტის მიერ მოძიებული ინფორმაციის შესწავლა-შეფასებას, აღნიშნული დასკვნა ვერ ჩაითვლება სათანადო დასაბუთების მქონე მტკიცებულებად სადავო გარემოების დადგენის თვალსაზრისით; მით უფრო, როდესაც საქმის განხილვისას დადასტურდა, რომ მოსარჩელე და შესაბამისი სამსახურები არ ფლობენ კონკრეტულ დოკუმენტაციას (შესყიდვის, მონტაჟის პირველადი დოკუმენტები – ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, თუ სხვა) ან/და ინფორმაციას დაზიანებული ობიექტების შეძენის/დამონტაჟების პერიოდების და მათი შესყიდვის ღირებულების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მოთხოვნის საფუძველზე, 2016 წლის 8 აპრილს წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას, დაზიანებული ობიექტების შეძენის/დამონტაჟების პერიოდისა და მათი შესყიდვის ღირებულების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით; ხსენებული წერილი შემდგომი რეაგირებისთვის მერიამ გადაუგზავნა შპს „ს.ქ-ს“, რომელმაც მოპასუხეს აცნობა, რომ „დაზიანებული ობიექტების შეძენა-დამონტაჟება არ მომხდარა შპს „ს. ქ-ის“ მიერ და, შესაბამისად, ვერ მოხდა საჭირო ინფორმაციის მიწოდება“. იმავე შინაარსის წერილი ბ. მ-ის წარმომადგენელმა 2016 წლის 25 აპრილს განმეორებით გაუგზავნა ქალაქ თბილისის მერიას, რომელმაც წერილი შემდგომი რეაგირებისთვის ამჯერად გადაუგზავნა ა(ა)იპ „თ.გ.ფ-ს“, რომლის დირექტორმაც 2016 წლის 22 ნოემბერს მოპასუხეს აცნობა, რომ „ვერ მოხერხდა შესყიდვის თავდაპირველი დოკუმენტაციის მოძიება. აღნიშნული სანათები მათი დაკვეთის შესაბამისად შეფასებულ იქნა აუდიტორული კომპანიის მიერ, კერძოდ: სანათი „ლანზინი“ – 9206.77 ლარი, სანათი „AEC“ – 9590.75 ლარი, ხოლო შემზღუდავი ბოძების ღირებულება გაურკვეველია“. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ აუდიტის მიერ განხორციელებული შეფასების გაუზიარებლობის მართებულობას ამყარებს ალტერნატიული დასკვნის შედგენის შეუძლებლობის თაობაზე სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილობით პასუხებში ასახული შემდეგი არგუმენტაცია: „სასაქონლო ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტის მიზნით ჩატარებული კვლევის პროცესში ვერ მოხდა 2013 წლის მდგომარეობით ანალოგიური ან მსგავსი ობიექტების ყიდვა-გაყიდვის, ან გასაყიდად შეთავაზების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ამასთან, გამოსაკვლევი ქონება წარმოადგენს სპეციფიკური სახის საქონელს, რომლის დამზადება უმეტეს-

წილად ხდება კონკრეტული პროექტების ფარგლებში და მათი ღირებულებების შესახებ ღია ინფორმაცია ძნელად მოსაპოვებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს დანახარჯების მეთოდის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც, კვლევის ობიექტების ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდების და სანყისი ღირებულებების გათვალისწინებით, შესაძლებელია განისაზღვროს მათი საბაზრო ღირებულება დროის გარკვეული პერიოდის მდგომარეობით. კერძოდ, შესაძლებელია, მოხდეს სანყისი, ისტორიული საბაზრო ღირებულების დაკორექტირება ჯამური ცვთის კოეფიციენტის გამოყენებით. ამრიგად, კვლევის ამოსავალი შეიძლება იყოს წარმოდგენილი საქონლის სანყისი ისტორიული ღირებულებების დადგენა, რაც შესაძლებელია მათი შესყიდვის პირველადი დოკუმენტების – ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, საბაჟო დეკლარაცია და სხვა – საფუძველზე. საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული მასალები. საქმეში არსებული თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 29 იანვრის №0716/14029762 წერილის დანართის სახით არსებულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების (სადაც მითითებულია საქონლის დასახელება, რაოდენობა, პირველადი ღირებულება, 2013 წლის წარჩენი ღირებულება და 2014 წლის წარჩენი ღირებულება) საფუძველზე კი ძნელია კატეგორიულად მსჯელობა სანყის საბაზრო ღირებულებაზე და მათი შეძენის პერიოდებზე“. შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ტექნიკური მონაცემები, რომელთაც ემყარებოდა კომპანია „კ-ის“ შეფასება, შექმნილი იყო უშუალოდ მოსარჩელის მიერ, ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობის გარეშე, რაც გამორიცხავდა კატეგორიულ მსჯელობას დაზიანებული ქონების სანყის საბაზრო ღირებულებასა და მათი შეძენის პერიოდებზე.

7. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე მითითებით, აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა დადგინდეს ზიანის არსებობა, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას კი, უნდა შეფასდეს, რა ქონებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა პირი ზიანის მიყენებამდე და რა მდგომარეობაში იმყოფება – ქონებრივი ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემდგომ. ზიანის მოცულობა განისაზღვრება ამ ორ მდგომარეობის შორის სხვაობით. ამასთან, პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის (პირის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესე-

ბის) არსებობა და მისი ოდენობა.

8. სადავო შემთხვევაში კი, მართალია, სადავო არ იყო ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ბ. მ-ის მიერ თბილისის მერიის ქონების დაზიანების ფაქტი, მაგრამ სადავო იყო დაზიანებული ქონების ოდენობა და დამგარი ზიანის ღირებულება. საქმეზე დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი – მოპასუხის დელიქტური ქმედებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 21 400 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი, სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულმა ორგანომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო სასამართლომ სრულად გააზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

12. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს არა მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქტი, არამედ მისი ოდენობაც; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ კი მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია. ამასთან, მოპასუხემ სცადა ალტერნატიული დასკვნის მომზადება, მაგრამ ექსპერტიზა ვერ ჩატარდა დაზიანებული ობიექტების შესყიდვის პირველადი დოკუმენტების (ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, საბაჟო დეკლარაცია და სხვა) მოპასუხისათვის მიუწოდებლობის გამო. მსგავსი დოკუმენტები კი ობიექტურად მოსარჩელე ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა ყოფილიყო დაცული; მოსარჩელეს გააჩნდა კანონისმიერი ვალდებულება, მოპასუხისათვის მიეწოდებინა ყველა ის დოკუმენტი, რაც დაზიანებული ობიექტების შესყიდვის ღირებულებას შეეხებოდა, თუმცა მან აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა, რამაც საბოლოოდ შეუძლებელი გახადა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის შედგენა. ამრიგად, მოპასუხემ მოსარჩელის პოზიციის უარყოფა ვერ მოახდინა თავად მოსარჩელის ბრალეულობით, რაც მოპასუხეს ათავისუფლებდა მისი პოზიციის შემდგომი მტკიცების ტვირთისა-

გან. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად უთხრა მოსარჩელეს უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ივნისის დამატებითი განჩინებით ბ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ბ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მოპასუხის მიერ ადვოკატის დახმარებისთვის განეული ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურება.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2021 წლის 3 ივნისის დამატებითი განჩინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

15. კასატორი აღნიშნავს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა თვითმმართველი ერთეულის ქონება: გარე განათების ორი ბოძი, მოძრაობის შემზღუდავი 17 ბოძი და ნარჩენების შემკრები დეკორატიული ურნა. აუდიტორული კომპანიის დასკვნის თანახმად, მიყენებული ზიანის საერთო ოდენობამ 21400 ლარი შეადგინა. კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლოა სასამართლოს მიითეთება, რომ აუდიტის დასკვნა ეყრდნობა მხოლოდ მოსარჩელის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რადგან დაზიანებული ქონების ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულია მსგავსი ქონების ბაზრის კვლევისა და ანალიზის, მოპოვებული საბაზრო ინფორმაციის დამუშავებისა და საბაზრო ამოკრების მეთოდი.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმობაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით.

17. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვება მოითხოვა. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა, რომ ამ ეტაპზე მხარეთა მორიგების მიღწევა შეუძლებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების

მოსმენის შედეგად, მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მიყენებული ზიანის ოდენობის დაუდგენლობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერება.

20. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. შესაბამისად, პირისთვის ზიანის მიყენება ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია. „სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის №ას-1376-2019 განჩინება). გარდა ზიანის არსებობისა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისთვის, აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობისა და სამართალდამრღვევის ბრალეულობის დადასტურება. ამასთან, ვინაიდან „სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას, ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს, ბრალის მიუხედავად, ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელთაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ივნისის №ას-1361-2018 განჩინება).

21. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ რადგან ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობის დადასტურებას, მნიშვნელოვანია, შეფასებულ იქნეს მსგავს საქმეებზე მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი. მტკიცების ტვირთს კი აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. უზენაეს სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს განმარტებული, რომ მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ივნისის №ას-1361-2018 და 2019 წლის 22 მარტის №1298-2018 განჩინებები, 2021 წლის 25 ივნისის №ას-1198-2019 გადაწყვეტილება).

22. ზიანის ანაზღაურების დავებში, მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, მოსარჩელეს (კრედიტორს) ეკისრება როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ისე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის №ას-1365-2019 და 2015 წლის 17 აპრილის

№ას-406-383-2014 განჩინებები). ზიანის ოდენობის ზუსტ განსაზღვრას კი დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადეკვატურობა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის №ას-1376-2019 განჩინება).

23. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადასტურებულია 2013 წლის 23 დეკემბერს, თბილისში, ... მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად თვითმმართველი ერთეულის ქონების დაზიანების ფაქტი. მოპასუხე – ბ. მ-ი სადავოდ არ ხდის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისა და მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტს, თუმცა სადავოა მიყენებული ზიანის ოდენობა.

24. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ კასატორის (მოსარჩელის) მიერ ზიანის ოდენობის დასადასტურებლად წარმოდგენილია აუდიტორული კომპანია „კ-ის“ 2014 წლის 19 თებერვლის დასკვნა, რომლის თანახმადაც, თბილისის მერიის მიერ წარდგენილ ქონებაზე მიყენებული ზიანის ოდენობამ 21400 ლარი შეადგინა.

25. საკასაციო სასამართლო, წარმოდგენილი დასკვნის შეფასებისას, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. ამავ ე კოდექსის 105-ე მუხლით კი დადგენილია, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამ-

რიგად, ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც სასამართლომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა შეაფასოს. გასათვალისწინებელია, რომ „ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისას (რამდენადაც იგი სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კომპეტენციას ეფუძნება) ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: გამოსაკვლევად მიწოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რადგან სწორედ კვლევითი ნაწილია ასახული საბოლოო დასკვნაში... მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის №ას-406-383-2014 განჩინება).

26. ამდენად, აუდიტორული კომპანია „ე-ის“ 2014 წლის 19 თებერვლის დასკვნის დამაჯერებელ და სარწმუნო მტკიცებულებად შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მისი შინაარსის სრული შესწავლა. აღნიშნულთან დაკავშირებით კი, საგულისხმოა დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებული მსჯელობა, რომ შეფასების პროცესში ჩანაცვლებით ღირებულებად მიჩნეულ იქნა დამკვეთისგან წარდგენილი ისტორიული ღირებულება. დამკვეთისგან წარდგენილ ინფორმაციაში კი იგულისხმება თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 29 იანვრის წერილი, სადაც ცხრილის სახით ასახულია საქონლის დასახელება, რაოდენობა, პირველადი ღირებულება, 2013 და 2014 წლების ნარჩენი ღირებულება. ამრიგად, მოსარჩელის დაკვეთით მომზადებული დასკვნა სრულად ეყრდნობა მის მიერვე წარდგენილ ინფორმაციას ისე, რომ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე და უტყუარობა შესწავლილი და შეფასებული არ არის. დასკვნაში მითითებული, მიყენებული ზიანის ოდენობა წარმოადგენს მხოლოდ მერიის მიერ მიწოდებული საქონლის ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით, საქონლის დაზიანებამდე არსებული და დაზიანებით გამოწვეული მდგომარეობის სხვაობის შედეგად თანხების გაანგარიშებას, თუმცა საქონლის ისტორიული ღირებულება ექსპერტს თავად არ გამოუთვლია და არ გადაუმოწმებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან წარმოდგენილი დასკვნა მომზადებულია დაინტერესებული პირის – მოსარჩელის წარდგენილი წერილის საფუძველზე და ექსპერტმა იხელმძღვანელა მერიის მითითებული თანხებით (მათი გადამოწმების გარეშე), საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა განმარტებას, რომ აღნიშნული დასკვნა ვერ ჩაითვლება სათანადო დასაბუთების მქონე მტკიცებულებად სადავო გარემოების დადგენის თვალსაზრისით. დასახელებულ მსჯელობას დამაჯერებლო-

ბას სძენს საქმეში წარმოდგენილი – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 12 დეკემბრის წერილიც, რომლის მიხედვითაც, „თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2014 წლის 29 იანვრის №0716/... წერილის დანართის სახით არსებულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების (სადაც მითითებულია საქონლის დასახელება, რაოდენობა, პირველადი ღირებულება, 2013 წლის წარჩენი ღირებულება და 2014 წლის წარჩენი ღირებულება) საფუძველზე ძნელია კატეგორიულად მსჯელობა საწყის საბაზრო ღირებულებაზე და მათი შეძენის პერიოდებზე“. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მონარჩელემ ვერ დაძლია ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი.

27. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიუთითებს მოპასუხის მცდელობაზე, მოეპოვებინა ზიანის ოდენობის დადგენისთვის აუცილებელი მტკიცებულებები და წარმოედგინა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა. ხსენებული მიზნის მისაღწევად ბ. მ-ის წარმომადგენელმა განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას, თუმცა უშედეგოდ – განმცხადებელს განემარტა, რომ შესყიდვის თავდაპირველი დოკუმენტაციის მოძიება ვერ მოხერხდა. შედეგად, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ დასკვნა ვერ მოამზადა. საქსპერტო დაწესებულებამ მიუთითა გამოსაკვლევი ქონების სპეციფიკურობაზე და სადავო შემთხვევაში საქონლის საწყისი ისტორიული ღირებულებების დადგენის მნიშვნელობაზე, რომელიც, ექსპერტის განმარტებით, საქონლის შესყიდვის პირველადი დოკუმენტების (ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, საბაჟო დეკლარაცია და სხვა) საფუძველზე უნდა განისაზღვროს. რადგან მსგავსი დოკუმენტაცია ვერ იქნა მოპოვებული, ექსპერტმა დასკვნა ვერ მოამზადა.

28. საყურადღებოა, რომ დაზიანებული ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ექსპერტიზა სასამართლომაც დანიშნა, თუმცა კვლავ საჭირო დოკუმენტაციის მოუძიებლობისა და თბილისის მერიის მიერ მათი წარუდგენლობის გამო, დასკვნა ვერ მომზადდა.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ საქმეზე ვერ დადგინდა მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელზეც არის დამოკიდებული წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებისა და დასაკმაყოფილებელი მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრის საკითხები. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტი ვერ დადგინდა, რადგან, ერთი მხრივ, თავად კასატორმა (მოსარჩელემ) ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი – ვერ წარმოადგინა სარწმუნო მტკიცებულება, მეორე მხრივ კი, მანვე თავისი უმოქმედობით (საჭირო დოკუმენტაციის წარუდგენლობით, რომელთა ფლობა და შენახვა

სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს ევალეზობდა) ხელი შეუშალა მოპასუხესა და სასამართლოს ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის მიღებაში. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები არ იკვეთება, რადგან შეუძლებელია მიყენებული ზიანის ოდენობის გამოთვლა, მით უფრო, რომ სარწმუნო მტკიცებულების მიღება – ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელი გახდა სწორედ მოსარჩელის ბრალეულობით.

30. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე მიღებული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს. ამასთან, რადგან სარჩელი მართებულად არ იქნა დაკმაყოფილებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე, 53-ე და 261-ე მუხლების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ივნისის დამატებითი განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ბ. მ-ის სასარგებლოდ მართებულად დაეკისრა მოპასუხის მიერ ადვოკატის დახმარებისთვის განეული ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურება. საგულისხმოა, რომ დამატებითი განჩინების გაუქმების თაობაზე საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებას და სასამართლოს მიერ კონკრეტული ნორმების დარღვევაზე მითითებას. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან კი კასატორი გათავისუფლებულია, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ივნისის დამატებითი განჩინება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის
ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-600-2019

14 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. თ. ლ-ქემ (შემდგომში – მოსარჩელე, პირველი აპელანტი, კა-სატორის მოწინააღმდეგე მხარე ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სა-სამართლოში შპს „რ-ისა“ და მ. ტ-ის (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე ან მოვალეები, მეორე მოპასუხე ასევე ნოდებული როგორც მეორე აპელანტი ან კასატორი) მიმართ, მოპასუხეებისათვის ზიანის – 11 341 ლარის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2017 წლის 6 თებერვალს მოსარჩელე ოჯახთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრა დაბა ..., სასტუმრო „ბ-სი“. სასტუმრო კომპლექსში, რომელიც აშენებულია პირველი მოპასუხის მიერ, ბინების უმრავლესობა საკუთრებაში გადაცემული აქვთ ინდივიდუალურ მესაკუთრეებს, მათ შორის – მეორე მოპასუხეს, რომლის ბინაც დაიქირავა მოსარჩელის ოჯახმა. ამავე დღეს, დაახლოებით 14:30 საათზე, მოსარჩელემ კუთვნილი ავტომანქანა „ტოიოტა კოროლა“ გააჩერა სასტუმროს ეზოში, შესასვლელიდან 4-5 მეტრის დაშორებით და ავიდა ნაქირავებ ბინაში. დაახლოებით 5 წუთში, შენობის სახურავიდან ჩამოცვენილმა თოვლისა და ყინულის მასამ დააზიანა სასტუმროს წინ მდგარი როგორც მოსარჩელის, ასევე – გვერდით მდგომი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა. გამოთქმულ პროტესტზე, თუ რატომ არ უზრუნველყოფდა სასტუმრო სახურავის გადათოვლას, შენობის შესასვლელ მხარეს, რომლითაც ასევე სარგებლობდნენ ფეხით მოსიარულეები, ადმინისტრაციამ მიუთითა, რომ უნდა გამოეჩინათ წინდახედულება და ავტომანქანა გაეჩერებინათ

სადგომზე. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მოსარჩელემ გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელმაც დააფიქსირა შემთხვევა და განახორციელა შემთხვევის ადგილის აღწერა-დასურათება. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენს 11 314 ლარს, თუმცა, როგორც სასტუმროს ადმინისტრაცია, ასევე ნაქირავები ბინის მესაკუთრე უარს აცხადებენ ზიანის ანაზღაურებაზე.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოპასუხეებმა მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინეს და განმარტეს, რომ არ არსებობს მათთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას, მათი ბრალეულობით არ დაზიანებულა ავტომობილი, ზიანის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა მხოლოდ მოსარჩელეს გააჩნდა. პირველ მოპასუხეს საცხოვრებელი კომპლექსიდან თოვლის ჩამოცვენის შედეგად მოსარჩელის ავტომანქანის დაზიანების ფაქტი სადავო არ გაუხდია. მისი მითითებით არასათანადო მოპასუხეა და არ ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მას საკუთრებაში არ გააჩნია სასტუმრო „ბ-ი“. ის საცხოვრებელ კომპლექსში მხოლოდ რამდენიმე ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინის გაქირავების მომსახურებას ეწევა ბინის მესაკუთრეებთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. მომსახურება მოიცავს ბინის გაქირავებას, ოთახების, დერეფნის, ლიფტის, კიბის უჯრედებისა და ეზოს დასუფთავებას. კომპანიის პერსონალის ვალდებულებას არ წარმოადგენს შენობის სახურავის გადმოთოვლა. მას მოსარჩელესთან მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებია, არამედ ბინა მიაქირავა ქონების მესაკუთრემ. შენობა-ნაგებობა, სადაც მოხდა შემთხვევა, წარმოადგენს ხუთსართულიან, მრავალბინიან საცხოვრებელ კომპლექსს 83 საცხოვრებელი ბინით. მართალია, მრავალბინიან სახლებში კანონის ამოქმედებისთანავე დაფუძნებულად ითვლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, თუმცა იმ მიზეზის გამო, რომ ბინის მესაკუთრეები არაადგილობრივი მაცხოვრებლები არიან, ამხანაგობის თავმჯდომარე დღემდე არჩეული არ არის. მოსარჩელის მეუღლე ზ. ტ-ძე (პირი, რომელიც მართავდა დაზიანებულ ავტომანქანას) კომპანიის დამლაგებელმა ავტომანქანის კომპლექსის შესასვლელთან გაჩერებისთანავე ორჯერ გააფრთხილა სახურავიდან თოვლის შესაძლო ჩამოცვენის თაობაზე და სთხოვა მანქანის გადაყენება სადგომზე, რაც დასტურდება საქმეში არსებული ვიდეოჩანაწერით. ყველასთვის შესამჩნევ ადგილას (შენობის შესასვლელ კარზე) პირველ მოპასუხეს გამოკრული ჰქონდა

წერილობითი გაფრთხილება სამ ენაზე. მეორე მოპასუხის განმარტებით, ის უშუალოდ არ შესწრებია ავტომანქანის დაზიანების ფაქტს. ბინა, რომელიც მოსარჩელის ოჯახმა იქირავა მეორე მოპასუხის საკუთრებაა 2016 წლიდან და პირველ მოპასუხესთან მას რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა არ აკავშირებს. მოსარჩელის მეუღლემ სატელეფონო საუბარში თავად უამბო, რომ სასტუმროს თანამშრომელმა იგი გააფრთხილა სახურავიდან თოვლის ჩამოცვენის საფრთხის თაობაზე, რაც მან ამ უკანასკნელის უბრალო ახირებად მიიჩნია. ვინაიდან მეორე მოპასუხე არა შენობის, არამედ მრავალბინიან კომპლექსში მდებარე მხოლოდ ერთი ბინის ინდივიდუალური მესაკუთრეა, თოვლი კი ჩამოცვივდა საცხოვრებელი კომპლექსის სახურავიდან და არა უშუალოდ მისი ბინის სახურავიდან, რომელიც დაშორებულია ინციდენტის ადგილიდან მინიმუმ 15-20 მეტრით, არ შეიძლება სარჩელზე პასუხისმგებელ პირად იქნას მიჩნეული.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 5 657 ლარის გადახდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელემ და მეორე მოპასუხემ. პირველმა აპელანტმა (მოსარჩელემ) მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მეორე აპელანტმა (მეორე მოპასუხე) – სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მეორე აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 11 314 ლარის გადახდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობების არსებობა და ამ კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობაზე სათანადო მოპასუხის/მოპასუხეების განსაზღვრის საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. საკასაციო საჩივრის თანახმად კი:

1.1.1. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 464-ე და 1004-ე მუხლების, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2, მე-3, მე-4, 102-ე, 103-ე და 127-ე მუხლების მოთხოვნები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის მიზნებისათვის ბრალეულობის საკითხის დადგენისას კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს მესაკუთრის პოზიტიურ ვალდებულებაზე, სათანადოდ მოუაროს შენობას ან შეინარჩუნოს იგი უნაკლო მდგომარეობაში, ხოლო მეორე ნაწილში მსჯელობაა დაუძლეველ ძალასა და დაზარალებულის ბრალზე. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მასში საუბარია სადგომის ფაქტობრივი მფლობელის პასუხისმგებლობაზე და არა მესაკუთრის ვალდებულებაზე, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ კასატორის კუთვნილი ფართის ფაქტობრივი მფლობელი, ზიანის დადგომის მომენტიდან იყო თავად მოსარჩელე და მისი ოჯახი, რაც გამორიცხავს კასატორის პასუხისმგებლობას;

1.1.2. სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხ-

ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, რადგანაც ამავე კანონის პირველი მუხლის, ასევე, გამოყენებული ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, კანონის მოქმედება ვრცელდება ბინათმესაკუთრეთა შორის და არა მესამე პირის მიმართ წარმოშობილ ურთიერთობაზე. ხსენებული კანონი რიგ შემთხვევაში, აწესებს მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის საკითხსაც (მე-6 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები, მე-7, მე-18 და მე-20 მუხლები), თუმცა, ეს შემთხვევები სახეზე არაა;

1.1.3. სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლით და რა განაპირობებდა, მოცემულ შემთხვევაში, კასატორის სოლიდარულ პასუხისმგებლობას;

1.1.4. პალატამ ყურადღება გაამახვილა პირველი მოპასუხის მიერ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით: დამსაქმებელთა სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება, თუმცა არასწორად არ მიიჩნია იგი საკმარისად პასუხისმგებლობის გამორიცხვისათვის, ისევე, როგორც მხედველობაში არასწორად არ მიიღო ის ფაქტი, რომ ზიანის წარმოშობას თავად დაზარალებულის ქმედებამ შეუწყო ხელი, მან უგულვებელყო სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება ავტომობილის უსაფრთხო ადგილას გადაყენების თაობაზე.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. სატრანსპორტო საშუალება (სანომრე ნიშანი – ..., მარკა მოდელი – „ტიოიტა კოროლა“ ფერი – შავი, გამოშვების წელი 2013, საიდენტიფიკაციო ნომერი – 2...), რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე;

1.2.2. 2017 წლის 6 თებერვალს, დაბა ..., ... ქუჩაზე მდებარე საც-

ხოვრებელი კომპლექსის სახურავიდან თოვლისა და ყინულის მასის ჩამოცვენის შედეგად დაზიანდა კრედიტორის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა;

1.2.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 9 მარტის სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ავტომობილის დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობამ საორიენტაციოდ შეადგინა 11 314 ლარი;

1.2.4. უძრავი ქონება, სადაც დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება, წარმოადგენს საცხოვრებელ კომპლექსს. აღნიშნულ კომპლექსში მე-5 სართულზე მდებარე №16 ბინა რეგისტრირებულია მეორე მოპასუხის საკუთრებად, რომელიც მოსარჩელეს ჰქონდა დაქირავებული;

1.2.5. პირველი მოპასუხე დაბა ..., ... ქუჩაზე მდებარე სასტუმროს ტიპის საცხოვრებელ კომპლექსში განთავსებული რამდენიმე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2017 წლის 29 მაისის მდგომარეობით, კომპანიის ინდივიდუალურ საკუთრებად ფიქსირდება 24 დამოუკიდებელი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი, მათ შორის კომერციული ფართი;

1.2.6. ამხანაგობის წევრებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს მათ საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა და უსაფრთხო ექსპლუატაცია. რეალური საფრთხის არსებობის გაცნობიერების მიუხედავად, რაზეც მეტყველებს პირველი მოპასუხის მიერ უსაფრთხოების მიზნით გატარებული ღონისძიებები (დამსვენებელთა სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება), ისინი არასაკმარისი აღმოჩნდა დამდგარი ზიანის პრევენციისათვის. ადგილი, სადაც შენობის სახურავიდან ჩამოწვა თოვლისა და ყინულის მასა, წარმოადგენს სასტუმროს ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის შენობის ცენტრალურ შესასვლელ ტერიტორიას, სადაც ავტომანქანის დაზიანებამდე და მის შემდგომაც, დაუბრკოლებლად გადაადგილდებიან ადამიანები, მათ შორის – ბავშვებიც. პოტენციური საფრთხე იმისა, რომ ზამთარში დაბა ბაკურიანისათვის დამახასიათებელი უხვი ნალექისა და დამსვენებელთა ნაკადის სიმრავლის პირობებში, დამდგარი შედეგი გაცილებით მძიმე ყოფილიყო, მუდმივად არსებობდა. ზემოაღნიშნული მეტყველებს საცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეების მიერ, სამართლებრივი სიკეთის უსაფრთხოებაზე ზრუნვისა და სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი და საჭირო აუცილებელი წინდახედულების ნორმათა აშკარა უგულვებელყოფაზე. შემთხვევის დადგომამდე საფრთხის არსებობასთან დაკავშირებით რაიმე განცხადება განთავსებული არ

ყოფილა, ასევე მოპასუხეთა მხრიდან არ განხორციელებულა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი რაიმე ღონისძიებები;

1.2.7. მხარეთა შორის უდავოა სასტუმროს პერსონალის მხრიდან მოსარჩელის გაფრთხილების ფაქტი მანქანის სასტუმროს ცენტრალურ ნაწილთან გაჩერებისას მოსალოდნელი შემთხვევის თაობაზე.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან მატერიალური სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე (სსსკ-ის 393.2 მუხლი) და აღნიშნავს, რომ წინამდებარე გადანყევტილების სამართლებრივი დასაბუთება დაემყარება ბრალის გარეშე ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს, მოვალე პირთა სოლიდარული პასუხისმგებლობის მატერიალურ და პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე, ზიანის ოდენობის განსაზღვრასა და თითოეული პირის პასუხისმგებლობის ხარისხს.

1.3.1. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის პირველი ნაწილი, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, 998-ე და 464-ე მუხლები წარმოადგენენ, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დელიქტური ვალდებულების სპეციალურ სახესთან, როდესაც ზიანი წარმოიშვა შენობიდან თოვლისა და ყინულის მასის ჩამოცვენით, რასაც შედეგად ნივთის დაზიანება მოჰყვა. ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მნიშვნელობა არ აქვს ვალდებულები პირის ბრალეულობის ელემენტს, უფრო კონკრეტულად კი, მნიშვნელობა არ აქვს იმას ნაგებობის მოვლის (სახურავის გადმოთოვლის) ვალდებულების დარღვევა პირის გულგრილობის შედეგია თუ ის მიზნად ისახავდა მესამე პირისათვის ზიანის მიყენებას. საკითხის დეტალური ანალიზისათვის საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს თავად ნაგებობის ტიპზე: ის წარმოადგენს სასტუმროს ტიპის მრავალბინიან საცხოვრებელ კომპლექსს და მოპასუხეები საერთო ქონების თანამესაკუთრეები არიან, სადაც მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში გააჩნიათ კონკრეტული ფართები. სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლი ადგენს თანასაკუთრების სანივთო უფლების წარმოშობის საფუძვლებს, რომელთაც განეკუთვნება როგორც კანონისმიერი წინაპირობები, ისე – სახელმეკრულებო ურთიერთობები. ნორმის მესამე ნაწილი ადგენს საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა საერთო ხარჯებით მოვლა-შენახვის ვალდებულებას. სწორედ ამგვარი კანონისმიერი მექანიზმებია დანესებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგო-

ბის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც, მართალია, ძირითადად თანამესაკუთრეთა ურთიერთ უფლება-მოვალეობაზე ვრცელდება (კანონის პირველი მუხლი), თუმცა, ამ ნორმათა მოთხოვნების დარღვევა შესაძლოა ამხანაგობის (ფიზიკური/იურიდიული პირების) პასუხისმგებლობას დაედოს საფუძვლად მესამე პირებთან მიმართებაში. ასეც რომ არ იყოს, თანასაკუთრების უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე მისი კანონისმიერი ვალდებულების ფარგლები. სამოქალაქო კოდექსი იცნობს საზიარო უფლებების ინსტიტუტს. 956-ე მუხლი განსაზღვრავს საზიარო საგნის მართვის წესს და მისი მეორე ნაწილი ადგენს თითოეული მონაწილის უფლებას, საზიარო საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. ხსენებული ნორმა შინაარსობრივად არეგულირებს არა მხოლოდ თანამესაკუთრის უფლებას, არამედ ვალდებულებას, აუცილებლობისას იმოქმედოს სხვა თანამესაკუთრეთა ინტერესებშიც და განახორციელოს იმგვარი მოქმედებები, რომელიც თანასაკუთრების საგნის ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

1.3.2. თანამესაკუთრის საკითხზე განვითარებული მსჯელობა მნიშვნელოვანია ასევე სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში. ხსენებული ნორმის თანახმად, შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით. მოხმობილი ნორმა არ შეიცავს მისი განხორციელების წინაპირობების ამომწურავ ჩამონათვალს და მასში მოიაზრება მათ შორის შენობის ექსპლუატაციიდან მომდინარე ყველა ის საფრთხე, რომელთა თავიდან აცილება დასაშვებია შენობის მოვლის წესების დაცვის შემთხვევაში. თავის მხრივ, თუკი შენობა საზიარო საგანს წარმოადგენს, სწორედ ზემოხსენებული წესებიდან გამომდინარე, ეკისრება თითოეულ თანამესაკუთრეს ამ საფრთხის აღკვეთის ვალდებულება, ხოლო ნეგატიური შედეგის დადგომის შემთხვევაში – ზიანის ანაზღაურება.

1.3.3. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხეები შენობის ისეთი ნაწილის, როგორცაა სახურავი, თანამესაკუთრებს წარმოადგენენ, შესაბამისად, მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა შენობიდან მომდინარე საფრთხეების განხორციელების შემთხვევაში. ხსენებული მიუთითებს იმაზე, რომ სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 998-ე და 463-ე მუხლებით განსაზღვრული სოლიდარული პასუხისმგებლობის წინაპირობები (თუ ზიანის დად-

გომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები) და სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ.

1.3.4. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს თანამონაწილეობის კიდევ ერთ, საპროცესო საკითხზე: განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც პირველმა, ისე – მეორე მოპასუხემ. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 30 აპრილის განჩინებით პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლით განსაზღვრული ვადის დარღვევის გამო, თუმცა, ხსენებული გარემოება, პასუხისმგებლობის ფარგლებზე გავლენას ვერ იქონიებს, თუკი მეორე სოლიდარული მოვალის საჩივარი საფუძვლიანი/ნაწილობრივ საფუძვლიანი აღმოჩნდება. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით რეგულირებულია საპროცესო თანამონაწილეობის ინსტიტუტი და ნორმის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილია, რომ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება (სავალდებულო თანამონაწილეობა). თავის მხრივ, საერთო უფლებიდან გამომდინარე ამხანაგობის წევრების [სოლიდარული მოვალეების] სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 463-ე, 464-ე და 937-ე მუხლების დანაწესები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ლ. გ-ე წარმოადგენს ამავე ამხანაგობის წევრს, მას შეეძლო მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებელი, მათ შორის, სააპელაციო საჩივარი წარედგინა ამხანაგობის სახელით, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლისა, ამასთან, ვინაიდან ამხანაგობის მიმართ წარდგენილი სარჩელი იყო უსაფუძვლო, სააპელაციო პალატამ სავსებით სამართლიანად უთხრა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (იხ. სუსგ №ას-195-183-2014, 21 ოქტომბერი, 2016 წელი). განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მეორე მოპასუხე საკასაციო საჩივრით მოითხოვს სარჩელის სრულად უარყოფას, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ შედავებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილება არა ნაწილობრივ, არამედ – სრული მოცულობით.

1.3.5. პალატა საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში შეფასებას აძლევს შესაგებელში გამოთქმულ არსებით შედავებასა და სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტს, რომ დაზარალებული საფრთხის განხორციელებამდე სიტყვიერად იქნა გაფრთხილებუ-

ლი, შეეცვალა ავტომობილის მდებარეობა, რადგანაც მოსალოდ-
ნელი იყო სახურავიდან თოვლის ჩამოქცევა და მისი ნივთის დაზი-
ანება. ბუნებრივია, ხსენებული ფაქტი წარმოადგენს ზიანზე პა-
სუხისმგებელი პირის მხრიდან საფრთხის აღკვეთის მცდელობას,
თუმცა, არასაკმარისია. ნივთის მოვლის (სახურავის გადმოთოვლის)
ვალდებულების დარღვევიდან, ასევე, საფრთხის ამკარა და სერი-
ოზული ხასიათიდან გამომდინარე (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ.
1.2.6.-1.2.7.), არ გამოირიცხება მისი პასუხისმგებლობა. მიუხედა-
ვად ამისა, საკასაციო პალატის დასკვნით, ხსენებული შედავება
იმდენად არსებითი ხასიათისაა, რომ გავლენას ახდენს პასუხის-
მგებლობის ოდენობაზე. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამარ-
თლომ არასწორად განმარტა ე.წ შერეული ბრალის საკითხი და არას-
წორადვე არ დააკისრა მოპასუხეებს ვალდებულების დარღვევის
თანაზომიერი პასუხისმგებლობა. სამოქალაქო კოდექსის 415-ე
მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარა-
ლებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებუ-
ლება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ
უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს
ნესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოი-
ხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირე-
ბინა ზიანი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვე-
ვაში სწორედ შერეული ბრალია სახეზე, რამდენადაც მოსარჩელეს
ავტომობილის ადგილმდებარეობის შეცვლით შეეძლო თავიდან აე-
რიდებინა საფრთხე, ხოლო მოპასუხეებს – არ დაეშვათ მისი გან-
ხორციელება, შესაბამისად, მხარეთა პასუხისმგებლობა ვალდე-
ბულებათა დარღვევაში უნდა განისაზღვროს 50-50%-ით.

1.3.6. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის
თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი,
უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ
დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამა-
ვე კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად კი, თუ ზიანის ანაზღაურება
პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათ-
ვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედი-
ტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. საქმეში წარმოდ-
გენილი საექსპერტო კვლევის შედეგებით დადგენილია, რომ და-
ზიანებული ნივთის აღსადგენად საჭიროა 11 314 ლარი. ამ მტკიცე-
ბულების საპირისპიროდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4
და 102-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხეებს არ წარუდგენიათ
ალტერნატიული გაანგარიშება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ეჭ-
ვექვეშ დააყენებდა დასკვნის სისწორეს, უფრო მეტიც, საკასაციო
საჩივრით ზიანის ოდენობა შედავებული არ არის. ამ გარემოებათა

მხედველობაში მიღებით პალატა მიიჩნევს, რომ ზიანი სწორედ ხსენებული თანხით უნდა განისაზღვროს. ამასთანავე, პალატა მხედველობაში იღებს მხარეთა ბრალის ხარისხს და მიიჩნევს, რომ დაზარალებულის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მიყენებული ზიანის ნახევრის – 5 657 ლარის გადახდა.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან, რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა დაბრუნების საფუძვლები, სასამართლო, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ვინაიდან დადასტურებულია მხარეთა თანაბარი ბრალი ზიანის დადგომაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოპასუხეებისათვის დამატებით 5 657 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა. რაც შეეხება მიყენებული ზიანის ნახევრის – 5 657 ლარის დაკისრებას, ამ ნაწილში პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), უცვლელად ტოვებს მას.

2. პროცესის ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწი-

ლობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ გაღებული პროცესის ხარჯები შეადგენს 567 ლარს, ხოლო მეორე მოპასუხის მიერ გაწეული ხარჯი – 791 ლარს, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, მხარეებს ერთმანეთის მიმართ ეკისრებათ გაწეული ხარჯების 1/2-ის ანაზღაურება. ამ თანხათა ურთიერთგაქვითვის შედეგად კი, მოსარჩელეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 112,35 ლარის გადახდა.

2.3. რაც შეეხება ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებას, მხარეთა მიერ სამართალწარმოებისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:
 - 2.1. თ. ლ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
 - 2.2. შპს „რ-სა“ (ს/კ №...) და მ. ტ-ს (პ/№...) თ. ლ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროთ 5 657 ლარის გადახდა.
 - 2.3. თ. ლ-ის (პ/№...) მ. ტ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს 112,35 ლარის გადახდა.
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge